საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№36 (460)
10 – 16 ოქტომბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

10

**«ლიბერალური დემოკრატიის კუთხით ქვეყნის წარმატებაში ლიბერალური დიქტატი უნდა ვიგულისხმოთ»**



**ზაალ უდუმაშვილი: არ მახსოვს, ხელისუფლებაში ნაციონალების ყოფნის პერიოდში ვინმესთვის ბიზნესის წილებში ჩაჯდომა მოეთხოვოთ**

3

## უპაერო ვანო, გულმავიწყი ზაალ-ზორო და ხევისბერი ნიკა

- რომელი მომღერლის ცოდვამ უწია ვანო მერაბიშვილს?
- ვის არ სურდა „იმედის“ დარბევის ინფორმაციის გავრცელება და ვის შეება „ნაც-ზორო“ უდუმაშვილი ასე უშიშრად?
- ისე, როგორც ხევისბერმა გოჩამ — გუგუა, რომელი პრეზიდენტობის კანდიდატი მოკვეთა „თემისგან“ ნიკა გვარამიამ?

## ივანიშვილის ალფა და ოქუაშვილის ომეგა

2







11

დავით ჭიჭინაძე:

## «ქართულ ოცნებას» რომ ვუყურებ, მგონია, ხალხის მოტყუების ერთ დიდ სპექტაკლში მივიღე ჩემდა უნებურად მონაწილეობა

## აფხაზეთი — მოურჩენელი ჭრილობა

17



ლეონიდ პარფიონოვი:

## ქართველები რუსეთის ელიტაში შემოდიოდნენ ისე, როგორც მეორე სატიტულო ერი

14





16

„საქართველოს დღევანდელი სავალალო მდგომარეობა ხელისუფლებაში გამძვრალი უღირსების სამარცხვინო ლაქუცის შედეგია უცხოეთისა და უცხოელთა მიმართ“



**«გამოდის აპატურაი, ნატოს წარმომადგენელი ამ რეგიონში, და გასაგებად გეუბნება: «ვერ მოგანიჭებ მაპს, იმიტომ, რომ ამან შეიძლება რუსეთი გააღიზიანოს და მე მისგან ვერ დაგიცავ». რის იმედი გაქვს?»**

4



9

## ბართოლომეოსისგან მართლმადიდებელთა წინამძღოლების კრების ჩატარებას მოითხოვენ



**«მათი გონება ვიწრო და ცალმხრივია, ხასიათი — სუსტი და მოდუნებული, ცოდნა არავითარი არ გააჩნიათ, გარდა გაუმჯობესებული, პირადი თავდასხმით გაღვივებული რიტორიკისა»**

20

**მრგვალი მაგიდა — «მსოფლიო პატრიარქი, უკრაინა და საქართველოს პერსპექტივები»** 8

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ქართულ ოცნებას“ სჭირდება არა, უბრალოდ, არჩევნების მოგება, არამედ დამაჯერებელი გამარჯვება, დაახლოებით ისეთი, როგორც 2016-ში, რომელიც არ დაუტოვებს მის ოპონენტებს შესაძლებლობას, გაყალბებაზე ისაუბრონ და „მაიდნის“ აგორება სცადონ. ამან მყისიერი შედეგი რომც არ მოიტანოს, არადამაჯერებელ გამარჯვებას, სავარაუდოდ, მოჰყვება საუბრები ხელისუფლების დაღმა სვლაზე, იმაზე, რომ 2020-ში „ოცნება“ აუცილებლად წააგებს საპარლამენტო არჩევნებს და ა.შ., რაც საზოგადოებაში ფსიქოლოგიურ ფონს შეცვლის.**

# ივანიშვილის ალფა და ოქუაშვილის ომეგა

**უცნაურია, მაგრამ წინასაარჩევნო პროცესში ჩართული ძალები თითქმის არ ამტკიცებენ, რომ კარგები არიან; შესაძლოა, იმიტომ, რომ აზრი აღარ აქვს, რადგან ამომრჩეველი მათ კარგად იცნობს და, უბრალოდ, მიუთითებენ, რომ მოწინააღმდეგე გაცილებით უარესია და საწადელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიაღწიოს. ამ არჩევნებში ნეგატივი უფრო მეტია, ვიდრე რადიაცია ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკში.**





**«ნაკლები ბოროტების» იდეა უსასრულოდ ვერ იმუშავებს, თუ ხელისუფლების რადიკალური «წმენდა» არ მოეწყობა, არ შეიზღუდება ელიტური კორუფცია, ნეპოტიზმი და უსამართლობა... მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილი ამ მხრივ სიტუაციის გამოსწორებას აპირებს. შესაძლოა, მას, უბრალოდ, არ ძალუძს, ჩამოაყალიბოს ახალი კონცეფცია ან თუნდაც ერთი პოზიტიური იდეა და ამიტომ მხოლოდ ნაციონალებზე («ეს მოღალატეები» — 1 ოქტომბრის განცხადება) და მობილიზაციაზე საუბრობს. მის გამოსვლას აკლდა მხოლოდ შეძახილი «ნო პასარან» («ისინი ვერ გაივლიან»)**

კომენტატორები გამუდმებით იმეორებენ, რომ ამომრჩეველთა ნახევარს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მისცემს ხმას 28 ოქტომბერს (ნაწილი მესამედს ამბობს, ნაწილი — ორ მესამედს. ყველა თავის მონაცემებს ეყრდნობა; ნებისმიერ შემთხვევაში, საუბარია დიდ რაოდენობაზე). მათ ხშირად ჰგონიათ, რომ ეს ადამიანები ინტერესით ადევნებენ თვალს პოლიტიკურ შოუს და გაფაციცებით ეძებენ საუკეთესო კანდიდატს. სინამდვილეში, ამ ამომრჩევლების უმრავლესობა გადაღლილია და ხშირად, პოლიტიკოსების მიმართ ზიზღის გარდა, არაფერს გრძნობს.

1 ოქტომბერს **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა: **„სწორი მობილიზაციის შემთხვევაში, ჩვენ ამას (არჩევნებში გამარჯვებას) მოვახერხებთ“.** აშკარაა, რომ მმართველი პარტია იმავე გამოწვევის წინაშე დგას, როგორც 2016-ში — მისთვის მნიშვნელოვანია, საარჩევნო უბნებზე მიიყვანოს ის ადამიანები, რომელთაც იქ მისვლა არ სურთ, იმიტომაც, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ უამრავი პრეტენზია დაუგროვდათ. **ორი წლის წინათ გადამწყვეტი როლი საფრთხის განცდამ შეასრულა — „ოცნების“ ელექტორატის ძირითადმა ნაწილმა დაიჯერა, რომ სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია სავსებით რეალური იყო და, ფაქტობრივად, ხმა ამის წინააღმდეგ მისცა.** მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საფრთხის განცდა ნაწილობრივ განეიტრალდა და ამას ხელი შეუწყო „ნაცმოძრაობის“ ორ ნაწილად დაშლამაც. ამასთანავე, გაიზარდა უკმაყოფილება ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ — მან ბევრი შეცდომა დაუშვა. პრემიერმინისტრ **კვირიკაშვილის** გადადგომის (თუ ფაქტობრივი გადაყენების) პერიოდში კი თავიდან ვერ აიცილა არცთუ მასშტაბური, თუმცა სავსებით რეალური კრიზისი.

ამასთანავე, „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერა გადაწყვიტა, რომლის მიმართაც ელექტორატში კონსენსუსი არ არსებობს. ის არც 2014-ში არსებობდა, როდესაც ივანიშვილმა, ფაქტობრივად, აიძულა პარტია და მისი ამომრჩეველი, მხარი მარგველაშვილისთვის დაეჭირათ. **იმხანად „ქართულ ოცნება“ გაცილებით ენერგიული ჩანდა, „ნაცმოძრაობის“ საფრთხობელის ფაქტორი 100%-ით მუშაობდა, ხოლო წყალგამყოფი მარგველაშვილის მხარდამჭერებსა და კრიტიკოსებს შორის, ძირითადად, ემთხვეოდა საზღვარს ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის.** ზურაბიშვილის შემთხვევაში ასე არ არის — დამოკიდებულებას მის მიმართ სხვა, ხშირ შემთხვევაში, სუბიექტური, ზოგჯერ კი შემთხვევითი ფაქტორები (მაგალითად, კანდიდატის, ასე ვთქვათ, არასტანდარტული განცხადებები) განსაზღვრავს, რომელთა მართვა გაცილებით ძნელია.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ართულებს ბიძინა ივანიშვილის მიერ ნახსენებ „მობილიზაციას“. მართალია, „ქართული ოცნება“ კვლავინდებურად ცდილობს, დაამტკიცოს, რომ „ნაცმოძრაობაზე“ ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენს, მაგრამ ეს არასაკმარისია იმისთვის, რომ მისმა ამომრჩევლებმა აპათია დაძლიონ და საარჩევნო უბნებზე მივიდნენ. საერთოდ, „ნაკლები ბოროტების კონცეფცია“ და არჩევანი ბოროტების სასარგებლოდ, მისი ზომისა და კალიბრის მიუხედავად, ჩვეულებრივი ადამიანისთვის ფრიად უსიამოვნო რამ არის. შესაბამისად, „ოცნებას“ სჭირდება სხვა სტიმულები „მობილიზაციის“ უზრუნველსაყოფად.

მმართველი პარტიის პასიურობა კამპანიის პირველ ეტაპზე, შესაძლოა, გამოწვეულია ზოგადი დაბნეულობით, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მის უკან გარკვეული გათვლა დგას. ის თითქოს აძლევს შესაძლებლობას ნაციონალებს („ტრადიციულ“ თუ „ევრო“ ვარიანტში), რაც შეიძლება მეტი იხმაურონ და თავი ხელისუფლების მთავარ ოპონენტებად წარმოაჩინონ (მათ ხელთ არსებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა ამის შესაძლებლობას ნამდვილად აძლევს); შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური გახადონ 2016 წელს წარმატებით გამოყენებული ბიპოლარული მოდელი „ოცნება — „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ“. პრინციპში, **მმართველ პარტიას ხელს აძლევს, რომ ამომრჩეველი, რომელიც სააკაშვილს ვერ იტანს, დარწმუნდეს, რომ ნაციონალები კვლავინდებურად აქტიურები არიან და ხელისუფლებაში დაბრუნებას ლამობენ, „დააცადოს“ მათ შეშინება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს „მობილიზაცია“.**

რაც შეეხება ნაციონალებს, მთავარ პრობლემას მათთვის, ალბათ, წარმოადგენს არა საკუთარი ამომრჩევლების კონსოლიდაცია და მოტივირება (ეს, როგორც წესი, გამოსდით) და არც ელექტორატის გაფართოება (ეს კი, პირიქით, არ გამოსდით), არამედ სახლებში იმ ინერტული პროსახელისუფლო მასის დატოვება, რომლის მიყვანას უბნებზე „ქართული ოცნება“ ცდილობს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ სააკაშვილის თანამოაზრეები კონცენტრირებულნი არიან ნეგატივზე, სალომე ზურაბიშვილისა და მისი მხარდამჭერი „ქართული ოცნების“ გაშავებაზე — ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს მეორე შემთხვევაში (ამ ეტაპზე) „ოქუაშვილის საქმე“ ასრულებს.

ერთი შეხედვით, საგანგაშო, წინასაარჩევნო კონტექსტში, არაფერი ხდება — ღარიბი მოსახლეობა საქართველოში არასოდეს უცხადებს სოლიდარობას მდიდრებს, რადგან მიიჩნევს, რომ ისინი კანონის დარღვევით გამდიდრდნენ. ეს ფაქტორი რომც არ არსებობდეს, **ზაზა ოქუაშვილს** გაუჭირდება წამებულის მანტიის მორგება, მათ შორის იმის გამო, რომ მისი იმიჯის განადგურებაზე თავის დროზე (2004-05 წლებში) სააკაშვილის ხელისუფლებამ იზრუნა. რაც შეეხება ელიტას — ის ზაზა ოქუაშვილს „თავისიანად“ არ თვლის. თუ კვირიკაშვილის გადადგომის პერიოდში, მაშინ, როდესაც მედიასა და სოცქსელებში „ბანკირების შეთქმულებაზე“ წერდნენ, მსგავსი რამ, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძეს** შეემთხვეოდა, საზოგადოების ზედა ფენა, სავარაუდოდ, შეშფოთდებოდა და, ალბათ, ჩათვლიდა, რომ ივანიშვილი მასთან დადებულ დაუწერელ „პაქტს“ არღვევს — სწორედ იმიტომ, რომ ხაზარაძე ამ ფენისთვის „თავისიანია“, ოქუაშვილი კი — არა (თუ რატომ, ცალკე საუბრის თემაა). არის კიდევ ერთი ფაქტორი: ამ სკანდალს რთული არქიტექტონიკა აქვს, ეპიზოდებსა თუ მოქმედ პირებს შორის კავშირის დადგენა ძნელია, ვერსიებისა და ნიუანსების სიმრავლე მაყურებელს აბნევს და ღლის. ამასთანავე, ოქუაშვილმა და მისმა ნაციონალმა პარტნიორებმა, ალბათ, მძიმე ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს — „ომეგას“ ხელმძღვანელმა, გარეგნული ნეიტრალიტეტის შენარჩუნების ნაცვლად, ღიად დაუჭირა მხარი **გრიგოლ ვაშაძეს** და ამ მომენტიდან სააკაშვილის მოწინააღმდეგეები აღიქვამენ მას, როგორც „ნაცებთან შეკრულს“, შესაბამისად, აღარ უსმენენ და, მარტივად რომ ვთქვათ, მის ოპონენტებს გულშემატკივრობენ. თუ კამპანიის ერთ-ერთი (და, შესაძლოა — მთავარი) მიზანი იყო ნაპრალის გაღრმავება „ქართულ ოცნებასა“ და მის „ძველ“ ამომრჩევლებს შორის, ეს ნაბიჯი ფრიად წინდაუხედავი ჩანს.

მაგრამ, თქმულის მიუხედავად, **„თამბაქოს სკანდალი“ მაინც ძალზე საზიანოა „ქართული ოცნებისთვის“, რადგან ის პირდაპირ ურტყამს მის მთავარ არგუმენტს — „მე ნაკლები ბოროტება ვარ“. ოქუაშვილმა თავის რეზონანსულ ინტერვიუში ხელისუფლება სწორედ იმ მეთოდების გამოყენებაში დაადანაშაულა, რომელსაც ნაციონალები მიმართავდნენ და საზოგადოება სწორედ ამის გარშემო მსჯელობს.** სოცქსელებში კარგად ჩანს, რომ სულ უფრო მეტი ამომრჩეველი უახლოვდება დასკვნას: **სხვაობა ძველ და ახალ რეჟიმებს შორის არსებით ხასიათს არ ატარებს და ამ პოზიციის გამყარებას ხელს უწყობენ „რუსთავი 2“-ის მიერ გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერები ოქუაშვილის, ყიფიანისა და სხვა ფიგურანტების მონაწილეობით. ყოველივე ეს „მობილიზაციის“ ნაწილობრივ ჩავარდნას მოასწავებს (მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსით შორს ვერ წავლენ).**

„ქართულ ოცნებას“ სჭირდება არა, უბრალოდ, არჩევნების მოგება, არამედ დამაჯერებელი გამარჯვება, დაახლოებით ისეთი, როგორც 2016-ში, რომელიც არ დაუტოვებს მის ოპონენტებს შესაძლებლობას, გაყალბებაზე ისაუბრონ და „მაიდნის“ აგორება სცადონ. ამან მყისიერი შედეგი რომც არ მოიტანოს — არადამაჯერებელ გამარჯვებას, სავარაუდოდ, მოჰყვება საუბრები ხელისუფლების დაღმა სვლაზე, იმაზე, რომ 2020-ში ოცნება აუცილებლად წააგებს საპარლამენტო არჩევნებს და ა.შ., რაც საზოგადოებაში ფსიქოლოგიურ ფონს შეცვლის.

თავის დროზე (1995 წლის შემდეგ) **შევარდნაძის** ხელისუფლება საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ აღიქმებოდა, როგორც „ნაკლები ბოროტება“ ქაოსთან და შეიარაღებული ბანდების თარეშთან შედარებით, მაგრამ ეს გარემოება მის არსებობას მუდმივად ვერ გაამართლებდა, რამდენიმე წელიწადში მას ზურგი თითქმის მთელმა საქართველომ შეაქცია. ასეა ახლაც — **„ნაკლები ბოროტების“ იდეა უსასრულოდ ვერ იმუშავებს, თუ ხელისუფლების რადიკალური „წმენდა“ არ მოეწყობა, არ შეიზღუდება ელიტური კორუფცია, ნეპოტიზმი და უსამართლობა... მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილი ამ მხრივ სიტუაციის გამოსწორებას აპირებს. შესაძლოა, მას, უბრალოდ, არ ძალუძს, ჩამოაყალიბოს ახალი კონცეფცია ან თუნდაც ერთი პოზიტიური იდეა და ამიტომ მხოლოდ ნაციონალებზე („ეს მოღალატეები“ — 1 ოქტომბრის განცხადება) და მობილიზაციაზე საუბრობს. მის გამოსვლას აკლდა მხოლოდ შეძახილი: „ნო პასარან“ („ისინი ვერ გაივლიან)“.**

მთავარი პრობლემა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ქართველი საზოგადოება, ავად თუ კარგად, წინ მიდის, ვითარდება, ველარ კმაყოფილდება ქვეყნის მოწყობის იმ ფორმებით, რომლებსაც მას მმართველი რეჟიმები სთავაზობენ და უარყოფს მათ. ასე მოხდა 2003-სა და 2012-ში და, შესაძლოა, ახლა გარდატეხის მსგავს წერტილს ვუახლოვდებით.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გასული კვირის კიდევ ერთი თემა „რუსთავი 2"-ის ოდიოზური და ყველაზე უთავმოყვარეო გენერალური დირექტორის, ყოფილი პროკურორის ის განცხადება იყო, რომელშიც ის სალომე ზურაბიშვილის მომხრეებს, ფაქტობრივად, პირადი ანგარიშსწორებით ემუქრება. „ყველას გიმახსოვრებთ და აუცილებლად უნდა ჩამოგაშოროთ საზოგადოებაში ყველანაირ საქმიანობას, ვინც კი ოდნავ მაინც რაიმეთი დაეხმარებით მოღალატე სალომე ზურაბიშვილს!" — ასე მიმართა გვარამიამ სოციალური ქსელების მომხმარებელს და, ფაქტობრივად, როგორც ხევისბერმა გოჩამ — გუგუა, გვარამიამაც ისე მოჰკვეთა „თემისგან" პრეზიდენტობის კანდიდატი ზურაბიშვილი.**

# უჰაერო ვანო, გულმავიწყი ზაალ-ზორო და ხევისბერი ნიკა

**ნებისმიერი ადამიანი შესაბრალებელია, როდესაც რაღაც უჭირს. ეს ელემენტარული ქრისტიანული მორალია. ცხოვრებისეული მორალი არის ის, რომ ადამიანები არ უნდა გაამწარო, არ უნდა გადაიყვანო ჭკუიდან და არ უნდა დაავიწყო სწორედ ის ქრისტიანული მორალი უჯიათი, უტვინო, არაამიანური და სადისტური საქციელით. არ უნდა მიიყვანო ადამიანები იმ დონემდე, რომ თქვან: ჯანდაბას, თუნდაც ჯოჯოხეთის საგზური გამომიწერეთ, ოღონდ კი ამ კაცმა ისეთივე სიმწარე ნახოს, როგორიც სხვებს ანახვაო. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანებს თითქმის ყველაფრის პატიება შეუძლიათ, უკიდურესი არაადამიანობის გარდა. სწორედ ასეთ დღეში ჩაიგდო თავი საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც მოგვიანებით, უკვე ნაცების კატასტროფის პერიოდში, პრემიერმინისტრადაც მუშობდა, თუმცა მას მაინც ყველა ყოფილ შს მინისტრად მოიხსენიებს, რადგან, რაც ამ პოსტზე „იღვაწა", მის ფონზე მისი „პრემიერობა" ცოტას თუ ახსოვს.**

**ვანო მერაბიშვილის** შს მინისტრობის პერიოდს უკავშირდება საქართველოში პოლიციის მიერ ადამიანების ხოცვა-ჟლეტის მანამდე არნახული ფაქტების სიმრავლე; პატიმრების წამება, დამცირება, შეურაცხყოფა და მათდამი არაადამიანური მოპყრობის უპრეცენდენტო შემთხვევები. თუმცა, როდესაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის დღევანდელ მდგომარეობას ვუცქერთ, ყველაზე მეტად მაინც **ჯაბა ბოჯგუას** ტრაგედია გვახსენდება. მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილსა და მის ბანდას უამრავი სასტიკი დანაშაული აქვთ ჩადენილი, როგორც ჩანს, **ვანო მერაბიშვილს ყველაზე ადრე სწორედ მომღერალ ჯაბა ბოჯგუას ცოდვამ უწია.** შეგახსენებთ: მომღერალი ჯაბა ბოჯგუა თაღლითობის ბრალდებით დააკავეს და ბრალად წაუყენეს, რომ მან ერთ-ერთ პიროვნებას მისი ოჯახის პატიმარი წევრის ციხიდან გამოშვების სანაცვლოდ მოსთხოვა რამდენიმე ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი თანხა. ბრალდების თანახმად, ჯაბა ბოჯგუა ამ კლიენტს არწმუნებდა, რომ იგი ძალიან ახლო ურთიერთობაშია ნაციონალების ლიდერებთან და შეძლებს, მათ ციხიდან გამოაშვებინოს ამ პიროვნების ოჯახის წევრი. ასეთი ბრალდებით მოხვდა მომღერალი ციხეში. ჩვენი მიზანი არ არის იმის გარკვევა, ბრალდება იყო თუ არა სამართლიანი. მთავარი არის ის, რომ **ვანო მერაბიშვილს ზუსტად იგივე პრობლემა აქვს, რაც იმხანად ჯაბა ბოჯგუას ჰქონდა.**

**„ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით შეკრებილმა ექიმთა კონსილიუმმა დაასკვნა, რომ ბატონ მერაბიშვილს სჭირდება ღია სივრცეში — ჰაერზე ყოფნა. ამჟამად მისი დაავადება არ არის სიცოცხლისთვის საშიში, მაგრამ, თუ იგი დიდხანს დარჩება დახურულ, ჟანგბადშეზღუდულ სივრცეში, შესაძლოა, დაავადება პროგრესირდეს და სიცოცხლისთვის შეუთავსებელი გახდეს",** — ეს ინფორმაცია გაავრცელეს საააგენტოებმა რამდენიმე დღის წინათ.

სწორედ ამ მოტივით ითხოვდა მომღერალ ჯაბა ბოჯგუას დედა მისი შვილის საპატიმროდან გათავისუფლებას. ის თანახმა იყო გირაოზე, ნებისმიერ პირობით სასჯელზე; გარანტიას იძლეოდა, რომ შვილს შინიდანაც კი არ გაუშვებდა, ოღონდ საპატიმრო საკნიდან გამოეშვათ, რადგან ბოჯგუას მართლაც ჰქონდა ისეთი თანდაყოლილი დაავადება, რომელიც ჭარბი რაოდენობით ჟანგბადს მოითხოვდა და სივრცეში, რომელშიც ჟანგბადის შეზღუდული რაოდენობაა, ჯაბას სიკვდილი ელოდა. სამწუხაროდ, მომღერლის დედას ყური არ ათხოვეს არც ვანო მერაბიშვილმა და არც სხვა მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა. მეტიც, მახსოვს რამდენიმე ცინიკური განცხადებაც კი ჯაბას მიმართ. ჯაბა ცოცხალი გადარჩა, მაგრამ საპატიმროში მოხვედრიდან დაახლოებით ერთ წელიწადში კომაში ჩავარდა და ნაცების ხელისუფლებამ მხოლოდ ამის შემდეგ მისცა ოჯახს მისი საკნიდან სახლში გადაყვანის უფლება. როგორც ვიცით, მომღერალი დღესაც კომაშია და დედამისი, უკვე რამდენიმე წელიწადია, უვლის საშინაო პირობებში... ნამდვილად არ მინდა იმის თქმა, რომ ვანო მერაბიშვილსაც აუცილებლად ანალოგიური უნდა დაემართოს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაუშვან საპატიმროდან. მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაშაულები შეუდარებლად მძიმეა, ვიდრე ჯაბა ბოჯგუასი. ჩემი აზრით, თუ ადამიანის დაავადება მართლაც მძიმეა, მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ დაავადება აღარ გართულდეს. თუ საჭიროა, ალბათ, ვანო მერაბიშვილი შესაბამისად უნდა მომარაგდეს ჟანგბადით ადგილზე ან მართლაც რაიმე სახის შინაპატიმრობით უნდა შეეცვალოს სასჯელი... ამაზე, იმედია, ხელისუფლება იფიქრებს და მიიღებს შესაბამის გონივრულ გადაწყვეტილებას. უბრალოდ, გვინდა, იმას გავუსვათ ხაზი, რომ არ არის გამორიცხული, მერაბიშვილი არც ამ ამბავმა შეცვალოს და ის იმ ვანოდ დარჩეს, როგორიც ნაცების ხელისუფლებაში ყოფნისას იყო.

აკი, ვანოს კოლეგებმა დღემდე ვერაფერი ისწავლეს და, მიუხედავად იმისა, რომ **წინასაარჩევნოდ ძალიან მოდურია ტრენდი — ნაცებმა ჭკუა ისწავლეს, გამოცდილება მიიღეს და, თუ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან, იმავე შეცდომებს და სადისტობებს არ გაიმეორებენო, მათი ცალკეული წევრების გამოხდომები გარკვევით ვერ იძლევა ამის იმედს.**



**პატივცემულო ინგა, თვითონ თუ ხარ შემსწრე (როგორც თქვი), რა მედგრად იბრძოლა ზაალ უდუმაშვილმა ამისთვის, იქნებ ისიც გვითხრა, ვის ებრძოლა კონკრეტულად? ვის არ სურდა «იმედის» დარბევის ინფორმაციის გადაცემა? ვის შეება «ნაც-ზორო» მაშინ ასე უშიშრად?**

მაგალითისთვის — **ბრიგოლ ვაშაძის** ნათქვამი: **„მე რომ მცოდნოდა, ბედუკაძე ციხის კადრების გადაღებას და გარეთ გამოტანას აპირებდა, ჩემი ხელით დავხვრეტდი!"-ც კმაროდა, მისთვის ნიკა გვარამიას რომ არ „გადაეჯოკრა". გასული კვირის კიდევ ერთი თემა „რუსთავი 2"-ის ოდიოზური და ყველაზე უთავმოყვარეო გენერალური დირექტორის, ყოფილი პროკურორის ის განცხადება იყო, რომელშიც ის სალომე ზურაბიშვილის მომხრეებს, ფაქტობრივად, პირადი ანგარიშსწორებით ემუქრება.**

**„ყველას გიმახსოვრებთ და აუცილებლად უნდა ჩამოგაშოროთ საზოგადოებაში ყველანაირ საქმიანობას, ვინც კი ოდნავ მაინც რაიმეთი დაეხმარებით მოღალატე სალომე ზურაბიშვილს!"** — ასე მიმართა გვარამიამ სოციალური ქსელების მომხმარებელს და, ფაქტობრივად, როგორც **ხევისბერმა გოჩამ — გუგუა,** ისე მოჰკვეთა „თემისგან" პრეზიდენტობის კანდიდატი ზურაბიშვილი. **„ამიერიდან ეკრძალება ყველას, მიაწოდოს მას წყალი, თუ მწყურვალი ნახა; მიაწოდოს მას პური, თუ უპუროდ ნახა; მიაწოდოს მას ცეცხლი, თუ უცეცხლოდ ნახა! დახშულ იყოს მისთვის ყველა სახლის კარი!"** – ფაქტობრივად, იგივე შინაარსის იყო „ხევისბერი ნიკას" გამოხდომა სალომე ზურაბიშვილის მიმართ. **„შესდექ, ხევისბერო!"** — შესძახა პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** და ნიკა გვარამიას ამ განცხადებას სპეციალური ბრიფინგიც მიუძღვნა. თუმცა, **სამწუხაროდ, მას აზრადაც არ გაუვლია, ონისესავით საკუთარ თავზე აეღო დანაშაული და „ოცნება" გაემტყუნებინა „კოჰაბიტაციის" გამო, რომელმაც ნიკა გვარამიასა და მისნაირ ტუტუცებს ასეთი „გაჯეჯილების" საშუალება მისცა.**

კოჰაბიტაციის პირდაპირი პროდუქტია **ზაალ უდუმაშვილი** და მიშასდროინდელი სხვა ვითომ „ჟურნალისტებიც", რომლებსაც უკვე კოლექტიური გულმავიწყობა დასჩემდათ. **ზაალ უდუმაშვილმა ქვეყნის დასანახავად აიჩეჩა მხრები ინგა გრიგოლიას წინაშე და წარმოთქვა: „ნამდვილად არ მახსოვს, ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ვინმესთვის ბიზნესის წილებში ჩაჯდომა მოეთხოვოთ!" ზაალ უდუმაშვილის ეს უტიფარი ფრაზა აუცილებლად შემორჩება, მეხსიერებას როგორც ქართული უნამუსო პოლიტიკისა და უსინდისო ჟურნალისტიკის ოქროს ნიმუში.** თუმცა, აუცილებლად უნდა დავუფასოთ ოქროს ფონდში შესატანი ფრაზების ამბავში ღვაწლი **ნოდარიკო მელაძესაც**, რომელმაც, როდესაც სამშენებლო კომპანია „სვეტის" აწ უკვე დაპატიმრებული ერთ-ერთი დამფუძნებლის ინტერვიუს უყურა, ერთობ გაკვირვებული სახით წარმოთქვა: **„აქამდე ვერც ვიფიქრებდი, რომ ხელისუფლების წარმომადგენელმა ასე თავხედურად შეიძლება დაუპიროს ბიზნესის წართმევა რომელიმე მეწარმეს".**

„გაპრავებებში" არანაკლებ ნიჭსა და უნარს ამჟღავნებს **ინგა გრიგოლიაც,** ოღონდ ის ასეთ გამაოგნებელ უტიფრობას ვერ კადრულობს, ნაცების ბიზნესმენებთან „ტკბილი" ურთიერთობების „გაპრავებები" რომ დაიწყოს და თვით ზაალ უდუმაშვილს „აპრავებს" — ეს ინგამ მაშინ გააკეთა, როდესაც ეს ნაცების ზორრო შეეცადა, მაყურებლისთვის თავი მოეწონებინა იმით, რომ თურმე ყოველთვის სწორი პოზიცია ეკავა და თურმე „იმედის" დარბევისას 2007 წლის 7 ნოემბერს „გმირობა" გამოუჩენია და „იმედის" დაცვა დაუწყია.

„კი, ზაალ, მე უნდა დაგემოწმო, მე მახსოვს შენი მაშინდელი პოზიცია და მახსოვს, როგორ იბრძოლე იმისათვის, რომ სიუჟეტი ტელეკომპანია „იმედის" დარბევის შესახებ გასულიყო „რუსთავი 2"-ზე", — ამ სიტყვებით მოწმინდა ნამუსი „ნაცების ზოროს" ინგა გრიგოლიამ, თანაც ისე, რომ წარბიც არ შეუხრია.

არადა, სინამდვილეში, „იმედის" დარბევის ამბავი მხოლოდ მას შემდეგ გადასცა „რუსთავი 2"-მა, როცა ეს ფაქტი უკვე გაშუქებული ჰქონდა ყველა დანარჩენ ქართულ ტელევიზიას და უკვე უცხოური ტელევიზიებიც გადმოსცემდნენ საქართველოში დამოუკიდებელი ტელეარხის ვანდალური დარბევის ფაქტს.

ამის შემდეგ, უბრალოდ, ძალიან სამარცხვინო იქნებოდა და შეუძლებელიც, რომ „რუსთავი 2"-ს ეს არ გადაეცა. ინტერნეტში ახლაც დევს ზაალ უდუმაშვილის ფრიად მოკრძალებული „თხოვნა" იმის შესახებ, რომ „იმედის" დარბევის ფაქტი აუცილებლად იქნას ობიექტურად გამოძიებული. ეს არის და ეს. აი, ამას უთვლის „გმირობად" ზაალ უდუმაშვილს ინგა გრიგოლია.

ისე კი, თუნდაც მათი ეს ბჟუტური და „ურთიერთგაპრავება" მართალიც იყოს, იმ დონის უტვინოა ორივე, რომ ვერც კი ხვდებიან, საკუთარი თავის საწინააღმდეგოს რომ ამბობენ. აკი, მათივე ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თურმე „თავისუფალ ტელევიზია" „რუსთავი 2"-ში ტელეკომპანია „იმედის" ვანდალური დარბევის შესახებ სიუჟეტის გაშვებას „ბრძოლა" დასჭირვებია ზაალ უდუმაშვილის მხრიდან.

**პატივცემულო ინგა, თვითონ თუ ხარ შემსწრე (როგორც თქვი), რა მედგრად იბრძოლა ზაალ უდუმაშვილმა ამისთვის, იქნებ ისიც გვითხრა — ვის ებრძოლა კონკრეტულად? ვის არ სურდა „იმედის" დარბევის ინფორმაციის გადაცემა? ვის შეება „ნაც-ზორო" მაშინ ასე უშიშრად?**

საინფორმაციო სამსახურის იმჟამინდელ უფროს **ნინო შუბლაძეს?** გენერალურ დირექტორ **ირაკლი ჩიქოვანს?** თუ ვის? აჰ, „ვიღაცას", ვინც იმხანად მაგ ტელევიზიას „სულ ზევიდან" აკონტროლებდა? **„ორი გვამი" რომ სურდა, იმ კაცს ხომ არა?**

**ახლა მითხარი, პატივცემულო „დიდო და თავისუფალო ჟურნალისტო" ზაალ-ზორო უდუმაშვილო, რომელმა თავმოყვარეობამ გაგაჩერა ჟურნალისტად იმ ტელეკომპანიაში, რომელშიც ქვეყანაში მიმდინარე უმთავრესი მოვლენის, დამოუკიდებლი ტელეკომპანიის ავტომატებით დარბევის, შესახებ ინფორმაციის გასვლას „დიდი ომის ფასად აღწევდი"? რა ჰქვია ტელევიზიას, რომელშიც ასეთი ინფორმაციების გადაცემას „დიდი ომი" სჭირდება?**

რა მოხდა? უცებ ისევ ამნეზია ხომ არ დაგემართა და ისეთ ფაქტებსაც ვერ იხსენებ „ნაცების" ზეობის პერიოდში, ნაცი ბიძიები ტელევიზიებს საკუთარი კანტორებივით რომ ექცეოდნენ და ჟურნალისტებს კიდე ჩმორებივით დაგარბენინებდნენ თავიანთ დაკრულზე?

გამოფხიზლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოდის აპატურაი, ნატოს წარმომადგენელი ამ რეგიონში, და გასაგებად გეუბნება: „ვერ მოგანიჭებ მაპს, იმიტომ, რომ ამან შეიძლება რუსეთი გააღიზიანოს და მე მისგან ვერ დაგიცავ“. რის იმედი გაქვს?“**



### გურამ ნიკოლაიშვილი:

# მართლა სჯერა ხელისუფლებაში ვინმეს, რომ მათთვის ეს პოლიტიკურად მომგებიანია?!

**საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივა და განსაკუთრებით დაპირება ნატოს სრულუფლებიან წევრობაზე ჩვეულებრივი ზღაპარი რომ არის, რომელსაც განხორციელება არასოდეს უწერია, წინა კვირას კიდევ ერთი დასავლელი მძიმეწონიანი პოლიტიკური თაღლითისა და ცინიკოსის კომიკური განცხადებით დადასტურდა. ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და შუა აზიაში — ჯეიმს აპატურაიმ ქართულ მედიასთან ალიანსის გაფართოებაზე ისაუბრა და ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ ყოყმანობს ზოგიერთი სახელმწიფო საქართველოსთვის მაპის მინიჭების მხარდაჭერის საკითხზე, მოკლედ უპასუხა: „ამის უკან კეთილი სურვილი დგას“. ლოგიკა, რომელსაც მისი ეს განცხადება ეყრდნობოდა, იმაში მდგომარეობს, რომ თურმე საქართველოსთვის მაპის მინიჭება რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხეს გაზრდის, მაპი კი ამ დროს უსაფრთხოების გარანტიებს ვერ იძლევა და ქვეყანა, შესაძლოა, დაუცველი აღმოჩნდეს. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი უსაფრთხოების დაცვისგან თავის შეკავება ჩვენივე უსაფრთხოების დაცვის მოტივით ყოფილა განპირობებული, ხოლო ნატოს ღია და ლამის ჩამოხსნილ-ჩამოგლეჯილი კარი, რომელშიც ამ ხნის განმავლობაში ვერ შევეტიეთ, დღეს, როგორც არასდროს, ფართოდ ყოფილა გაღებული...**

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს „მეოცნებე“ ხელისუფლება, მიუხედავად დასავლელი ლიდერების ბოლოდროინდელი განცხადებებისა ალიანსის გაფართოების უპერსპექტივობაზე, ისევ ევროატლანტიკური კურსის ერთგული რჩება და დეკლარირებულ პრონატოურ პოლიტიკაში მცირე კორექტივების შეტანასაც არ ცდილობს. პირიქით, აღნიშნული პოლიტიკის განუხრელად გაგრძელებით იგი მოსახლეობას ისევ ილუზიაში ტოვებს და ქვეყნის განვითარების ერთადერთ პირობად სწორედ ნატოსა და ევროკავშირს უსახავს.**

**რას ნიშნავს ნატოს წარმომადგენლის განცხადება, რომ მაპის მინიჭებისგან თავის შეკავება ჩვენსავე სასიკეთოდ კეთდება და რეალურად რაში გამოიხატება დასავლეთის ზრუნვა საქართველოს უსაფრთხოებაზე — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ჯეიმს აპატურაის თუ დავუჯერებთ, მაპზე და ნატოში მიღებაზე უარს იმიტომ გვეუბნებიან, რომ ჩვენთვის სიკეთე უნდათ...**

— არ ვიცი, ჩვენთვის რა უნდათ, მაგრამ ნატოში არ თუ ვერ მიღების მიზეზი არახალია, ჩვენ გამო აუტკივარ თავს არავინ აიტკიებს.

რაც შეეხება აპატურაის განცხადებას, დიახ, ის მართალია, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც შექმნის იმის თუნდაც მცირე პერსპექტივას, რომ საქართველო ნატოს დაუახლოვდეს, ჩვენთვის რისკს შეიცავს. რა რისკს, მგონი, ყველასთვის გასაგებია და ამას დიდი ანალიზი არ სჭირდება. **რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და ზედმეტი დიპლომატიური კეკლუცობის გარეშე არაერთხელ განაცხადეს, რომ ნატოს მიახლოება მათ საზღვრებთან არ დარჩება რეაგირების გარეშე.** ახლა რამდენიც უნდა იძახონ, რომ ეს რუსეთის საწინააღმდეგოდ არ კეთდება და ყველა სახელმწიფო თვითონ წყვეტს, სად შევიდეს, კრემლში ეს ყველაფერი აღქმულია საფრთხედ და მორჩა. ისე, ძალიან მაინტერესებს: **თუ ალიანსის მკაფიო შეფასებაა ის, რომ მაპი, რომელზეც ნერწყვი მოსდის დღევანდელ ხელისუფლებას, ისევე, როგორც მის წინამორბედს, არათუ ვერ უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას, პირიქით — ერთი-ორად გაზრდის საფრთხეებს, ვინაიდან შეიძლება რუსეთი გააღიზიანოს, რატომ გვეუბნებიან, რომ ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი დაცვა; რომ, ამას თუ მივიღებთ, თავი ქუდში გვაქვს და ა.შ.?!** მართლა სჯერა ხელისუფლებაში ვინმეს, რომ მათთვის ეს პოლიტიკურად მომგებიანია?!

**— იქნებ გარკვეულწილად არის კიდეც.**

— რანაირად? ერთია, რომ გამოვა ამერიკიდან ან ევროპიდან ოფიციალური შეხვედრების შემდეგ დაბრუნებული პრემიერი ან საგარეო საქმეთა მინისტრი და წინასაარჩევნოდ იტყვის: აი, ახლა რაღაცას მოვაწერეთ ხელი და ერთი ნაბიჯი რჩება წევრობამდეო, მაგრამ ამის შემდეგ თვითონ ალიანსის წარმომადგენლისგან და თანაც საკმაოდ გავლენიანი წარმომადგენლისგან რომ მოვისმენ სიმართლეს, რაც ისედაც არ არის არავისთვის სიახლე, დავიჯერებ ამათ დაპირებებს? ან **რომელ დაცვაზე და ბაზების განლაგებაზეა აქ ლაპარაკი, როცა ნატო ბალტიისპირეთშიც კი ვერ ათავსებს წესიერად თავის ძალებს?!** საერთოდ, როცა უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ: რუსეთი დასავლეთისგან არა მხოლოდ სამხედრო ბლოკის გაფართოებას აღიქვამს საფრთხედ, არამედ ენერგორესურსების ალტერნატიული გზების ძიებასაც. ანუ, როგორც მაპის მინიჭებაზე საუბარია კრემლისთვის გამაღიზიანებელი, ასეა ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვა ენერგომატარებლების ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით მოხვედრის მცდელობაც. ასე რომ, ჩვენ რაღაც ერთი კონკრეტული მიმართულებით არ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი. **რუსეთი ვილაცას წარმოუდგენია თავდაცვის პოზიციაში მდგომ დამარცხებულ მონსტრად, რომელიც სისხლისგან იცლება და მისი დაცემა მხოლოდ დროის საკითხია, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. რუსეთს დღეს საკმარისზე მეტი ძალა და რესურსი აქვს იმისთვის, რომ თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესები დაიცვას და ვერც ნატო, ვერც ცალკე აღებული რომელიმე დიდი სახელმწიფო ამ ინტერესების ხელყოფას იოლად ვერ გარისკავს.**

აქვე მინდა გაგახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, **დონალდ ტრამპის,** ერთი განცხადება, რომელიც სწორედ ნატოსა და მის წევრ სახელმწიფოებს ეხებოდა. მან თქვა, რომ ძალიან დიდი შეცდომა იყო ბალტიისპირეთის მიღება ალიანსში. ანუ რა გამოდის: თუ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, რომლებიც გეოპოლიტიკურად და კულტურულად ჩვენზე გაცილებით ახლოს არიან მათ ღირებულებებთან, მძიმე ტვირთია ნატოსთვის, საქართველო შეიძლება მათთვის მეტად საინტერესო იყოს?! სხვათა შორის, ტრამპს ასევე ჰკითხეს სანქციებზე თურქეთის წინააღმდეგ: რას ფიქრობთ, ამ სანქციების შედეგად ჩვენი მოკავშირეებიც რომ ზარალდებიანო? მან მოკლედ უპასუხა: „არ მაინტერესებს“...

**— გასაგებია, რომ ნატოს და მთლიანად დასავლეთს ხელები აქვს ჩვენზე დაბანილი — რუსეთს არავინ დაუპირისპირდება ჩვენ გამო... რა შეიძლება იყოს ამ პირობებში ჩვენი უსაფრთხოების გარანტი?**



— უსაფრთხოება, პირველ რიგში, არის სწორი, ადეკვატური საგარეო პოლიტიკა და ჯარი, მაგრამ, **დღეს რაც ჰყავს საქართველოს შეიარაღებული ძალების სახით, ჯარს ვერ დაარქმევ.** ჩვენ, ფაქტობრივად, ყველა კომპონენტში დაუცველი ვართ, მაგრამ იმ მიდგომისა და პოლიტიკის პირობებში, რომელიც, წლებია, ქვეყანაში არსებობს, ეს, ალბათ, გასაკვირი არც არის...

**— რას გულისხმობთ?**

**ისე, ძალიან მაინტერესებს: თუ ალიანსის მკაფიო შეფასებაა ის, რომ მაპი, რომელზეც ნერწყვი მოსდის დღევანდელ ხელისუფლებას, ისევე, როგორც მის წინამორბედს, არათუ ვერ უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას, პირიქით — ერთი-ორად გაზრდის საფრთხეებს, ვინაიდან შეიძლება რუსეთი გააღიზიანოს, რატომ გვეუბნებიან, რომ ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი დაცვა; რომ, ამას თუ მივიღებთ, თავი ქუდში გვაქვს და ა.შ.?!**

— 175 მილიონი ლარი იხარჯება აისაფის მისიაში 1200 ქართველი ჯარისკაცის გასაგზავნად. ამ დროს არ გვყავს საზღვაო და საჰაერო ძალები და დარჩენილი ვართ „ჯაველინების“ ამარა. ვისაც სამხედრო განათლება და გამოცდილება აქვს, კარგად იცის, რომ „ჯაველინი“ არ არის ის იარაღი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის თავდაცვა. ეს ერთი. მეორე: ვინ ხელმძღვანელობს დღეს თავდაცვის სისტემას? სწორი საკადრო პოლიტიკა გვაქვს? არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს **იზორია** გაგებაში არ არის, რა არის ჯარი, თავდაცვა, უსაფრთხოება. კი, შეიძლება, განათლებული კაცია, ნასწავლი, ჭკვიანი და გამოცდილი, მაგრამ ეს სფერო არ იცის; არადა, გადაწყვეტილებებს ისე იღებენ, გეგონება, ყველაფერი იციან. როგორ შეიძლება, ჯარი მართოს არასამხედრომ, გამოუცდელმა, **თუმცა, ვინც მანამდე იყო და კიდევ მანამდე, მათ ეს სჯობს.**

**— თინა ხიდაშელს გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა. მისი მინისტრობის პერიოდში თავდაყირა დადგა ყველაფერი. იცით, რამდენი ოფიცერი დაითხოვეს? მერე გამოდიან და — ნატოს გენერლებმა რეფორმები შეგვიქესო. გჯერათ, რომ ის, რაც დღეს ქართულ ჯარში ხდება, ნატოს გენერლებს მოსწონთ?

რაც შეეხება მინისტრის იმ განცხადებას, რომ თურმე ჩვენ უფრო ძლიერი უნდა გავხადოთ ტერიტორიული დაცვა, როგორ წარმოგიდგენიათ ეს, მაგალითად, **ახალქალაქში, როცა კადრები არ ჰყავთ, ოფიცრები დაითხოვეს, ჯარის შეიარაღება შეამცირეს და თავდაცვა უნდა გააძლიერონ? კომიკური მდგომარეობაა. ერთი მათ თავებში ჩამახედა...**

**— ალბათ, დასავლეთთან ინტეგრაციის გზით.**

— კი მაგრამ, იქიდან რომ არ გპირდებიან არაფერს?! გამოდის აპატურაი, ნატოს წარმომადგენელი ამ რეგიონში, და გასაგებად გეუბნება: „ვერ მოგანიჭებ მაპს, იმიტომ, რომ ამან შეიძლება რუსეთი გააღიზიანოს და მე მისგან ვერ დაგიცავ“. რის იმედი გაქვს? ჯარი არ გყავს, შეიარაღება არ გაქვს, პოლიტიკურად ხომ საერთოდ მოწყვეტილი ხარ რეალობას, სამი დაჟანგული ტანკით გინდა, დაიცვა ქვეყანა?! იცით, რა მგონია? **ესენი ხელოვნურად ქმნიან ილუზიას, რომ დასავლეთში ვიღაცას მოსწონს. ამ დროს დასავლეთს მოსწონს ის, რომ საქართველო სამშვიდობო ოპერაციებისთვის გამოყოფს 1200 კაცს და 175 მილიონ ლარს ბიუჯეტიდან, ანუ სამხედრო ბიუჯეტის 27 პროცენტს (სულ ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი დღეს არის 680 მილიონი ლარი).** ასე რომ, ეს არის ერთგვარი პოლიტიკური ინდულგენცია, რომელიც სჭირდება მთავრობას, რათა დასავლეთმა ესენი ცნოს. დადის მერე იზორია შეხვედრებზე თავაწეული და აცხადებს: **აი, იმან შემაქოო... შენ რომ შეგაქო, ჩვენ რა? ქვეყანამ რა მიიღო?** გეგონება, თავის ჯიბიდან ამოიღო ეს 175 მილიონი ლარი...

**— საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირა რჩება. კანდიდატებიდან რომელიმე თუ გაძლევთ იმედს, რომ რამე შეიძლება უკეთესობისკენ შეიცვალოს? მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ თავდაცვის მიმართულება, მთლიანად სახელმწიფოებრივი მიდგომა.**

— დღევანდელ ვითარებაში პრეზიდენტი ვერაფერს შეცვლის, იმიტომ, რომ კონსტიტუციაში სრული ქაოსია, ანუ ვინ მართავს, ვის რა უფლებები აქვს, დღემდე გაუგებარია და, სანამ ეს არ დალაგდება, არაფრის მოლოდინი არ მაქვს. რაც შეეხება ისევ თავდაცვას, დღეს საქართველოში ვერც ერთ უწყებაში, ვერც ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე სამხედროს ვერ ნახავთ. მეტსაც გეტყვით, **დავით თევზაძის** შემდეგ თავდაცვის არც ერთი მინისტრი არ ყოფილა სამხედრო პირი. ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა პრეზიდენტი გვერდით იყენებდა სწორედ სამხედროებს. ის კი არა, 45 პრეზიდენტიდან 22 სამხედრო პირი იყო. აი, ეს არის ის, რაც ცხადყოფს და ყველასთვის ნათელს ჰფენს ამათ მიდგომას, პოლიტიკას მთლიანობაში, ხოლო მათ განცხადებებს უსაფრთხოებაზე, უბრალოდ, კომიკურს ხდის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„საქართველოს თავის ტოლ ქვეყანასთან რომ ჰქონდეს საქმე, მაშინ ჩვენი სიჯიუტე გასაგები იქნებოდა, მაგრამ, როდესაც ვიცით, რომ ვუპირისპირდებით სახელმწიფოს, რომელთანაც ძალისმიერი მეთოდებით საუბარი არ გამოგვივა, გაუგებარია ეს სიჯიუტე. ვიცით, ვინმე რომც დაგვეხმაროს, ძალისმიერი მეთოდით ბრძოლას მაინც ვერ მოვიგებთ. მსოფლიო რომ აღდგეს რუსეთის წინააღმდეგ, ძალით ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებენ, რადგან რუსეთი არის იმ პოტენციალის ქვეყანა, რომელთანაც ჯიბრით, ძალითა და მუქარით საუბარი არ გაგვივა“.

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვალერი კვარაცხელია:

# წარმოგიდგენიათ, ვლადიმერ პუტინისა და მარგველაშვილის ან ბახტაძისა და პუტინის მოლაპარაკება?

**„ჩვენ ვკითხულობთ საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს, მაგალითად, საქართველოს პრემიერმინისტრის გამოსვლას გაეროში. გვესმის, როგორი დამოკიდებულებაა რუსეთის მიმართ. შევეცდებით, ამას რამე მოვუხერხოთ; შევეცდებით, ყველაფერი პოზიტივისა და კონსტრუქციული მსჯელობის გამოყენებით გავაკეთოთ. ასეთი განცხადებები ჩვენს იმედგაცრუებას იწვევს, ცინიკურად ალიქმება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთოებების დამყარების სურვილი და, ამასთანავე, ამ ქვეყნების დადანაშაულება იმაში, რომ იქ არანორმალური ვითარებაა. ჩვენ ვმართავთ შეხვედრას პრაღაში, რათა გადავჭრათ ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც შეგვიძლია. ეს არის სატრასპორტო, სახმელეთო, საჰაერო მიმოსვლა, სავაჭრო ურთიერთობები, ჰუმანიტარული კონტაქტები, სავიზო საკითხები, ამ არასრული 6 წლის განმავლობაში რაღაც გამოგვივიდა. იმედი გვაქვს, ეს კონსტრუქციული ტენდენცია გაგრძელდება. არ გამოგვივიდა პოლიტიკური ნაწილი“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა გაეროში საქართველოს პრემიერმინისტრ მამუკა ბახტაძის გამოსვლის შემდეგ. საქართველოს პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის ფედერაციას მოუწოდა, შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. გრიგორი კარასნის განცხადებაზე გვესაუბრება ანალიტიკოსი, პარტია „სოციალისტური საქართველოს“ დამფუძნებელი ვალერი კვარაცხელია:**

## «საქართველო დღეს კოლონიურ მდგომარეობაშია, უუფლებოა ჩვენი ქვეყანა, დაპყრობილი ვართ»

— გაეროში საქართველოს პრემიერმინისტრის გამოსვლა არ მომისმენია, რადგან ახალს არაფერს ველოდი. ახალსა და საინტერესოს ბახტაძე ვერ იტყოდა, რადგან მისთვის ასეთი რამ არავის დაუვალებია. ეს კაცი არ არის საქართველოს რეალური ხელმძღვანელი. ის არის პიროვნება, რომელიც პრემიერად დასვეს, პროგრამა მისცეს და გააფრთხილეს, რასაც უნდა ემსახუროს. ის, რაც ამ პრემიერის პირობებში ხდება, არის ჩვეულებრივი გაგრძელება დაწყებული ხაზისა — რუსეთთან დაპირისპირება, მუშტების ქნევა, ფეხების ბაკუნი, რომელსაც სასიკეთო შედეგი არ მოაქვს და ვერც მოიტანს. ასე რომ, არც ბახტაძეა საინტერესო ამ თვალსაზრისით, ამიტომაც მოჰყვა მის გამოსვლას გაეროში კარასინის განცხადება.

თუ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ვცდილობთ, მიდგომები უნდა შევცვალოთ. თუკი მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომას ვფიქრობთ, მაშინ წინასწარ არ უნდა ვიყვიროთ სალანძღავი სიტყვები და მუშტი არ უნდა მოვუღეროთ. ჯერ უნდა შეხვდე, ჰკითხო, რა აინტერესებს მას, აუხსნა, შენ რა გინდა და რა ინტერესი გამოძრავებს, აუცილებლად უნდა გაიგო, მისი წითელი ხაზები სად გადის და მანაც უნდა იცოდეს, სად გადის შენი წითელი ხაზები; უნდა დაიდოს პირობა, რომ ამ წითელ ხაზებს არავინ დაარღვევს და შედგება დიალოგი ორ სახელმწიფოს შორის. აი ასე უნდა მოიქცეს გონიერი სახელმწიფო და მისი პოლიტიკოსები, მაგრამ ასე არ ხდება და ამიტომაც რუსეთის საგარეო უწყება ხან მუქარას გვითვლის, ხან საუბრის ტონს გვიწუნებს... საქართველოს დაკარგული აქვს ტერიტორიები, ჩვენი ყოფილი ტერიტორიები უკვე აღიარებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკებად, ამიტომ უნდა ვისწრაფვოდეთ იმისკენ, რომ ეს რეალობა შევცვალოთ.

**საქართველოს თავის ტოლ ქვეყანასთან რომ ჰქონდეს საქმე, მაშინ ჩვენი სიჯიუტე გასაგები იქნებოდა, მაგრამ, როდესაც ვიცით, რომ ვუპირისპირდებით სახელმწიფოს, რომელთანაც ძალისმიერი მეთოდებით საუბარი არ გამოგვივა, გაუგებარია ეს სიჯიუტე. ვიცით, ვინმე რომც დაგვეხმაროს, ძალისმიერი მეთოდით ბრძოლას ვერ მოვიგებთ. მსოფლიო რომ აღდგეს რუსეთის წინააღმდეგ, ძალით ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებენ, რადგან რუსეთი არის იმ პოტენციალის ქვეყანა, რომელთანაც ჯიბრით, ძალითა და მუქარით საუბარი არ გაგვივა.**

კარასინმაც სწორედ ეს გვითხრა, — თავი უნდა დავანებოთ როტორიკას, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენთვის არის მომაკვდინებელი და შემდე უკვე — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისთვის. როდესაც ამას გეუბნება იმ სახელმწიფოს საგარეო უწყების მაღალჩინოსანი, რომელთანაც ურთიერთობები აუცილებლად გასარკვევი გაქვს, უნდა შეიგნო, დასკვნა გამოიტანო, რომ მასაც სურს, დაგელაპარაკოს, გადაწყვეტილება მიიღოს და ამის საშუალებას შენ არ იძლევი. კარასინის შეფასება აბსოლუტურად სწორი იყო.

**— ამჯერად უკვე კარასინის პირით კიდევ ერთხელ შემოგვითვალა რუსეთმა მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა. საინტერესოა, რუსეთის პრეზიდენტი ვის შეიძლება დაელაპარაკოს საქართველოს მხრიდან, რადგან ჩვენ ვიცით, რომ უფლებამოსილი პირი ქვეყანას არ ჰყავს, არ ჰყავს ადამიანი, რომელიც რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მოლაპარაკების პირობებს პირნათლად შეასრულებს. ეს რუსეთის პრეზიდენტმაც კარგად იცის. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთი ამ მიწვევას, უბრალოდ, მსოფლიოს დასანახავად აკეთებს?**

— განვიხილოთ ორივე შემთხვევა. მე რუსეთის შემოთავაზებაში ეჭვის შეტანის მიზეზს ვერ ვხედავ, რადგან სახელმწიფომ ამდენჯერ შემოგვითვალოს, — დამელაპარაკეო, წარმოუდგენელია და მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ამას ვიღაცის დასანახავად აკეთებდეს, რადგან, თუკი ჩვენი მხრიდან პასუხი დადებითი იქნება, რა, უარს იტყვის? ასეც რომ იყოს და ჩავთვალოთ, რომ რუსეთი მსოფლიოს დასანახავად გვეძახის და სხვა არაფერი აინტერესებს, ჩვენ ხომ უნდა ვცადოთ? ჩვენც ხომ უნდა დავანახვოთ მსოფლიოს, რომ აი, დამიძახა, მე თანახმა ვარ და ის არ მხვდება, მზად არ არის ჩვენთან შეხვედრად. მოკლედ, არც ერთ შემთხვევაში ჩვენ მართლები არ ვართ.

გაიხსენეთ გიორგი მარგველაშვილის სიტყვები ერთ-ერთი ასეთი შემოთავაზების შემდეგ: „მე დავეკითხები ჩვენს პარტნიორებსა და კოლეგებს დასავლეთში და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, მივიღოთ თუ არა რუსეთის შემოთავაზება“.

**ჩვენი ქვეყნის პირველ პირებს, იქნება ეს პრეზიდენტი თუ პრემიერმინისტრი, არ აქვთ უფლება, ვინმეს დაელაპარაკონ, სანამ დასავლეთს არ შეუთანხმებენ და ნებართვა არ ექნებათ. აი, ეს არის კატასტროფული მდგომარეობა და არა ის, პუტინი თავის ნათქვამს შეასრულებს თუ არა. ჩვენ სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას უფლება არ აქვს, დაელაპარაკოს მას, ვისთანაც სურს დალაპარაკება. საქართველო დღეს კოლონიურ მდგომარეობაშია, უუფლებოა ჩვენი ქვეყანა, დაპყრობილები ვართ.**

**— რა შემთხვევაში ექნება რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკებას შედეგი?**

— შედეგი იმ შემთხვევაში იქნება, თუკი საქართველოს ეყოლება მმართველი, რომელსაც შეეძლება კარგად გაიაზროს, რა მდგომარეობაა შექმნილი, რა არის ჩვენთვის სასურველი და არა საოცნებო, რომანტიკული. უნდა გამონახოს ოპტიმალური ვარიანტი. პოლიტიკა ოპტიმალურის გამონახვის ხელოვნებაა. ოპტიმალური შედეგი რომ მიიღო, სიტუაციას უნდა ფლობდე, ანალიზის უნარი უნდა გაგაჩნდეს. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებაში არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ამის უნარი აქვს. ეს კი შემთხვევით არ ხდება. **მართალია, არჩევნების გზით, მაგრამ ხელისუფლებაში ამერიკელებს ყოველთვის მოჰყავთ ის გუნდი, რომელიც მათთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამს, შესაბამისად, ამ გუნდის წარმომადგენლებს კომპეტენციაც არ აქვთ იმისა, რომ გაიაზრონ და გააანალიზონ სიტუაცია, მათ განათლება არ ჰყოფნით, პოლიტიკური ცოდნა არ აქვთ, სამაგიეროდ, აქვთ თანამდებობები, კეთილდღეობა, რასაც საქართველო და მომავალი თაობები ეწირება.**

**წარმოგიდგენიათ, ვლადიმერ პუტინისა და მარგველაშვილის ან ბახტაძისა და პუტინის მოლაპარაკება?**

**— საზოგადოების ერთი ნაწილი სალომე ზურაბიშვილს პრორუსული ძალის წარმომადგენლად მიიჩნევს, ფიქრობენ, რომ შესაძლოა, გარღვევა მოახდინოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში...**

— სალომეზე, როგორც მომავალ პრეზიდენტზე, ჯერ ვერ ვისაუბრებ, განა იმიტომ, რომ, თუ ამერიკა და ჩვენი ხელისუფლება გადაწყვეტს, ვერ გააპრეზიდენტებენ. არა, უბრალოდ, იმას ვფიქრობ, სხვა რამეზე ხომ არ არიან ჩამოყალიბებულები და ქართველ ხალხს ანკესზე წამოაგებენ. **ვფიქრობ, სალომეს ნაცვლად, ნაცების ვაშაძე არ მოგვევლინოს პრეზიდენტად. პრეზიდენტი გახდება ის, ვისაც ამერიკელები შეარჩევენ და არა ის, ვისაც ქართველი ხალხი აირჩევს.** ვინც უნდა იყოს პრეზიდენტი დღეს წარმოდგენილ კანდიდატებს შორის, შეუძლია კი რომელიმე მათგანს იმ ტვირთის აწევა, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარება ჰქვია? შეუძლია რომელიმე მათგანს, მოლაპარაკება აწარმოოს პუტინთან? არც ერთ მათგანს არ შეუძლია პასუხიმგებლობა დაიკისროს. მათი კეთილსინდისიერება ეჭვქვეშ დგას: აღელვებთ სამშობლოს ბედი? — ეს დგას ეჭვქვეშ. პრეზიდენტობის კანდიდატები ის ადამიანები არიან, რომლებიც სულ იქ დგანან, სადაც მომგებიანი პოზიციაა.

ქართველ ხალხს არჩევანი არ გვაქვს, ყველა კანდიდატი ერთი გუნდის წევრია და, რომელი მათგანიც გახდება პრეზიდენტი, ცხადია, რომ დასავლეთის კადრია.

საქართველოს, საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით, რევოლუციური ცვლილება სჭირდება. ჩვენ **ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ, დავწყევლოთ ის გზა, რომელსაც, 30 წელიწადია, ვადგავართ და რომელმაც დაასამარა საქართველო. სამწუხაროდ, ამის პოტენციალი პრეზიდენტობის მსურველთაგან არც ერთს არ გააჩნია.**

**— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მოლაპარაკების მაგიდასთან არ გვეძახდა რუსეთი. რადგან ახლა ამდენჯერ გვიხმეს, იქნებ, ადრე თუ გვიან, მაინც გაიმართოს ეს დიალოგი?**

— მინდა ოპტიმისტი ვიყო, მაგრამ ნახეთ, რა გაუკეთეს ნინო ბურჯანაძეს? მომწონს ეს ადამიანი თუ არა, ამაზე არ ვლაპარაკობ ახლა, უბრალოდ, ვამბობ იმას, რაც იყო: ბურჯანაძე საუბრობდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე და ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ იძულებული შეიქნა, საპრეზიდენტო არჩევნებს გამოთიშვოდა. ვფიქრობ, ვითარება ისეთი დამუხტულია, კედელთან მიყენებული ქართველი ხალხის გადაწყვეტილების ეშინიათ. სინათლე თითქოს ჩანს, საზოგადოებრივი აზრი მომწიფებულია იმისთვის, რომ გარღვევა მოხდეს საგარეო პოლიტიკაში. თუ ეს არ მოხდება დღეს, ვითარება აუცილებლად შეიცვლება 2020 წელს. მინდა გითხრათ, რომ რუსეთისთვისაც არ არის ეს მდგომარეობა სახარბიელო.

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

«ჩვენი ქვეყნის პირველ პირებს, იქნება ეს პრეზიდენტი თუ პრემიერმინისტრი, არ აქვთ უფლება, ვინმეს დაელაპარაკონ, სანამ დასავლეთს არ შეუთანხმებენ და ნებართვა არ ექნებათ. აი, ეს არის კატასტროფული მდგომარეობა და არა ის, პუტინი თავის ნათქვამს შეასრულებს თუ არა. ჩვენ სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას უფლება არ აქვს, დაელაპარაკოს მას, ვისთანაც სურს ლაპარაკი»

პენიტენციური სისტემა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2012-ში ამომრჩეველს ხმა არ მიუცია კოალიციაში გაერთიანებული ათასი ჟიურის ადამიანისთვის, მათ ხმა სამართლიანობის აღდგენის პროცესს მისცეს და... ხელში კოჰაბიტაცია შერჩათ. ახლა კი ის ადამიანები, რომლებიც მოსახლეობას ატერორებდნენ, შიშში აცხოვრებდნენ, უთვალთვალებდნენ, პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებდნენ, წამებულებად იქცნენ. გვეუბნებიან, რომ უნდა გვეცოდებოდნენ, რომ თურმე სასათბურე პირობები არ აქვთ ციხეში. ისე, სასათბურე პირობები ციხეში გირგვლიანის მკვლელებს ჰქონდათ, რომლებსაც არც სასმელი აკლდათ, არც საჭმელი და არც ღრეობა-დროსტარება.**

# მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში «პატიმარი მერაბიშვილი» დიდი ხნის გარდაცვლილი და დავიწყებული იქნებოდა

**„გლდანის ციხის მორგში შემიყვანა რეჟიმის უფროსმა ოლეგ ფაცაციამ. იქ მიცვალებულს ასუფთავებდნენ, სხეულიდან ნაწილი ამოაჭრეს და სახეზე მომისვეს, მერე გვამზე სკოჩით დამაბეს და მთხოვდნენ, მეღიარებინა დანაშაული. რეალურად, ჩემი ბიზნესი ვანო მერაბიშვილს უნდოდა, უფრო სწორად, მისი ცოლის ბიძას და ამიტომ მაწამებდნენ“, — ეს არის ამონარიდი ყოფილი პატიმრის, ლევან ცეცხლაძის, ჩვენებიდან.**



ცეცხლაძე ერთადერთი არ არის ყოფილ პატიმართაგან, რომელიც ხელს შს ყოფილი მინისტრისკენ იშვერს. ყველაზე გახმაურებული მაინც სანდრო გირგვლიანის საქმეა. საქმე, რომელსაც ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა და სუფრაზე, სადაც კონფლიქტი დაიწყო, სხვებთან ერთად მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაიაც იმყოფებოდა.

სიმართლე გითხრათ, მერაბიშვილის დაკავების შემდეგ, ბევრს ეგონა, მას მრავალწლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ და, თუ სამუდამოს გადაურჩებოდა, სასწაული იქნებოდა. სასწაული არ მოხდა, ყოფილ მინისტრს, პრაქტიკულად, მინიმალური სასჯელი აკმარეს და, წესით, ციხიდან გაისად უნდა გათავისუფლდეს. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, ისიც აღვნიშნოთ, რომ მერაბიშვილის ადვოკატებმა და თანაგუნდელებმა პრეზიდენტს მისი შეწყალება სთხოვეს, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან თვითონ მინისტრყოფილმა შეწყალების თხოვნას ხელი არ მოაწერა. როგორც შევიტყვეთ, იგი სწორედ ყოფილმა თანაგუნდელებმა დაარწმუნეს, რომ შეწყალების თხოვნა არ დაეწერა, რადგან... არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი მათი იქნებოდა და ის შეიწყალებდა. **უწერია თუ არა ნაციონალების ფიქრებსა და ოცნებებს ახდენა, თავად განსაჯეთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ, საზოგადოდ, ეს ფიქრები და იმედები რომ აქვთ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, „ქართული ოცნების“ დამსახურებაა...**

ჯანმრთელობის გაუარესების გამო მერაბიშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან საავადმყოფოში რამდენჯერმე გადაიყვანეს. მერე იყო, ადვოკატებმა ხმაური რომ ატეხეს, დიდი ივანე კვდება — ან სიმსივნე აქვს, ან მოწამლესო. რა თქმა უნდა, ადვოკატებს ერთ ხმაში აჰყვა არასამთავრობო სექტორი, იქ ვიღაც პროფესორი გამოჩნდა, რომელმაც ანალიზის პასუხებს გადაავლო თვალი და ბეჭედიც დაუსვა — ან მოწამვლაა, ან სიმსივნეო. მერე ოჯახმა თავისი მკურნალი ექიმების ჩართვა მოითხოვა, არასამთავრობოებმა საერთოდ საპროტესტო აქციები დააანონსეს და... **სოციალურ ქსელში გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც მინისტრყოფილი ნორმალურად გამოიყურება და, რაც მთავარია, ოჯახის მიერ მოწვეულმა ექიმმაც და ექიმთა კონსილიუმმაც დაასკვნეს, რომ არც სიმსივნეა და არც მოწამვლა. მერაბიშვილის დაავადება იკურნება და დაახლოებით ისეა: ადამიანი ხანდახან ავად რომ ხდება.**

თუმცა, ნურას უკაცრავად, აქეთ კიდევ ერთი ექიმი აყვირდა: ვანოს ბევრი ჟანგბადი სჭირდება და ამიტომ სუფთა ჰაერზე უნდა ჰყავდეთო. **არ დასცალდათ ნაციონალებს, თორემ გურიაში, კონკრეტულად კი ლაითურში, 15-ათასიან ციხეს აშენებდნენ, უფრო სწორად — ციხე-ქალაქს, რომელშიც მთელი საქართველოდან უნდა წაეყვანათ პატიმრები, ანუ იმხანად არსებული 21 პენიტენციური დაწესებულებიდან, რომელიც, საერთო ჯამში, 20 ათას კაცზე იყო გათვლილი, არ ჰყოფნიდათ, რადგან ერთი იმდენი კიდევ უნდა დაეჭირათ.** ჰოდა, რომ აეშენებინათ, გადაიყვანდნენ იქ მერაბიშვილს და იქნებოდა ზღვიდან მონაბერ ჰაერზე...

* „გლდანის ციხეში, მინუს მესამე სართულზე ვყავდი წელიწადზე მეტ ხანს. ოთახში ჰაერი მაჯის სიმსხო მილით უნდა შემოსულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ არასდროს გაწმენდილა, გაბიდნული იყო. 4 კვადრატულ მეტრში მარტო ვცხოვრობდი და კვირაში ერთხელ მცემდნენ. ეს იმიტომ, რომ მერაბიშვილის ესკორტს გზა გადავუჭერი, მანქანიდან მომზირალ ვანოს კი თვალი გავუსწორე და თურმე არ მოეწონა“, — ყოფილი პატიმრის, გოგა ასათიანის, მონაყოლიდან, რომელიც ამ ამბიდან ორ საათში გალაკტიონის ხიდზე გააჩერეს და ჯიბეში ექვსი აბი სუბოტექსი „უპოვეს“.

**«გლდანის ციხეში, მინუს მესამე სართულზე ვყავდი წელიწადზე მეტი. ოთახში ჰაერი მაჯის სიმსხო მილით უნდა შემოსულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ არასდროს გაეწმინდათ, გაბიდნული იყო. 4 კვადრატულ მეტრში მარტო ვცხოვრობდი და კვირაში ერთხელ მცემდნენ. ეს იმიტომ, რომ მერაბიშვილის ესკორტს გზა გადავუჭერი, მანქანიდან მომზირალ ვანოს კი თვალი გავუსწორე და თურმე არ მოეწონა», —ყოფილი პატიმრის, გოგა ასათიანის მონაყოლიდან, რომელიც ამ ამბიდან ორ საათში გალაკტიონის ხიდზე გააჩერეს და ჯიბეში ექვსი აბი სუბოტექსი «უპოვეს»**

ნაციონალების ზეობის პერიოდში მერაბიშვილი იყო ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელსაც ყველაფრის უფლება ჰქონდა. ყველაფერში იგულისხმება ადამიანის უკანონო დაპატიმრებით დაწყებული, მკვლელობით დამთავრებული და, **თუ მკვლელობების რაოდენობა, რომლებშიც მერაბიშვილის ხელი ურევია, მოარული ხმების მიხედვით, ათეულს ითვლის, უკანონოდ დაპატიმრებული და ციხეში გამომწყვდეული ადამიანების რაოდენობა ასეულობით არის. ისიც „ოცნების“ დამსახურებაა, რომ ყველა საჩივარს ბოლომდე არ მიჰყვნენ, ყველაფერი ბოლომდე არ გამოიძიეს, ან, უბრალოდ, ადამიანებს არ დაუჯერეს ის, რომ ღამის სამ და ოთხ საათზე, სანოტარო წესით მერაბიშვილის ოჯახის წევრებზე ბიზნესები საკუთარი სურვილით არ გადაუფორმებიათ. მას დაუმტკიცეს ორი თუ სამი საქმე, ეს საკმარისად ჩათვალეს და ციხეში ჩასვეს.** ქონებაწართმეული ადამიანებისთვის, გარდაცვლილთა ოჯახებისთვის, ციხეში წლობით უსამართლოდ გამომწყვდეული პირებისთვის კი რამდენად დიდი შეღავათი იყო ეს, თავად განსაჯეთ.

*** „გაჩიანის პოლიციის შენობის რემონტის ტენდერი ჩემმა ფირმამ მოიგო. 180 ათასი ლარის საქმე იყო, რა თქმა უნდა, ნამუსიანად გავაკეთეთ, იმიტომ, რომ საქმე პოლიციას ეხებოდა. როცა ობიექტი ჩავაბარეთ და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ წუნი ვერ იპოვა, კუთვნილი მოვითხოვე. უარი მითხრეს და მაშინ უკვე ოფიციალური წერილი მერაბიშვილს გავუგზავნე: თქვენი უწყების შენობა გავაკეთე, ფულს კიდევ არ მიხდიან-მეთქი. დამიბარა ვანომ, მივედი და მშვიდად მითხრა, —კიდევ თუ მოითხოვ ფულს, ყველაფერს დაკარგავ და თავხედობისთვის მხოლოდ იმას გაკმარებ, რომ რამდენიმე ობიექტი სათვალთვალო კამერებით შენი ხარჯით აღჭურვოო. ეგ დამატებით 80 ათასი ლარი დამიჯდა და, საერთო ჯამში, 260 ათასი ლარი ჰაერში გავისროლე. ამას ის მოჰყვა, რომ რუსთავში ორივე ბინა გავყიდე, დღემდე ნაქირავებში ვცხოვრობ და მას შემდეგ აღარ მიმუშავია, ფირმა გაკოტრების გამო გავაჩერე“,** — ესეც ერთ-ერთი რუსთაველი ბიზნესმენის მონაყოლია.

ყველაზე საინტერესო მაინც არასამთავრობოების პოზიციაა. ძალიან გვაინტერესებს, სად იყვნენ არასამთავრობოები მაშინ, როცა გვამები გადიოდა ციხეებიდან, მაშინ, როცა ყველა ამბობდა, რომ კარანტინის დაშლისას პატიმრებს სასტიკად უსწორდებოდნენ, მაშინ, როცა ბიზნესმენებს აყაჩაღებდნენ. სად იყო სახალხო დამცველი, რომელიც ახლა ბოლო ხმაზე ყვირის? წინა სახალხო დამცველი **გიორგი ტუღუში** ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გახდა, ანუ დაადასტურა, რომ მათი ჯიბის კაცი იყო. და მივდივართ ისევ იქამდე, რომ ის, რაც ახლა ხდება, პირველ რიგში, „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. ადამიანები, რომლებიც სამართალს ეძებდნენ, ისევ მოტყუებული დარჩნენ. **2012-ში ამომრჩეველს ხმა არ მიუცია კოალიციაში გაერთიანებული ათასი ჟიურის ადამიანისთვის, მათ ხმა სამართლიანობის აღდგენის პროცესს მისცეს და... ხელში კოჰაბიტაცია შერჩათ. ახლა კი, ის ადამიანები, რომლებიც მოსახლეობას ატერორებდნენ, შიშში აცხოვრებდნენ, უთვალთვალებდნენ, პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებდნენ, წამებულებად იქცნენ. გვეუბნებიან, რომ უნდა გვეცოდებოდნენ, რომ თურმე სასათბურე პირობები არ აქვთ ციხეში. ისე, სასათბურე პირობები ციხეში გირგვლიანის მკვლელებს ჰქონდათ, რომლებსაც არც სასმელი აკლდათ, არც საჭმელი და არც ღრეობა-დროსტარება.** მკვლელებს, რომლებსაც წინა ხელისუფლებამაც კი დაუმტკიცა დანაშაული, იმიტომ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, ციხეში, პრაქტიკულად, იმაზე უკეთესად აცხოვრებდნენ, ვიდრე გარეთ გრძნობდნენ თავს, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სკანდალში მერაბიშვილის ცოლი იყო გარეული. **ის ცოლი, ახლა რომ გაიძახის, ქმარს არ მანახვებენო და მაშინ თვალის დაუხამხამებლად გასცა სანდრო გირგვლიანის დასჯის ბრძანება. მას არ ანახვებენ ქმარს, რომლის გამოც ასობით ოჯახმა ქმარი, შვილი, ძმა ცოცხალი ვეღარ ნახა.**

კარგად გვესმის, რომ მიმტევებლები უნდა ვიყოთ, რომ **ტოლერანტობა აუცილებელია, მაგრამ ეს ყველაფერი იდიოტიზმში არ უნდა გადავიდეს.** მერაბიშვილი ისედაც იღებს იმაზე მეტს, ვიდრე მისი მინისტრობის დროს იღებდნენ პატიმრები. საავადმყოფოში გადაყვანა პატიმრების 99%-ს აუხდენელ ოცნებად რჩებოდა და სწორედ ამის გამო, არაერთი პატიმარი გარდაიცვალა. იმის გამო, რომ ბრძანება „ყველა ციხეში“ ზედმიწევნით სრულდებოდა და იქ, ციხის ჯურღმულებში, მყოფ პატიმრებს სასტიკად ექცეოდნენ.

*** „კარანტინში რვა კაცი ვიყავით და მორიგემ მოგვიბოდიშა: დღეს გაძელით, ხვალ საკნებში გადაგანაწილებთო. მოგვიბოდიშა იმიტომ, რომ კარანტინში მხოლოდ ექვსი საწოლი დგას“,** — ყვება პატიმარი, რომელიც ციხიდან მიმდინარე წელს გამოვიდა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსუბუქი დანაშაულის გამო ექვსი თვე გაატარა.

*** „როცა კარანტინში შემიყვანეს, 32-ე ვიყავი. დასაწოლი კი არა, დასადგომი ადგილიც კი არ იყო. გარეთ იანვარი იდგა, კარანტინში კი პატიმრები გახდილები იყვნენ, რადგან სარკმლიდან, რომელიც მტკაველზე იღებოდა, ჰაერი პრაქტიკულად არ შემოდიოდა. პატიმრების სხეულებიდან ასული ოხშივარი ჭერზე წვეთებად იყო მიმდინარი და იქიდან პატიმრების ოფლი ისევ პატიმრებს ეწვეთებოდა. ასეთ მდგომარეობაში 11 დღე გავატარე, შემდეგ კი კარანტინის დაშლა დაიწყო და ყველა პატიმარს ჯერ წიხლით შედგნენ, შემდეგ კი საკნებში გადაანაწილეს“,** — ეს იმ პატიმრის მონაყოლია, რომელმაც გლდანის ციხე ნაციონალების ზეობის პერიოდში გამოიარა.

ჰოდა, შეირგეთ, ბატონებო, ის, რომ მერაბიშვილი არ უცემიათ, არ უწამებიათ, არ „მიუცოცხიათ“, რომ საავადმყოფოში გადაჰყავთ და მკურნალობენ. **თვითონ მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში „პატიმარი მერაბიშვილი“ დიდი ხნის გარდაცვლილი და დავიწყებული იქნებოდა.**

**ბესო ბარბაქაძე**

რაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არაბები და ირანელები მარიხუანის ექსპორტით მდიდრდებიან, შემოაქვთ, ყიდიან და ახალგაზრდების გამოთაყვანებასა და გაიმპოტენტებას (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით) უწყობენ ხელს. შემდეგ ამ გამოთაყვანება-გაიმპოტენტებაში აღებული ფულით ყიდულობენ საქართველოს და ქართველებს მონებად ამუშავებენ. ეს არის რეალობა, რომელსაც ჯერჯერობით ვერ გავექეცით და მხოლოდ გულზე მჯიღის ცემა, ეს რა გვემართებაო, არაფერს შველის.**

# პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ნარკობარიგა შეიწყალა

## ამით დანარჩენებს იმედი მისცა და დააჯერა, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი მოსულა, ყველაფერი...

**იმის მიუხედავად, რომ ერი და ბერი მარიხუანის ლეგალიზაციით უკმაყოფილოა, პარლამენტი, უბრალოდ, არ აპირებს, რაიმე მოიმოქმედოს და შეზღუდვები დააწესოს. კანონმდებლები ამბობენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ წასვლა, სასამართლო სისტემაზე ზეწოლად შეფასდება. იმას კი არავინ ფიქრობს, რომ თაობები გვეღუპება და უკვე საუბარი აღარ არის იმაზე, რომელი თაობის ადამიანები ეწევიან მარიხუანას — ეწევა ყველა და ისიც კი, ვისაც სასჯელის შიშით აქამდე ფიქრადაც არ ჰქონია, კანაფი გაესინჯა. 17 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში დაწყებული ახალი სასწავლო წელი რამდენიმე მუნიციპალიტეტში სავალალოდ დასრულდა. ხმაური მხოლოდ გორში ატყდა, რადგან მარიხუანის მოწევის შემდეგ რამდენიმე მოსწავლე ცუდად შეიქნა და სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო. სხვაგან კი მხოლოდ მასწავლებლებმა და მშობლებმა გააპროტესტეს ის ამბავი, რომ მოსწავლეები პლასტმასის ბოთლს „კრუგში ატრიალებდნენ“ და რიგრიგობით სუნთქავდნენ მათრობელა კვამლს.**

რამდენიმე დღის წინათ თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სასწრაფო გამოიძახეს: 15 წლის მოსწავლე მარიხუანის მოხმარების შემდეგ ცუდად შეიქნა და გონება დაკარგა. ეს ყველაფერი კი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფა და მასზე უარის თქმა თურმე ზეწოლად შეფასდება. შინაგან საქმეთა სამინისტროსკენ თითის გაშვერა არ გამოდის, რადგან პატრულის თანამშრომლები უღონოდ შლიან ხელებს, — აქაოდა, ჩვენ რა ვქნათ, კანონი მათ მხარეს არის და **ახალგაზრდები პლანს ცხვირ-პირში გვაბოლებენო. დადიან შემდეგ ეს ბავშვები დაბოლილები, გაკვეთილი აღარავის ახსოვს, სხედან ბირჟაზე და უაზრო სახეებით იცინიან. ჰო, იცინიან, იმიტომ, რომ არაფერი ანაღვლებთ და ნარკოტიკით გაბრუებულები მწარე რეალობას ვერ აღიქვამენ.**

გარდა იმისა, რომ **სამართალდამცველებმა გასულ კვირას თავიანთი თანამშრომელიც დააკავეს, რომელსაც ნარკოტიკი უკანონოდ შემოჰქონდა და ყიდდა, კიდევ 7 ნარკორეალიზატორი მოხვდა ძალოვანთა ხელში. ამ შვიდიდან 5 უცხოეთის მოქალაქეა — ირანელი ან არაბი. მათ მარიხუანასთან ერთად სხვა, ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალებებიც ჰქონდათ, ანუ იციან, რომ მარიხუანაზე არაფერი ემუქრებათ და ისიც შემოაპარეს.** მხოლოდ მარიხუანაზე რომ დაეკავებინათ, ვერაფერს ეტყოდნენ. რა გამოდის? — **არაბები და ირანელები მარიხუანის ექსპორტით მდიდრდებიან, შემოაქვთ, ყიდიან და ახალგაზრდების გამოთაყვანებასა და გაიმპოტენტებას (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით) უწყობენ ხელს. შემდეგ, ამ გამოთაყვანება-გაიმპოტენტებაში აღებული ფულით ყიდულობენ საქართველოს და ქართველებს მონებად ამუშავებენ. ეს არის რეალობა, რომელსაც ჯერჯერობით ვერ გავექეცით და მხოლოდ გულზე მჯიღის ცემა, — ეს რა გვემართებაო, არაფერს შველის.** საკანონმდებლო ბაზაა საჭირო, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს და შედარებისთვის გეტყვით, რომ იმავე ირანში ნარკოტიკების გაყიდვისთვის სიკვდილით სჯიან.

**სიკვდილით დასჯას ვინ ჩივის, აგერ, პრეზიდენტმა სამუდამო პატიმრობამისჯილი „ბარიგა“ შეიწყალა. არ დამიწყოთ ახლა, ცოტა კორექტულადო.** რაღა კორექტულად, **ვინმე საიათ ისმაილოვი — მარნეულელი ნარკოდილერი, რომელიც 2007 წელს თავისი წონა ნარკოტიკით დაიჭირეს და სამუდამო მიუსაჯეს, პრეზიდენტმა გასულ კვირას შეიწყალა. მერე კი იყო თავის მართლება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან, — აქაოდა, არ შეუწყალებია, უბრალოდ გათავისუფლების ვადა დაუდგინა და ეს კაცი 2025 წელს გათავისუფლდებაო, მაგრამ...**

ჯერ ერთი, 2025 წელს რომ გათავისუფლდება, გამოვა ისე, რომ 20 წელსაც არ მოიხდის ახალგაზრდების მოწამვლისა და სასიკვდილოდ გამეტების გამო. მეორე — მას სასჯელის ზომა შეეცვალა, ანუ სამუდამო პატიმრობა შეეცვალა ვადიანი სასჯელით, 18 წლით თავისუფლების აღკვეთით. შესაბამისად, უკვე გაისად, 2019 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ვადის 2/3 მოხდილი ექნება, შეუძლია ვადამდე ადრე გათავისუფლების კომისიას მიმართოს და, თუ ე.წ. უდოს „შეახებენ“, საპყრობილეს დატოვებს. ახლა არ მითხრათ, — შესაბამისი კომისია უარს იტყვისო. წესით, პრეზიდენტსაც უნდა ეთქვა უარი, მაგრამ ნურას უკაცრავად, მან „ბარიგა“ შეიწყალა. ერთი მხრივ, ცუდია, როცა შეწყალებულ ადამიანზე ამბობ, რომ ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ **ნარკორეალიზატორი, ვინც უნდა იყოს ის (ვიმეორებთ — ვინც უნდა იყოს), ციხეში უნდა იჯდეს და არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს.** ეს იქნება ნათელი მაგალითი ყველასთვის, რომ ნარკორეალიზატორების მიმართ დაუნდობელი ბრძოლაა გამოცხადებული, რომ ისინი დაჭერის შემთხვევაში უშანსოდ არიან. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი მოთხოვნა შევა ახლა პრეზიდენტის სახელზე „ბარიგებისგან“?! **განცდა იმისა, რომ, თუ შეიწყალეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნარკორეალიზატორი, რატომ მეტყვიან უარს მე, ყველას ექნება და მოდი, პირდაპირ ვთქვათ — სააკაშვილის ზეობის პერიოდშიც, მაშინ, როცა თავისი ვადის ბოლო დღეებს ითვლიდა, რამდენიმე ისეთი შეწყალების აქტი განახორციელა, ყველას გაუკვირდა. მაშინაც გამოუშვეს ციხიდან „ბარიგები“, ყაჩაღები, მკვლელები და იმის გამო, რომ იმ დროს პრეზიდენტს განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა, შეწყალების აქტებს რიგგარეშედ კვირაში ერთხელ უშვებდა.** ამან კი ის მოიტანა, რომ **პრეზიდენტობის ბოლო თვეს სააკაშვილმა ხუთასზე მეტი პატიმარი შეიწყალა.** მაშინ ამბობდნენ (და არც არავინ მალავდა), რომ სააკაშვილის გარემოცვა პატიმრების ოჯახებიდან სოლიდურ თანხებს იღებდა, პრეზიდენტს ეუბნებოდნენ, — ეს ადამიანები გარეთ გვჭირდებაო და „შეწყალების კონვეიერიც“ მუშაობდა. **თუ იმავეს გაკეთებას აპირებს მარგველაშვილი, ჯერ ერთი, არ გამოუვა და მეორეც, ისტორიაში „ბარიგა-მფარველის“ სახელით ნუ შევა.**



**რას იტყვის იგივე საკონსტიტუციო სასამართლო, როცა კანაფის წარმოების აკრძალვაზე მიდგება საქმე?! — რა თქმა უნდა, აკრძალვას მხარს არ დაუჭერს და, საპატრიარქოს წინააღმდეგობის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონს სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიიღებენ. 2019 წელი საარჩევნო არ არის, 2020 წლისთვის პენსიას წაუმატებენ ცოტას, იქ საწვავს დააკლდება 5 თეთრი და ბედნიერ ამომრჩეველს აღარ ემახსოვრება ველად მობიბინე კანაფი**

ისევ საკანონმდებლო ორგანოს დავუბრუნდეთ. შსს-მ მოამზადა კანონპროექტი, რომლის მიხედვით მარიხუანის მოხმარება 21-წლამდე პირებს აეკრძალებათ. ეს პირდაპირი აღიარებაა იმისა, რომ სახელმწიფო უკვე შეეგუა ფაქტს, საქართველოში მარიხუანის მოხმარება ლეგალურია და ლეგალურადვე დარჩება, უბრალოდ ასაკს ზღუდავენ, თორემ **21 წელზე ზემოთ თუ ხარ, შეგიძლია შუა ქუჩაში დადგე და პატრულს ცხვირ-პირში მიაბოლო.** შესაბამისად, უკვე გასაკვირიც აღარ არის, რატომ ცდილობს საკანონმდებლო ორგანო ასე ჯიუტად კანაფის მოყვანის კანონპროექტის გატანას. რას იტყვის იგივე საკონსტიტუციო სასამართლო, როცა კანაფის წარმოების აკრძალვაზე მიდგება საქმე?! — რა თქმა უნდა, აკრძალვას მხარს არ დაუჭერს და, **საპატრიარქოს წინააღმდეგობის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონს სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიიღებენ. 2019 წელი საარჩევნო არ არის, 2020 წლისთვის პენსიას წაუმატებენ ცოტას, იქ საწვავს დააკლდება 5 თეთრი და ბედნიერ ამომრჩეველს აღარ ემახსოვრება ველად მობიბინე კანაფი. ფაქტია, რომ საპატრიარქო „გადააგდეს“ და თანაც ძალიან მწარედ.** სწორედ ეკლესიის დაძახილზე გამოსულმა ხალხმა ათქმევინა ხელისუფლებას: როგორც კი პრემიერი ამერიკიდან ჩამოვა, ამ პროექტს უკან გავიწვევთ, რადგან პარლამენტში მთავრობამ წარადგინა და, პრემიერის გარდა, გაწვევის უფლება არავის აქვსო.

**მამუკა ბახტაძე,** აგერ ორი კვირაა, საქართველოშია, საპარლამენტო სესიებიც გაიმართა, მაგრამ კანონის უკან გაწვევაზე ხმას არავინ იღებს. უფრო მეტიც, პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც თქვა: მოსახლეობასთან ინფორმაციული სახის შეხვედრებს გავმართავთ, რათა ყველას ავუხსნათ, რა კარგია კანაფის წარმოება და რამდენი მილიარდი შევა დამატებით ბიუჯეტშიო. სხვა კი არაფერი უქნია, ხალხო, მარგველაშვილს, „ბარიგა“ შეიწყალა და ამის გამო ვართ აღშფოთებული და, **სახელმწიფოს რომ ოფიციალურ ბარიგად აქცევთ, თანაც რომ გვიმტკიცებთ, კარგიაო, მართლა გჯერათ, რომ ხალხი თავს დაგიქნევთ?**

და მთავარი — რომ ამტკიცებთ, მკაცრად გავაკონტროლებთ, რომ მოყვანილი კანაფი ექსპორტზე გავიდეს და შიგა მოხმარების პროდუქტი არ გახდესო, როგორ აპირებთ, ნეტავ?! **როგორ უნდა მიხვდეთ, კონკრეტული ადამიანი პლანტაციებში მოყვანილს ეწევა თუ საკუთარ ეზოში დარგულს?! ან მარიხუანის დარგვა-დათესვა (მცირე რაოდენობით) უკვე ბეჭედდასმული რომ არის, იმ პლანტაციებიდან წამოღებული ჩითილები (უხდება თურმე კანაფს გადარგვა) ვინმემ საკუთარ ეზოში რომ დარგოს და მერე მოიხმაროს, ვინ არის პასუხისმგებელი და ვინ — განმასხვავებელი?!** — არავინ და უკვე ფაქტია, რომ მთავრობის გარდა, ნარკოტიკების რეალიზებაზე პრეზიდენტიც თანახმაა, რადგან სხვაგვარად ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ „ბარიგას“; კაცს, რომელმაც კონკრეტულად მარნეულში თაობები დაღუპა; კაცს, რომელსაც თბილისელი ნარკომანების „კოჰორტა“ პირადად იცნობს, რადგან მისი მუდმივი მუშტრები იყვნენ, არ შეიწყალებდა. კიდევ გავიმეორებთ — პრეზიდენტმა სამუდამო პატიმრობამისჯილი საიათ სულეიმანოვი შეიწყალა და ამით დანარჩენებს იმედი მისცა და დააჯერა, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი მოსულა, ყველაფერი...

**ბესო ბარბაქაძე**

მრგვალი მაგიდა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბართოლომეოსის მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი ლოკალური მოქმედება უკრაინის მიმართ. თუ ბართოლომეოსმა უკრაინის საკითხში პროგრესს მიაღწია, მისი შემდგომი სამიზნე საქართველო იქნება.**

# «მსოფლიო პატრიარქი, უკრაინა და საქართველოს პერსპექტივები»

**უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს მოთხოვნით, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოსი აპირებს, იქ მოქმედ შფოთის ამტეხთა (ე. წ. „რასკოლნიკთა“) ჯგუფს ცალმხრივად და ერთპიროვნულად მიანიჭოს ავტოკეფალია და ამ გადაწყვეტილების ფარგლებში უკრაინაში ორი ეგზარქოსიც დანიშნა. ასეთი საქციელი საეკლესიო სჯულის კანონის უხეში დარღვევაა — ასეთია მართლმადიდებელი მღვდელთმთავრების უმრავლესობის შეფასება.**



„აუცილებელია წინასწარი შეფასებებისგან თავის შეკავება, სანამ არ დაფიქსირდება საეკლესიო კანონიკური სამართლის ნორმებზე დაფუძნებული მსოფლიო საპატრიარქოსა და რუსეთის ეკლესიის ოფიციალური და საბოლოო პოზიცია“, — ბრძანა 6 ოქტომბერს მისმა უწმინდესობა ილია მეორემ. თემა მეტად მტკივნეულია მართლმადიდებელი სამყაროსთვის და, ბუნებრივია, გამონაკლისი არც საქართველოა.

**„მსოფლიო პატრიარქი, უკრაინა და საქართველოს პერსპექტივები“** — სწორედ ამ საკითხის გარშემო ისაუბრეს 9 ოქტომბერს პოლიტოლოგებმა და ჟურნალისტებმა „საქინფორმის“ რედაქციაში გამართული „მრგვალი მაგიდის“ გარშემო. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ინიციატივითა და „საქინფორმისა“ და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საინფორმაციო მხარდაჭერით ჩატარდა. **„მრგვალი მაგიდის“ მონაწილეები ქვეყნისთვის მტკივნეულ ბევრ საკითხს შეეხნენ, მაგრამ საუბრის ძირითადი თემა მაინც იყო მსოფლიო პატრიარქის ქმედებები, მიზნები და შედეგები.**

## „ერთგვაროვანია მართლმადიდებლური სამყაროს შეფასება — ბართოლომეოსის საქციელი არანაირ კანონიკურ ნორმებში არ ჯდება“

**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი:**

— მსოფლიო პატრიარქის ბართოლომეოსის ინიციატივები უკრაინის მიმართ, მოსკოვის პოზიცია და მართლმადიდებლური სამყაროს გამოხმაურება — ეს, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი ამბავია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ერთგვაროვანია მართლმადიდებლური სამყაროს შეფასება — ბართოლომეოსის საქციელი არანაირ კანონიკურ ნორმებში არ ჯდება.

რატომ აკეთებს მსოფლიო პატრიარქი ამას, რა პერსპექტივა აქვს მის ინიციატივას, რა გავლენას მოახდენს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე მსგავსი ინიციატივები, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები აფხაზეთში... — აი, ეს იქნება დღეს ჩვენი საუბრის თემა და დიდი ყურადღებით მოვისმენთ ნებისმიერ მოსაზრებას.

## „ამ კონკრეტულ საკითხში რუსეთის გვერდით უნდა დავდგეთ, რადგან, თუ ეკლესიის გახლეჩა დაიწყო, ეს საქართველოსთვის დამღუპველი აღმოჩნდება“

**დავით მხეიძე, პუბლიცისტი:**

— დასავლეთის სპეცსამსახურებმა მსოფლიო პატრიარქის „დავერბოვკება“ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყეს და მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. მსოფლიო პარტიარქმა ამ საქციელით დიდი სქიზმა გაიმეორა 1000 წლის შემდეგ. ვინც დღეს ბართოლომეოსის ინიციატივას მხარი დაუჭირა, საკუთარი თავის ლუსტრირება მოახდინა. მსოფლიო პატრიარქის გაღიზიანება კრეტაზე ჩატარებულ ეკუმენისტურ კრებაზე ზოგიერთი ეკლესიის არჩასვლამ, მათ შორის, ჩვენი დელეგაციის არჩასვლამ გამოიწვია.

უკრაინაში უდიდესი სიწმინდეებია დაცული. კიევ-პეჩორის სავანეში, მიწისქვეშეთში ასობით წმინდანის ნეშტი ინახება და, თუ მას შეეხებიან, რუსეთი რეაგირების გარეშე ვერ დატოვებს და ცუდი რამ მოხდება. დიდი სქიზმა თავის დროზე მართლმადიდებელი ეკლესიის გასახლეჩად მოხდა. კონსტანტინოპოლი დაასამარა დასავლეთის ეკლესიამ რომის პაპის მეთაურობით. **საქართველოში ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს პროცესი უკრაინაზე არ შეჩერდება და აუცილებლად გადმოინაცვლებს ჩვენკენაც.** ყველაფერი გათვლილია რუსეთის წყობიდან გამოსაყვანად, უნდათ, ეს ქვეყანა ფართომასშტაბიან ომში ჩაითრიონ. უკრაინაში რაც მოხდა, იმაზე უარესი მოხდება საქართველოში, რადგან ჩვენთან 47 ეპარქიიდან თითქმის ნახევარს დამოუკიდებლობა სურს. პატრიარქი ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ, როცა ახალი პატრიარქის კურთხევის საკითხი დადგება, ჩვენთან აირევა ვითარება.

მართლმადიდებლობის შენარჩუნება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია და ბართოლომეოსის ინიციატივას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუჭიროთ მხარი. რუსეთი ყველაზე დიდი მართლმადიდებელი ქვეყანაა და თანაც ამ საქმეში მართალია. მას კანონი არ დაურღვევია. ის, რაც ხდება, მხოლოდ რელიგიური საკითხი არ არის, ამ კონკრეტულ საკითხში რუსეთის გვერდით უნდა დავდგეთ, რადგან, თუ ეკლესიის გახლეჩა დაიწყო, ეს საქართველოსთვის დამღუპველი აღმოჩნდება.

**ტარიელ გაგნიძე:**

— უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი **პარუბიი** სამი დღის წინათ საქართველოში ჩამოვიდა პატრიარქთან შესახვედრად და, ალბათ, მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. პატრიარქმა მას განუცხადა, რომ მსოფლიო საპატრიარქოსა და რუსეთის საპატრიარქოს ურთიერთობა საეკლესიო სამართლის ნორმებით უნდა გადაწყდეს. პარუბიის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უკრაინის მედიამ ატეხა აჟიოტაჟი, თითქოს საქართველოს პატრიარქმა მათ მხარი დაუჭირა, რაზეც საქართველოს საპატრიარქოს განცხადების გავრცელება მოუწია, რომ ეს ინფორმაცია ტყუილია.

## „ქართულმა ეკლესიამ შუამავლის როლი უნდა შეასრულოს და, თუ ეს არ გამოვა, ბართოლომეოსის იზოლაცია მაინც უნდა მოახდინონ“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

**— კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ 1990 წელს აღიარა, რაც ხშირად უნდა შევახსენოთ ჩვენს საზოგადოებას.**

რამდენიმე ხნის წინათ მოვისმინე მიტროპოლიტ **ანდრია გვაზავას** ინტერვიუ. ის ამბობს, რომ, **ისტორიიდან გამომდინარე, უკრაინის ეკლესიის აღიარება ცალკე ორგანიზმად მიუღებელია, რასაც ქართულმა ეკლესიამ მხარი უნდა დაუჭიროს. გამახარა გავლენიანი მიტროპოლიტის ამ განცხადებამ. სასიხარულოა, რომ ჩვენი ეკლესია სიმართლის გზაზე დგას.**

ბართოლომეოსი მართლაც მუშაობს სპეცსამსახურების დაკვეთით, ნაბიჯს ვერ დგამს კონსტანტინოპოლში, თურქეთის მთავრობასთან შეუთანხმებლად. მის ეკლესიას აზრაც კი არ აქვს. **ბართოლომეოსმა თბილად მიიღო აფხაზეთიდან წარგზავნილი სასულიერო პირები. გამორიცხული არ არის, მოხდეს აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაც, რასაც, სხვათა შორის, რუსეთი ეწინააღმდეგება.**

აფხაზები ქართულ ეკლესიას არ ემორჩილებიან, ამიტომ ჩვენთვის უკეთესია, იქ საკითხები რუსეთის ეკლესიამ მოაგვაროს.

ჩვენ მოუმზადებლები აღმოვჩნდით ამ პრობლემასთან შესახვედრად, მიუხედავად იმისა, რომ ცნობები მოდიოდა და ვიცოდით, რომ უკრაინაში ეს მოხდებოდა და ბართოლომეოსი მათთვის ავტოკეფალიის მინიჭებას შეეცდებოდა.

ქართულმა ეკლესიამ შუამავლის როლი უნდა შეასრულოს და, თუ ეს არ გამოვა, ბართოლომეოსის იზოლაცია მაინც უნდა მოახდინონ, რადგან ის, რაც მოხდა, ბართოლომეოსის გადასაწყვეტი არ იყო. თავის შეკავება არც ერთ შემთხვევაში გამართლებული არ არის.

## „საქართველოს საპატრიარქომ ყველაფერი უნდა გააკეთოს რელიგიური ომის თავიდან ასაცილებლად“

**ვიქტორ ცაავა, პოლიტოლოგი:**

— ბართოლომეოსი დამნაშავეა, რადგან მის ამ ერთ განცხადებას, შესაძლოა, უკრაინაში რელიგიური ომი მოჰყვეს. მსოფლიო პატრიარქად წოდებულმა პიროვნებამ გაწირა უკრაინის მოსახლეობა, ამიტომ ჩემთვის ის სპეცსამსახურების თანამშრომელი და დამნაშავეა. უკრაინის მრევლი ყოველთვის შედიოდა რუსეთის საპატრიარქოში, ამიტომ სიმართლე რუსეთის მხარეს არის. ჩვენი ქვეყანა გლობალური ომის წინაშე დგას, ჩვენ 2008 წელს ამას გადავურჩით, ამიტომ სიფრთხილე გვმართებს, რადგან აუცილებლად გადმოგვწვდება ეს ყველაფერი. საქართველოს საპატრიარქომ მკაფიოდ უნდა განაცხადოს თავისი მოსაზრება და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ რელიგიური ომი.

**ტარიელ გაგნიძე:**

— ჯანმრთელი „რადიკალიზმი“ საპატრიარქოს მხრიდან ამ შემთხვევაში, ალბათ, აუცილებელია.

## „საქართველო და უკრაინა საკუთარ ქვეყანაში სხვა ქვეყნის ინტერესებს ატარებენ“

**კონსტანტინე ჩიკვილაძე, ბლოგერი:**

— საქართველო და უკრაინა საკუთარ ქვეყანაში სხვა ქვეყნის ინტერესებს ატარებენ. აქედან გამომდინარე, ისინი ვერ იქნებიან ეროვნულები, ვერ განსაზღვრავენ ქვეყნის პრიორიტეტებს. **როგორც კი საქართველოს ეკლესია ცნობს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, იმავე წუთში მოხდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეკლესიების აღიარება რუსეთის მხრიდან, ამიტომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მეზობელი ქვეყნის ინტერესები.**

## „რუსეთი დაამარცხებს დასავლურ კოალიციას“

**გიორგი ირემაძე, საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ ხელმძღვანელი:**

— რუსეთი დაამარცხებს დასავლურ კოალიციას და მჯერა, რომ იქნება მართლმადიდებლური სამყაროს გამაერთიანებელი, როგორც სჩვევია და როგორც აქამდე უკეთებია.

## „უკრაინა შეკოწიწებული ქვეყანაა“

**გიორგი მდივანი, პოლიტოლოგი:**

— უკრაინა შეკოწიწებული ქვეყანაა, რომელსაც ხელოვნურად უქმნიან რალაცებს: ახლა ავტოკეფალიას აჩუქებენ, მერე ხელოვნურ დღესასწაულებს გამოუგონებენ და ა.შ. საქართველოს ეკლესიამ პოზიცია მკაცრად უნდა გამოხატოს, რადგან ამ ყველაფერმა ჩვენსკენ არ გადმოინაცვლოს.

**ვიქტორ ცაავა:**

— უნდა აღინიშნოს, რომ წლებია, რუსეთის სახელმწიფოსთან კონფლიქტი გვაქვს, მაგრამ მათ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა არ უღიარებიათ და მხარს არ უჭერენ. ამის გამო რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მადლიერები უნდა ვიყოთ, რადგან მათ შეეძლოთ უკიდურესი ზომების მიღებაც.

## „რუსეთს არასოდეს არ უნდა დავეჯახოთ, რადგან დავიღუპებით“

**ბაკურ სვანიძე, პუბლიცისტი:**

— არ ვისაუბრებ ჩვენს ისტორიულ წარსულზე, რადგან დიდ დროს წაგვართმევს. ვიტყვი, რომ რუსეთს უნდა გავყვეთ ყველგან. რაც უნდა გააკეთოს, ჩვენ მის გვერდით უნდა ვიყოთ, სხვა გზა არ გვაქვს. ვიცი ზუსტად, რომ რუსეთს არასოდეს არ უნდა დავეჯახოთ, რადგან დავიღუპებით. პატრიოტიზმი არის შედეგი და არა პროცესი. თუ ოდესმე რაიმე გამიკეთებია, ყოველთვის იმას ვფიქრობ, რომ ჩემს ქვეყანას არ ვავნო. ვალდებული ვარ, ვთქვა ის, რაც სწორად მიმაჩნია. რუსეთი ხვალ რომც არ იყოს იმ ყველაფრის ციტადელი, რისიც დღეს არის, ჩვენ მაინც უნდა ვიყოთ მის გვერდით.

**ტარიელ გაგნიძე:**

— ძალიან კარგია, რომ ვიმსჯელეთ ამ მეტად მტკივნეულ საკითხზე. ჩვენ დავიწყეთ ეს საქმე და აუცილებლად გავაგრძელებთ. ეს შეკრება საწყისი იმპულსია.

ბართოლომეოსის მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი ლოკალური მოქმედება უკრაინის მიმართ. **ღმერთმა არ ქნას და, თუ ბართოლომეოსმა უკრაინის საკითხში პროგრესს მიაღწია, მისი შემდგომი სამიზნე საქართველო იქნება.** ბართოლომეოსი პირველი არ არის, „აღმოსავლური პაპიზმის“ იდეა დაახლოებით 1000 წლის წინათ იშვა, სამარცხვინო უნიის ეპოქაც გავიხსენოთ, როცა კონსტანტინოპოლმა აღიარა რომის პაპის უზენაესობა და ძალაუფლება მართლმადიდებელ სამყაროზე. ამას იმეორებს დღეს მსოფლიო პატრიარქი, ოღონდ ცოტა სახეშეცვლილად, დღევანდელ მდგომარეობასთან მისადაგებულად მოქმედებს, ეშმაკურად. უკრაინელ ფილარეტს ჰგონია, რომ ბართოლომეოსის შემდეგი ნაბიჯი მისი პატრიარქად გამოცხადება იქნება, მაგრამ ის ამას არ გააკეთებს. ბართოლომეოსს სურს, როგორც მსოფლიო პატრიარქმა, უკრაინაში შექმნას მასზე დაქვემდებარებული საეგზარქოსო და შემდგომში განდგომილებს მოუწოდოს, შეუერთდნენ მათ, რათა მისი გავლენა, ძალაუფლება იქ იყოს აბსოლუტური და, რომის პაპის მსგავსად, ერთპიროვნულად დანიშნოს ადგილობრივი იერარქები. ბართოლომეოსს სურს, შექმნას სივრცე, რომელშიც ის იქნება ერთპიროვნული განმკარგველი და ღმერთმა ნუ ქნას, რომ შედგომი ეტაპი იყოს საქართველო.

რუსეთი გაძლიერდა ყველანაირი თვალსაზრისით, მაგრამ პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე ფუჭია, თუ ის იდეოლოგიურ, სულიერ სიძლიერეზე არ დგას. რუსებისა და ქართველების სიძლიერე ქრისტეს მართალი მოძღვრებიდან მომდინარეობს. ჩვენ ყოველთვის ვპოულობდით ძალას ფეხზე წამოსადგომად და ამ ძალას მართლმადიდებლობა გვაძლევდა. ბართოლომეოსის ეს წამოწყება მიმართულია მართლმადიდებლების სულიერი სიძლიერის გატეხვისკენ. **მათ სურთ, გახლიჩონ უკრაინის ეკლესია და მიაყოლონ სხვებიც. ბრძოლა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაა. ასეთ რთულ ვითარებაში მეტი პრინციპულობა გვმართებს, მეტი შემტევი პოზიციის გამოხატვაა აუცილებელი.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

მართლმადიდებლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტიოქიის ეკლესიაში უარყოფენ ახალი ეკლესიის დამკვიდრების პრინციპს არსებული საპატრიარქოების ან ავტოკეფალიური ეკლესიების კანონიკურ საზღვრებში, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის მეთოდს, ანუ როგორც IPSO FACTO-ს (დე ფაქტოს) მართლმადიდებელ სამყაროში.**

# ანტიოქიის ეკლესიის სინოდმა ბართოლომეოსს ადგილობრივი ეკლესიების წინამძღოლთა კრების ჩატარება სთხოვა

**ანტიოქიის მართმადიდებელი ეკლესიის სინოდმა მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსს სთხოვა, სასწრაფოდ ჩაატაროს ადგილობრივი ეკლესიების წინამძღოლთა კრება მართლმადიდებელ სამყაროში ცვლილებებზე სამსჯელოდ, კერძოდ, ახალი ეკლესიებისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ და ერთობლივად გამოიტანონ გადაწყვეტილება ამ საკითხზე.**



ანტიოქიის ეკლესიის წმინდა სინოდმა გამოაქვეყნა განცხადება, მე-10 რიგითი და მე-11 რიგგარეშე სხდომების შედეგებზე. ეს სესიები ამა წლის 3-დან 6 ოქტომბრამდე გაიმართა ლიბანში, ბალამანდის მონასტერში ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის — **იოანე X-ის** ხელმძღვანელობით.

წმინდა სინოდმა შეშფოთება გამოხატა **„მართმადიდებელი ეკლესიების გეოგრაფიის შეცვლის გამო“** და აღნიშნა, რომ **„ისტორიის ცალმხრივად გადახედვა ხელს არ უწყობს მართლმადიდებლობის ერთიანობას, პირიქით — აღვივებს სიძულვილს და იწვევს განხეთქილებას ერთი ეკლესიის შვილებს შორის“.** ანტიოქიის ეკლესიაში უარყოფენ ახალი ეკლესიის დამკვიდრების პრინციპს არსებული საპატრიარქოების ან ავტოკეფალიური ეკლესიების კანონიკურ საზღვრებში, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის მეთოდს, ანუ როგორც Ipso Facto-ს (დე ფაქტოს) მართლმადიდებელ სამყაროში.

ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვეს, რომ **„ცალკეული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მიღების პრობლემის გადაწყვეტა მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიისა და ყველა ეკლესიას შორის ადრე მიღწეული კონსენსუსის პრინციპებით უნდა მოხდეს“, რაც ნიშნავს შეთანხმებას დედაეკლესიასთან, ანუ შეთანხმებას ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან.**

„ანტიოქიის ეკლესია აფრთხილებს მართლმადიდებელ სამყაროს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია საერთაშორისო პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმის სახიფათო გზას ადგას“, — ნათქვამია ანტიოქიის ეკლესიის სინოდის განცხადებაში.

**„ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია სთხოვს მის უწმინდესობა მსოფლიო პატრიარქს, სასწრაფოდ მოიწვიოს ადგილობრივი ეკლესიების წინამძღოლთა კრება, რათა გაიმართოს მსჯელობა მართლმადიდებელ სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ,** — ნათქვამია დოკუმენტში, — **ახალი ეკლესიებისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე და საერთო გადაწყვეტილების გამოსატანად მანამდე, სანამ მიღებული იქნება ფინალური რეზოლუცია ამ საკითხზე“.**

სინოდის იერარქებმა ხაზი გაუსვეს „სულიერი ამაღლების მნიშვნელობას ამ ისტორიულ პერიოდში და ეკლესიებში ერთიანობისა და მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობას“.

სასულიერო პირებმა ყველას მოუწოდეს, „არ ჩავარდნენ პოლიტიკურ ორმოში“. ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენლებმა ყველას შეახსენეს, რომ „პოლიტიკური ხაფანგები ასუსტებს მართლმადიდებელ ეკლესიას, მართლმადიდებელთა ერთობას მსოფლიოში“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# მისი უწმინდესობა ილია მეორე თვლის, რომ მსოფლიო საპატრიარქოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის უთანხმოება საეკლესიო კანონიკური ნორმებით უნდა გადაწყდეს



**საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ და უკრაინის რადის სპიკერმა ანდრეი პარუბიიმ უკრაინაში არსებული მდგომარეობა განიხილეს.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან ერთად უკრაინის რადას სპიკერი — ანდრეი პარუბიი და მისი თანმხლები პირები მიიღო. შეხვედრაზე განიხილეს უკრაინაში არსებული მდგომარეობა.

**„აუცილებელია წინასწარი შეფასებებისგან თავის შეკავება, სანამ ცნობილი არ იქნება საეკლესიო კანონიკური სამართლის ნორმებზე დაფუძნებული მსოფლიო საპატრიარქოსა და რუსეთის ეკლესიის ოფიციალური და საბოლოო პოზიცია“,** — განაცხადა მისმა უწმინდესობამ.

ანდრეი პარუბიიმაც დასძინა, რომ „გადაწყვეტილება კანონიკურ სამართალს უნდა ემყარებოდეს“, — აცხადებენ საპატრიარქოში.

# პოლონეთის ეკლესიის წინამძღოლმა მსოფლიო პატრიარქს უკრაინის საკითხზე მართლმადიდებელთა სინაქსისის ჩატარებისკენ მოუწოდა

**ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა სავამ მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსს მოუწოდა, მოიწვიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლთა სინაქსისი (კრება) უკრაინის ეკლესიის საკითხის განსახილველად.**



პორტალ orthodoxia. info-ს ცნობით, პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა მსოფლიო პატრიარქს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აუცილებელია მსჯელობა უკრაინის საკითხზე, რომლის გარშემოც ვითარება ყოველდღიურად უარესდება.

ვარშავის **მიტროპოლიტი სავა,** რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ალექსანდრიის **პატრიარქ თევდორესთან** ერთად ხელი მოაწერა განცხადებას, მოუწოდებს სიფხიზლისკენ უკრაინის ეკლესიის საკითხებში. მიტროპოლიტი სავა არ წერს ავტოკეფალიის თემაზე, მხოლოდ ხაზს უსვამს ეკლესიების წინამძღოლთა შეკრებაზე საეკლესიო საკითხის ფართოდ განხილვის აუცილებლობას.

შეგახსენებთ: ალექსანდრიის პატრიარქმა თევდორემ საჯაროდ განაცხადა უკრაინაში, სადაც ის რამდენიმე დღის წინათ იმყოფებოდა, რომ განზრახული აქვს, მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლებს აცნობოს უკრაინის ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

როგორც ცნობილია, 14 სექტემბერს წმინდა სინოდმა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს ხელმძღვანელობით, მიმართა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს მოწოდებით: მოეწყოს მართლმადიდებელთა საყოველთაო მსჯელობა უკრაინის ეკლესიაში შექმნილ ვითარებაზე.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

# უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას შეიძლება სიწმინდეები წაართვან



**„კიევ-პეჩორისა და წმინდა მიძინების პოჩაევსკის სავანეები სახელმწიფოს ეკუთვნის, ისინი უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას 50-წლიანი არენდით გადასცეს და უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა შეიძლება ამ შეთანხმებას გადახედოს“, — განაცხადა უკრაინის კულტურის სამინისტროს რელიგიისა და ეროვნებების საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა ანდრეი იურაშმა. მისი თქმით, ნაციონალური მნიშვნელობის ისეთი ობიექტები, როგორიც არის სავანეები, არ შეიძლება ვინმეს გადაეცეს საკუთრებაში.**

„სახელმწიფომ იჯარით გასცა და მათი ბედის გადაწყვეტა სახელმწიფო ორგანოებს მიანდო. თუ გაირკვევა, რომ ლავრის იჯარით გადაცემისას იყო დარღვევები, ეს შეიძლება შეთანხმების გადახედვის საფუძველი შეიქმნეს. ეს საკითხი მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში შედის“, — განაცხადა იურაშმა.

ამას გარდა, **უკრაინის კულტურის სამინისტრომ ნორმებისა და წესების დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში ქონების აღწერის ჩატარების შესახებ.**

შეგახსენებთ: სექტემბრის ბოლოს კიევ-პეჩორის ლავრის ხელმძღვანელმა, ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტმა **პავლემ** განაცხადა, რომ უკრაინელი ნაციონალისტები ავტოკეფალიის მომხრეთა მხარდაჭერით გეგმავენ, 14 ოქტომბერს ხელში ჩაიგდონ კიევ-პეჩორის ლავრა. პოჩაევსკის მიტროპოლიტმა პავლემ 1 ოქტომბერს მრევლს მოუწოდა ლოცვისკენ და დასძინა, რომ უახლოეს ხანში უკრაინელ მართლმადიდებლებს შეიძლება თავიანთი სიწმინდეების დაცვა მოუწიოს არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ საქმითაც.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის მთავრობის ვებგვერდებზე გაჩნდა მოწოდება, ჩამოერთვას უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას კიევ-პეჩორისა და პოჩაევსკის ლავრები.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა, ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა ანტონმა ლავრაში შესაძლო პროვოკაციებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ თარიღი — 14 ოქტომბერი — ნაციონალისტებს შემთხვევით არ შეურჩევიათ. ისინი ამ დღეს აღნიშნავენ უკრაინის მეამბოხეთა არმიის შექმნას. ნაციონალისტების მრავალათასიანი მსვლელობა ყოველთვის სრულდება ინციდენტებით უკრაინელებთან, რომლებსაც მიუღებლად მიაჩნიათ იმ ადამიანების ხსოვნის პატივისცემა, რომლებიც გერმანელი ფაშისტების მხარეს იბრძოდნენ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

დიქტატურის საფრთხე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ლიბერალური დიქტატია, როცა პოლიტიკურ დღის წესრიგს მხოლოდ პროდასავლური ორიენტაციის სუბიექტები ადგენენ, რომელთა მაამებლური პოლიტიკის ამოსავალი წერტილია ის, რომ ჩვენ მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ, ხოლო, თუ რუსეთთან დიალოგის საჭიროებაზე დაიწყებ ლაპარაკს, უკვე რუსეთის აგენტი ხარ და უნდა გაირიყო. ლიბერალური დიქტატია ის, რომ ერთმნიშვნელოვნად პროდასავლური ორიენტაციის უნდა იყო და უსიტყვოდ, ზედმიწევნით იზიარებდე თანამედროვე დასავლური ლიბერალური იდეოლოგიის პარადიგმებს“.

# რატომ აქებს USAID-ი ქართულ ლიბერალურ დემოკრატიას?

**5 ოქტომბერს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) ბენეფიციარი ქვეყნების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა და „მეოცნებე“ ხელისუფლების გასახარად ქართულ ლიბერალურ დემოკრატიას ხოტბა შეასხა. ინფორმაციის თანახმად, ქვეყანა როგორც დემოკრატიის, ისე ეკონომიკის განვითარების კუთხით რეგიონის ლიდერია, ხოლო რიგი მიმართულებებით (იგულისხმება პასუხისმგებლიანი მმართველობა, მთავრობის ეფექტიანობა, ბიზნესგარემო და სხვ.) აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის სახელმწიფოებსაც უსწრებს. სააგენტო, მართალია, არ აკონკრეტებს და არც ინტერესდება, რაში გამოიხატება მთავრობის ეფექტიანობა ან როგორ აფასებს საქართველოს მოსახლეობა ხელისუფლების საქმიანობას, მაგრამ ეს ინფორმაცია რომ მმართველი გუნდისთვის ერთგვარი წინასაარჩევნო დივიდენდია, ყველა თანხმდება. მოკლედ, როგორც ჩანს, ივანიშვილის ექვსი წლისწინანდელი ომახიანი დაპირება, რომ დემოკრატიით ევროპასაც გააოცებდა, პირწმინდად სრულდება, მშენებარე ქართული დემოკრატიის განვითარებით გაოცებული დასავლეთი კი აღფრთოვანებას ვერ მალავს. რას ნიშნავს რეალურად თანამედროვე დასავლური გაგებით ლიბერალური დემოკრატია და რა წარმატებებს მივაღწიეთ ბოლო წლებში ამ მიმართულებით, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**



ნიკოლოზ მჟავანაძე:

## «რაც შეეხება ქვეყნის წარმატებას ლიბერალური დემოკრატიის კუთხით, როცა ისინი ამ წარმატებაზე საუბრობენ, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ლიბერალური დიქტატი»

**«განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანებს ან პოლიტიკურ სუბიექტებს ყველა კარი დახშული აქვთ და მათ, ფაქტობრივად, არც ერთი ტელევიზია არ იწვევს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ხალხის მტრადაა გამოცხადებული ყველა ანტილიბერალი და ანტიგლობალისტი... აი, ამ თვალსაზრისით საქართველომ ბოლო წლებში ნამდვილად მიაღწია შესამჩნევ «წარმატებებს», მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მსოფლიოში ლიბერალიზმის დიქტატი დასასრულს უახლოვდება»**

**— ბატონო ნიკოლოზ, USAID-ი გვეუბნება, რომ ლიბერალური დემოკრატიის, ეკონომიკის განვითარების, მთავრობის ეფექტიანობისა და სხვა მიმართულებებით ბოლო წლებში დიდ წარმატებას მივაღწიეთ. რაში გამოიხატება ეს ყველაფერი? სად ჩანს ჩვენი წარმატება?**

— საქმე ის არის, რომ თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაშია დღეს ბრძოლა გაჩაღებული გლობალისტებსა და კონსერვატორებს შორის და, სანამ ეს ბრძოლა გრძელდება, პროკურორის დანიშვნაც კი უჭირს პრეზიდენტს. ჩვენ კი, ბოლო რამდენიმე წელია, ვიმართებით ლიბერალური ფრთისგან, მაგრამ ეს ფრთა ნელ-ნელა კარგავს გავლენებს და, დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში აქ მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყება.

რაც შეეხება ქვეყნის წარმატებას ლიბერალური დემოკრატიის კუთხით, როცა ისინი ამ წარმატებაზე საუბრობენ, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ლიბერალური დიქტატი. რას ნიშნავს ეს ყველაფერი: მაგალითად, **ლიბერალური დიქტატია, როცა პოლიტიკურ დღის წესრიგს ადგენენ მხოლოდ პროდასავლური ორიენტაციის სუბიექტები, რომელთა მაამებლური პოლიტიკის ამოსავალი წერტილია ის, რომ ჩვენ მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ, ხოლო, თუ შენ რუსეთთან დიალოგის საჭიროებაზე დაიწყებ ლაპარაკს, უკვე რუსეთის აგენტი ხარ და უნდა გაირიყო.** ანუ, ლიბერალური დიქტატია ის, რომ შენ ერთმნიშვნელოვნად პროდასავლური ორიენტაციის უნდა იყო და უსიტყვოდ, ზედმიწევნით იზიარებდე თანამედროვე დასავლური ლიბერალური იდეოლოგიის პარადიგმებს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რეალურად **განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანებს ან პოლიტიკურ სუბიექტებს ყველა კარი დახშული აქვთ და მათ, ფაქტობრივად, არც ერთი ტელევიზია არ იწვევს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ხალხის მტრადაა გამოცხადებული ყველა ანტილიბერალი და ანტიგლობალისტი...** აი, ამ თვალსაზრისით საქართველომ ბოლო წლებში ნამდვილად მიაღწია შესამჩნევ „წარმატებებს“, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მსოფლიოში ლიბერალიზმის დიქტატი დასასრულს უახლოვდება, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ეს პროცესი უკვე საქართველოშიც კარგაიხნის დაწყებულია.

**— და რაში ხედავთ ამ პროცესებს?**

— ავიღოთ თუნდაც ის, რაც ბოლო პერიოდში ამ ე.წ. მესამე სექტორის მიმართ ხდება. ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირ ლანძღავენ და „კულტურულად“ აგინებენ დედას არასამთავრობოებს. სამი-ოთხი წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა? აი, ეს არის ზუსტად გამოძახილი იმ პროცესებისა, რომლებიც დღეს დასავლეთში მიდის, თუმცა სულაც არ გამიკვირდება, ხვალ-ზეგ უფრო დიდი „სასწაული“ ვიხილოთ...

**— მაგალითად?**

— მაგალითად გამოვიდეს უმაღლესი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი და განაცხადოს: რუსეთი ჩვენი მეგობარია, ხოლო ვლადიმერ პუტინი — ერთ-ერთი საიმედო პარტნიორიო. სხვათა შორის, ახლა დგას საქართველოში ამერიკის ახალი ელჩის დანიშვნის საკითხი და ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში ეს რაღაც ცვლილებებს გამოიწვევს. ელჩობის კანდიდატებს რაც შეეხება, მაქვს ინფორმაცია და ამას ექსკლუზიურად თქვენ გეუბნებით: ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება **ვანესა ეკერი.** ეს არის ქალბატონი, რომელიც ამჟამად მუშაობს ამერიკის საელჩოში რუსეთში და ძალიან გამოცდილი კადრია.

**— მოდი, კონკრეტულად ვისაუბროთ, რა ცვლილებებს ელოდებით?**

— გამომდინარე იქიდან, რომ ტრამპის არჩევის შემდეგ დამოკიდებულება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კარდინალურად შეიცვალა; ვფიქრობ, რუსეთ-საქართველოს შორისაც გარკვეული ძვრები მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ის უპირობო აუცილებლობა, რომელიც განპირობებულია ობიექტური მიზეზებით და კიდევ ვიმეორებ: **თუკი უახლოეს მომავალში რუსეთთან ურთიერთობა არ დალაგდება, ჩვენ აღმოვჩნდებით კატასტროფის პირას.** ახლა ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს ეს და რაც უნდა, ის იფიქროს, მაგრამ იმას, რომ ჩვენი პრობლემების გასაღები კრემლშია, ყველა ხედავს. სხვა რა გითხრათ, კონკრეტული რომელიმე სტრუქტურის ან საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა, როგორიცაა, ვთქვათ, USAID ამ შემთხვევაში, ნაკლებად საინტერესოა. ასეთი ორგანიზაციები თავის დროზე სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ, ხოლო „ნაცმოძრაობას“, რომელიც, ფაქტობრივად, გენოციდს უწყობდა საკუთარ მოსახლეობას, რეფორმებს უქებდნენ და აქეზებდნენ...

**— იმავე კვლევაში, რომელიც USAID-მა გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების კუთხითაც მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს. ეს შეესაბამება რეალობას?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რას ეყრდნობიან, მაგრამ **ეკონომიკურ წინსვლას მოქალაქეები ხომ უნდა გრძნობდნენ? მით უფრო, თუ რეგიონის ლიდერები ვართ და განვითარების ასეთი სწრაფი ტემპია... ჩვენ რა, ბრმები ვართ?!** თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს კვლევა დღეს პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს და ზედმეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. ჩემთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დიალოგი რუსეთთან და მთავარია, დავიწყოთ ეს დიალოგი ყველა მიმართულებით.

**— 28 ოქტომბრამდე სულ რაღაც ორი კვირა რჩება, რას ელოდებით ამ არჩევნებიდან?**

— არჩევნები ჩატარდება ჩვეულებრივად, გაიმარჯვებს, ალბათ, **სალომე ზურაბიშვილი.** შემდეგ გამოცვივდებიან ნაცები და დაიწყებენ ყვირილს, რომ არჩევნები გაყალბდა, იდგებიან ერთ-ორ კვირას ქუჩაში, მაგრამ ვერ გამოიყვანენ ხალხს იმდენს, რამდენიც საჭიროა და მორჩა. სხვა სცენარს ვერ ვხედავ, თუმცა ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელები და გასაკვირი ნამდვილად არაფერი არ არის. სხვათა შორის, უკრაინაში რომ ჰყავდათ თავის დროზე მებრძოლები, ისინი ჩამოიყვანეს და გარკვეული სამზადისიც, ალბათ, უკვე მიმდინარეობს. ამასთანავე, სააკაშვილმაც თქვა ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ საჭიროა რაღაც ჯგუფების ჩამოყალიბება, რათა ყველა გადათელონ, ვინც კი წინ აღუდგებათ. ვფიქრობ, რომ არ არის გამორიცხული, არჩევნების შემდეგ აქ ევრომაიდნის მსგავსი პროცესის დაწყება სცადონ, მაგრამ, როგორ გამოუვათ ეს, სხვა ამბავია. თუ ხელისუფლება მისცემს ამის საშუალებას, ალბათ, დაძაბავენ ვითარებას, სხვანაირად ეს გამორიცხულია.

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას შეიძლება ხელს აძლევდეს ვითარების დაძაბვა?**

— ცხადია, არა. მხედველობაში მაქვს ხელისუფლების შესაძლო სისუსტე, რომლითაც სააკაშვილი და მისი პოლიტიკური ხროვა, რა თქმა უნდა, მაშინვე ისარგებლებს. ისე, მხოლოდ ხელისუფლებაზე არ არის ეს ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენ **თუ გვინდა, რომ ნაცებმა კუდი არ მოიქნიონ და ქვეყანა არ არიონ, სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობაც არ უნდა დაგვავიწყდეს.** საერთოდ, ყოველთვის, როცა ეს დანაშაულებრივი პარტია ან მისი განაყოფი პოლიტიკური სუბიექტები თავს წამოყოფენ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ძალა, რომელმაც ქვეყანა დაანგრია და თავდაყირა დააყენა 9 წლის განმავლობაში. აი, ამ ზეწოლითა და საზოგადოებრივი წნეხით უნდა მოეჭრას ყველა გზა დამნაშავეებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თორემ, სააკაშვილს რომ არეულობისა და რევოლუციის ძალა ჰქონდეს, აქამდე დიდი ხნით ადრე ჩაახრჩობდა სისხლში ქვეყანას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## პარლამენტმა კანაფის კონტროლის შესახებ კანონპროექტის განხილვა ორი თვით გადადო

**ჯანდაცვისა და სოციალური დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა, კანონპროექტის განხილვის გადავადების მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიმართეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ დამატებითი კონსულტაციების გამო კანონპროექტის განხილვა შეჩერებულია და, შესაბამისად, განხილვა უნდა გადავადდეს.** კანონპროექტი პარლამენტში 14 სექტემბერს დარეგისტრირდა. ახალმა ამბავმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შსს-ს ცნობით, მთავრობის მიერ მარიხუანის შესახებ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს ქვეყანაში მარიხუანის გასაღების მკაცრ შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლომ კანაფის მოხმარებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 2017 წლის 30 ნოემბერს გააუქმა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე შსს-მ კანაფის მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ ახალი რეგულაციები მოამზადა. ცნობილია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში კანაფის კონტროლის სააგენტო შეიქმნება.



**„გულანთებული ხალხი, უბრალო ადამიანები, „ქართული ოცნების“ რიგითი წევრები და არა მხოლოდ ისინი, დამფუძნებლებიც კი, დღეს არსად ჩანან. მეტიც, ახლანდელი „ოცნებისტები“ დასცინიან კიდეც მათ. მაგრამ მჯერა, ის მუხტი, რომელიც 2012 წელს იყო, არასდროს მინავლდება ქართველ ხალხში და ამ მედროვეებს, რომლებიც ახლა ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, საკადრისი პასუხი გაეცემათ“.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ცენტრალურ ოფისში არჩევნებში გამარჯვებიდან 6 წლის თავზე განცხადება გაკეთდა: „ზუსტად 6 წლის წინათ, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ქართველმა ხალხმა გააკეთა ისტორიული არჩევანი თავისუფლების სასარგებლოდ და უარი უთხრა ადამიანის ღირსების შელახვაზე დაფუძნებულ დანაშაულებრივ რეჟიმს“... მოკლედ, როგორც სჩვევიათ, წინა ხელისუფლებაზე უფრო მეტი ისაუბრეს, ვიდრე საკუთარ მიღწევებზე და მით უმეტეს — ჩავარდნებზე. გრძელი იყო ჩამონათვალი იმ დანაშაულებისა, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა და რომლებსაც დღემდე გვახსენებს „ქართული ოცნება“.

# დავით ჭიჭინაძე: «ქართულ ოცნებას» პოლიტიკური შესაძლებლობებით კეკლუცობა ძვირი დაუჯდება

„ჩვენი ამოცანაა, განვავითაროთ ეკონომიკა და გავაუმჯობესოთ ჩვენი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა, სრულად აღმოვფხვრათ სიღარიბე საქართველოში; ჩვენი ამოცანაა, ადამიანებს მივცეთ თვითრეალიზების უკეთესი შესაძლებლობები და ვიზრუნოთ საზოგადოების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებასა და გაძლიერებაზე“, — ასე დასრულდა მმართველი გუნდის დასკვნითი სიტყვა. საზეიმო შეხვედრაზე სხვაც ბევრი, ასე ვთქვათ, ხმამაღალი სიტყვა ითქვა, მაგრამ არავის უხსენებია, რატომ გამოიცვალა ქვეყანამ 6 წლის განმავლობაში ოთხი პრემიერი; არავის გახსენებია კორუფცია, რომელსაც პრემიერები ეწირებოდნენ, და არ უთქვამთ, რომ ამა წლის აგვისტოში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სურსათი 3,3%-ით გაძვირდა, მედიკამენტები — 10,3%-ით, ხოლო ბენზინი — 19,5%-ით; არც იმაზე უსაუბრიათ, ფასების ზრდის ტენდენციას ისევ უნდა ველოდოთ თუ არა.

რას ფიქრობს, თითქმის ექვსი წლისთავზე „ქართული ოცნების“ რიგებიდან წამოსული ისნის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე?**

**— ბატონო დავით, არჩევნებში გამარჯვების ექვსი წლისთავი „ქართულმა ოცნებამ“ ზეიმით აღნიშნა. ისაუბრეს მიღწევებზე, თუმცა, როგორც სჩვევიათ, საკუთარ თავზე მეტად „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრა წელიწადზე გაამახვილეს ყურადღება. საზოგადოება თვლის, რომ „ოცნებას“ სატრაბახო არაფერი აქვს და ამიტომ საუბრობენ უკვე ყბადაღებულ სისხლიან ცხრა წელიწადზე. თქვენ ერთ-ერთ გადაცემაში თქვით: „ოცნების“ წევრებს არ ჰქონდათ გაბრწყინებული თვალები, ისეთი, როგორც 2012 წელსო...**

— დღეს „ქართულ ოცნებაში“ მედროვეები არიან გაბატონებულნი. იქ მყოფ ადამიანებს კომპასი აქვთ არეული, არ ახსოვთ, სად იყვნენ 2012 წლამდე და სად იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მართლაც ბრძოლითა და თავგანწირვით შეძლეს, შეეცვალათ სისხლიანი რეჟიმი. **ეს ადამიანები არსაიდან მოვიდნენ თანამდებობეზე, რაც შეიქნა იმის მიზეზი, რომ არავის ახსოვს დაპირებები, რომლებსაც გასცემდა თავის დროზე „ქართული ოცნება“. არ ახსოვთ კი არა, სინდისიც არ ჰქენჯნით, რომ არაფერი შესრულდა. გულთან ახლოს არ მიაქვთ არაფერი, გამოფიტული, გამომშრალი, საკუთარ ოცნებებზე ორიენტირებული ადამიანების თავყრილობა იყო 1 ოქტომბერს და, რა თქმა უნდა, ვთქვი, თვალები ჩამქრალი აქვთ-მეთქი.**

**— შესაძლოა, ვიღაც გუშინ მოვიდა „ქართულ ოცნებაში“ და არ ახსოვს, რას დაჰპირდნენ ხალხს, მაგრამ ის კაცი, ვინც ეს გუნდი ხელისუფლებაში მოიყვანა, ისევ ცოცხალი, უვნებელია და გუნდს კვლავ ხელმძღვანელობს...**

— ამ ადამიანმა, ბიძინა ივანიშვილმა, გვითხრა: — რაც არის, ეგ არის, მე ხალხს მთვარიდან და მარსიდან ვერ ჩამოვიყვანო... სამწუხაროდ, თქვა, რომ რეალობას არ იცნობდა...

**— და, თქვენ თვლით, რომ საქართველოში სპეციალისტები, პატრიოტები, ქვეყნის ერთგული ადამიანები მარსიდან არის ჩამოსაყვანი?**

— არა, მე ასე არ ვთვლი. ივანიშვილი ამბობს, რომ არ იცნობდა ხალხს, და ის მართლა არ იცნობდა არავის, არ ცხოვრობდა ჩვეულებრივი ცხოვრებით, არ იყო კონტაქტური. პოლიტიკა სხვაა და ტელეეკრანზე ადამიანი რომ მოგეწონება და შეარჩევ, სხვა. **შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ბრმად ენდო ყველას, ვისაც რეკომენდაცია გაუწიეს და მასთან მიიყვანეს.** ეს „კოლექტიური ზარდიაშვილები“ ყველა რეკომენდაციით არის მისული. **დღეს, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ბიძინა ივანიშვილი ძალიან გაკვირვებულია რამდენიმე ადამიანის საქციელით, წარსულითა და ა.შ.**

როდესაც იმ ცხოვრებით ცხოვრობ, როგორც ივანიშვილი ცხოვრობს, ძნელია, ამხელა მმართველ პარტიაში მყოფი ყველა ადამიანის წარსული იცოდე და ყველას ცნობდე. სამწუხაროდ, პარტიაში ისეთი ტენდენციაა, რომ მთავარია, ერთი შეიპაროს ვინმე და მერე სხვებსაც აპარებს.

**გულანთებული ხალხი, უბრალო ადამიანები, „ქართული ოცნების“ რიგითი წევრები, და არა მხოლოდ ისინი, დამფუძნებლებიც კი, დღეს არსად ჩანან. მეტიც, ახლანდელი „ოცნებისტები“ დასცინიან კიდეც მათ. მჯერა, ის მუხტი, რომელიც 2012 წელს იყო, არასდროს მინავლდება ქართველ ხალხში და ამ მედროვეებს, რომლებიც ახლა ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, საკადრისი პასუხი გაეცემათ.** ამის თქმის საშუალებას გამოცდილება მაძლევს, ქართველი კაცი დამნაშავის დასჯას ყოველთვის ახერხებდა.

**„ქართული ოცნების“ დრო დასრულდება და ეს ძალიან მალე მოხდება,** სიმართლე გითხრათ, რიგგარეშე არჩევნებს ველოდები... ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება.

**— როგორ მოხდა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან ექვსი წლის თავზე მეოთხე პრემიერი გვყავს და თითოეული მათგანი კორუფციისა და დამნაშავე გარემოცვის გამო გაუშვეს? თქვენ პარლამენტარი ხართ, არ საუბრობენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომ რაღაც შესაცვლელია, რომ მათ მიერ ხელდასმული ადამიანები არ ამართლებენ და ა.შ.**

— თქვენ, ალბათ, მოისმინეთ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, „ქართული ოცნება“ ისეთი პატიოსანი ხალხით არის დაკომპლექტებული, ფული რომ დაუდო წინ, არ აიღებენო. **მაინტერესებს, ვის გულისხმობს კობახიძე, რომელ „ქართულ ოცნებაზე“ საუბრობს, მას ყველასთან პრეტენზიები აქვს, ყველასთან დაპირისპირებულია, ყველა ყოფილ პრემიერსა და მინისტრს ისე მოიხსენიებს, როგორც ქვეყნის ამომგდებებს. კობახიძის გამოსვლები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მათ პრინციპი არ გააჩნიათ, გაორებულები არიან. წაქცეულის ჩაწიხვლა ეხერხებათ და ამისათვის ხელსაყრელ მომენტს ელიან.**

ეს უმსგავსობა იმიტომ ხდება, რომ მოქმედ თანამდებობის პირს არ აძლევენ შენიშვნას, არ მიუთითებენ გადაცდომაზე, არ უკრძალავენ არაფერს. კანონი არ იციან, არ იციან, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტარს შეუძლია, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს შენიშვნა მისცეს. დღეს ჩვენ არ ვიცით, ვინ რას აკეთებს, ვინ რას ხლართავს, მაგრამ, როგორც კი თანამდებობიდან წავა, მაშინვე სააშკარაოზე გამოტანენ ყველაფერს.



**— რამდენიმე დღის წინათ კომპანია „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელმა ზაზა ოქუაშვილმა სკანდალური ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, ის ხელისუფლების წარმომადგენლების გვარებს ასახელებდა და ამბობდა, რომ ეს ადამიანები ფულს ძალავდნენ. როგორ ფიქრობთ, სიმართლე თქვა ოქუაშვილმა? შეეძლოთ ასეთ რამეზე წასვლა?**

— ადამიანები, რომლებიც ოქუაშვილმა დაასახელა, კარგი რეპუტაციით არ გამოირჩევიან. აქედან გამომდინარე, ვერაფერს ვიტყვი, თანაც კადრებიც გვიჩვენეს, ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ გაიტანეს ფული, ამასთანავე, ამას არავინ უარყოფს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ოქუაშვილის მონაყოლიდან ბევრი რამ მართალია.

**— სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა ხელისუფლებისთვის მომგებიანი სვლაა თუ წამგებიანი?**

— „ქართულმა ოცნებამ“ კეკლუცობა დაიწყო საზოგადოების წინაშე, იპრანჭებიან თავიანთი პოლიტიკური შესაძლებლობებით, რაც ძვირად დაუჯდებათ. პოლიტიკური ძალა, რომელიც არჩევნებს არ აღიარებს და თვლის, რომ არჩევნებით თამაში შეიძლება, აუცილებლად დამარცხდება. თუ მათ არ სურთ ხალხის ნდობა, ისინი ამას ვერ მიიღებენ. **„ქართულმა ოცნებამ“ თავისი კანდიდატი რომ არ დაასახელა, საბედისწერო შეცდომაა.** მოიგონეს ჯერ არ გაგონილი ფორმულა არჩევნებში არმონაწილეობის, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ აქტიურად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო პროცესში, რაც კანონდარღვევაც არის. პარტია, რომელიც არჩევნებში არ მონაწილეობს, თავისი იდეების, სლოგანების პოპულარიზაციას ეწევა.

**— არ გაგიჩნდათ სურვილი, 1 ოქტომბერს საზეიმო ღონისძიებაზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა გვერდით რომ მდგარიყავით?**

— არა, მათთან დგომის სურვილი კი არა, მათ რომ ვუყურებ, მგონია ხალხის მოტყუების ერთ, დიდ სპექტაკლში მივიღე ჩემდა უნებურად მონაწილეობა. გულწრფელად მჯეროდა, რომ რაღაცის შეცვლას შევძლებდი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უფლება არ მქონდა არაფრის. არადა, დეპუტატი რომ გავხდი, ვფიქრობდი, პოპულარული სახელებისა და გვარების ეპოქა დასრულდება, ხალხზე ვიზრუნებთ-მეთქი... მჯეროდა, „ქართული ოცნება“ რეალობა იყო, თურმე ტყუილი აღმოჩნდა.

ადამიანების შეცდომაში შეყვანაში წვლილი მეც შევიტანე, თავს არ ვგრძნობ კომფორტულად. ძალიან მინდა, რა დაპირებებიც მივეცი ჩემს ამომრჩეველს, შევასრულო, დავანახვო მაინც, რომ ვცდილობ. ვიდრე დაპირებების შესრულებას არ დავიწყებთ, არაფერი გვეშველება.

**— ბატონო დავით, არ შემიძლია არ გკითხოთ ანაკლიის პორტზე, რადგან თქვენსა და მმართველ გუნდს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ეს საკითხიც იყო. დაიწყო პორტის მშენებლობა?**

— ანაკლიის პორტში, აგვისტოს მონაცემებით, არაფერი არ ხდება, გარდა მემორანდუმების გაფორმებისა, რასაც შედეგი არ აქვს. სექტემბრის ინფორმაცია არ ვიცი, რადგან ბევრმა სხვა თემამ გადაფარა ანაკლიის ამბავი. ანაკლიის პორტმა აქტუალობა დაკარგა.

ანაკლიის პორტი თავისი არსით და მისი დამფუძნებლით — თი-ბი-სი ბანკით, ეწინააღმდეგება კანონს. ბანკს არ აქვს ასეთი საქმიანობის უფლება, მაგრამ ამ ქვეყანაში ბანკირებს ყველაფრის უფლება აქვთ, ჩვენ ოქუაშვილის საქმეშიც ვნახეთ თი-ბი-სის ჩართულობა. ასე რომ, მათგან კარგსა და სასიკეთოს არაფერს ველით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«პოლიტიკური ძალა, რომელიც თვლის, რომ არჩევნებით თამაში შეიძლება, აუცილებლად დამარცხდება»**

**«მათ რომ ვუყურებ, მგონია ხალხის მოტყუების ერთ, დიდ სპექტაკლში მივიღე ჩემდა უნებურად მონაწილეობა. გულწრფელად მჯეროდა, რომ რაღაცის შეცვლას შევძლებდი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უფლება არ მქონდა არაფრის»**

**«მაინტერესებს, ვის გულისხმობს კობახიძე, რომელ «ქართულ ოცნებაზე» საუბრობს, მას ყველასთან პრეტენზიები აქვს, ყველასთან დაპირისპირებულია, ყველა ყოფილ პრემიერსა და მინისტრს ისე მოიხსენიებს, როგორც ქვეყნის ამომგდებებს. კობახიძის გამოსვლები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მათ პრინციპი არ გააჩნიათ, გაორებულები არიან, წაქცეულის ჩაწიხვლა ეხერხებათ და ამისათვის ხელსაყრელ მომენტს ელიან»**

გრიგოლ ოქიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„30-იანი წლების დასასრულს და ომის შემდეგ პირველ წლებში, როდესაც ქვეყანა გადარჩენისთვის საჭირო საშუალებისა და ფაშიზმის თავდასხმის მოსაგერიებელი სამხედრო ძალების მწვავე უკმარისობას განიცდიდა, იმის ფუფუნება არ გვქონდა, რომ უნაყოფო და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მეცნიერება შეგვენახა. იმ წლებში თითქმის ყველა და ყველაფერი ემორჩილებოდა ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის განმტკიცების ინტერესებს. ნებისმიერ საკითხს, უპირველესად, ამ კუთხით უდგებოდნენ“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34-35 (458-459)

# სტალინის პორტრეტისთვის

# სტალინი და ივანე ბენედიქტოვი

**ატომური ბომბის შექმნის იდეასა და პირველად მონაცემებზე სტალინს პირველს მიუწვდებოდა ხელი, მაგრამ ამ მეტად ძვირად ღირებული პროექტის ხორცშესხმას ქვეყნის თითქმის მთელი ბიუჯეტი სჭირდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ და საიდუმლო სამსახურებმა შეუძლებელი შეძლეს და ამ ძვირად ღირებული პროექტის განხორციელება სულ სხვა სახელმწიფოს აალებინეს თავის თავზე.**



ლისენკოს გამოსვლა კრემლში

ატომური ბომბის პროტოტიპად ფაუ-1 და ფაუ-2 ითვლება, რომლებიც გერმანიის ლაბორატორიებში იქმნებოდა. სწორედ ამ ლაბორატორიების საიდუმლოებების გამჟღავნების პირველი მერცხალი იყო საზღვარგარეთის დაზვერვის რეზიდენტურა და ამ პროექტის პირველსაწყისიც სწორედ მას ჰქონდა, რომელიც მოკავშირეებმა ჩაიგდეს ხელში.

მსგავსი რამ მოხდა გენეტიკის დარგშიც. რუსეთში მტკიცედ ჩამოყალიბებული აზრი, რომ რუსულ არმიაში მხოლოდ თეთრგვარდიელებს შეეძლოთ ბრძოლა და სამეფო გვარისა და მაღალი რასის გარეშე წარმოუდგენელი იყო არმიის არსებობა, თუ ამას ადამიანებში გენეტიკური კოდის არსებობის პროპაგანდაც დაემატებოდა, მუშათა და გლეხთა არმიაზე ფიქრიც კი სასაცილო იქნებოდა. როგორც **რომანოვებს,** რომლებიც 300 წელი უცვლელად ბატონობდნენ რუსეთს, ჩაენაცვლენ **ულიანოვები, ვოროშილოვები, ჯუღაშვილები** და სხვა „დაბალი რასის“ ადამიანები, ჯარსაც უნდა შეცვლოდა სარდლობა, რომელიც მუშათა და გლეხთა კლასიდან იქნებოდა გამოსული. სწორედ ვოროშილოვი იყო იმ კლასის წარმომადგენელი, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ დაბალი კლასიდან გამოსულსაც კი შეუძლია ჯარის ნიჭიერად მართვა.

რომანოვების გენის გარეშეც შეეძლო რუსეთს მტრის დახვედრა და ქვეყნის აღმშენებლობა, რაც იმხანად გენეტიკის უარყოფას ნიშნავდა. ივანე ბენედიქტოვი შეპარვით, მაგრამ მაინც მისახვედრად, ამბობს იმას, რასაც სტალინი, ალბათ, მხოლოდ გულში ფიქრობდა.

მივყვეთ ტექსტს:

**კითხვა: — გენეტიკის შესახებ უფრო დაწვრილებით გვიამბეთ...**

**პასუხი:** — რა გაეწყობა, ამ საკითხს დავუბრუნდები. **30-იანი წლების დასასრულს და ომის შემდეგ პირველ წლებში, როდესაც ქვეყანა გადარჩენისთვის საჭირო საშუალებისა და ფაშიზმის თავდასხმის მოსაგერიებელი სამხედრო ძალების მწვავე უკმარისობას განიცდიდა, იმის ფუფუნება არ გვქონდა რომ უნაყოფო და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მეცნიერება შეგვენახა. იმ წლებში, თითქმის ყველადა ყველაფერი ემორჩილებოდა ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის გამტკიცების ინტერესებს. ნებისმიერ საკითხს, უპირველესად, ამ კუთხით უდგებოდნენ.**

ლისენკოს მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევები რეალურ სარგებელზე იყო გათვლილი და ხელშესახები და პრაქტიკული ეფექტი ჰქონდა. მოსავლიანობის ზრდას და სოფლის მეურნეობაში ახალი, შედარებით პერსპექტიული კულტურების დანერგვას ვგულისხმობ. **ვავილოვისა** და მისი მიმდევრების მუშაობა კი შედეგს წარმოსახვით მომავალშიც კი ვერ გვპირდებოდა, იმდროინდელ პერიოდზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

სხვათა შორის, გენეტიკოსებს შორის რევოლუციამდელი ბურჟუები ჭარბობდნენ, რომლებიც ელიტური და აშკარა ანტიეროვნული აქცენტით საკუთარი „აპოლიტიკურობისა“ და „სუფთა მეცნიერების“ მიმართ ერთგულების აფიშირებას ახდენდნენ, რისი საჭიროებაც საერთოდ არ იგრძნობოდა. ერთ-ერთმა მათგანმა გაბედა და ფაშიზმის ადამიანთაშორის სიძულვილის ანტირასობრივ თეორიებს თითქმის ღიად დაუჭირა მხარი, მეტიც, მათ დასამტკიცებლად მუშაობდა კიდეც. მსგავსი სნობი აკადემიკოსებიდან ერთ-ერთი იყო ბიოლოგი **ტიმოფეევ-რესოვსკი**, რომელმაც სამშობლოს ღალატის საქმეში უკან არ დაიხია და **ფაშისტურ გერმანიაში ნებაყოფლობით დარჩა, ის რეიხის სპეცსამსახურთან მჭიდრო კავშირში მყოფ ბერლინის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტში ომის პერიოდში დაუღალავად შრომობდა.**

რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები სიმპათიას არ იწვევდნენ, მაგრამ ვიმეორებ: მთავარი იყო ის, რომ **მაშინდელმა გენეტიკოსებმა თავიანთი მიმართულების მნიშვნელობა და პერსპექტიულობა ვერ დაამტკიცეს.**

რა თქმა უნდა, დღევანდელი პოზიციიდან თუ შევაფასებთ, ნათელია, **„დიდი მეცნიერების“ განვითარება იმ წლებში უზომოდ გამოვლენილმა „პრაქტიკულობამ“ შეაფერხა. დამნაშავეები იყვნენ ისინი, ვისაც აკადემიური მეცნიერების განვითარებაში პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და გარკვეულწილად მეც, როგორც ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრს. სტალინი კი, რომელიც მოცემული პრობლემისგან საკმაოდ შორს იდგა, სხვათა შორის, ჩვენს წახალისებას არ ერიდებოდა, რათა პერსპექტიული მეცნიერული მიმართულებებისთვის, მათი ბოლო მიღწევებისა და ტექნიკური სიახლეებისთვის თვალყური გვედევნებინა.** აგრეთვე, გვავალებდა ნიჭიერი მეცნიერები უნიჭო და ბოლმით სავსე ინტრიგანების თავდასხმებისგან დაგვეცვა.

ასე რომ, დაშვებულ შეცდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. დღესაც, ათწლეულების შემდეგ, ძველებურად ვთვლი, რომ პარტიის მიერ გატარებული კურსი, რომელიც სოფლის მეურნეობის მეცნიერების ცხოვრებასთან, მის მოთხოვნებსა და საჭიროებასთან დაახლოებას ითვალისწინებდა, სწორი იყო. ეს, ფაქტობრივად, ვავილოვმაც კი აღიარა.

**კითხვა: — და მაინც, ვერ უარყოფთ რომ ლისენკო- ვავილოვის კამათში გამარჯვება უცოდინრობასა და უწესრიგობას დარჩა, ლისენკოს მიმართ სტალინის სიმპათიამ კი ბიოლოგიაში ადამიანთა იმ ერთი ჯგუფის მონოპოლიზმის განვითარებას შეუწყო ხელი, რომელიც დღეს მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მუხრუჭად გადაიქცა?**

**პასუხი:** — როგორ ვერ უარვყოფ? უარვყოფ და თანაც მტკიცედ. მანამდე კი, როგორც მოხუცს, ბუზღუნის საშუალება მომეცით. **სტალინისა და ვავილოვის შესახებ საკითხების ტენდენციურობა და ერთმხრივი თვალსაზრისი სახელს ვერ გაგითქვამთ. როგორც ჩანს, ეგრეთ წოდებულ „ინტელიგენტურ წრეებში“ განსაკუთრებით სასარგებლო ტყუილების გამეორებით, გარკვეული პოზიციები უკვე დაგიკავებიათ. მაშინ ჩემი აზრი რისთვისღა გჭირდებათ?** ჟურნალისტი ობიექტური და მიუკერძოებელი უნდა იყოს. თუ, რა თქმა უნდა, სიმართლის გაგება და არა მოდური ფრაზებით თავის მოწონება არ სურს. მოცემულის მიმართ ლენინის შესანიშნავი სიტყვები უნდა მოვიშველიო: **„აუცილებელია არა ცალკეული ფაქტების გადახედვა, არამედ ყურადღება მოცემულ საკითხზე ფაქტების ერთობლიობას, გამონაკლისის გარეშე, უნდა მიექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩნდება ეჭვი, რომ, ობიექტური ისტორიული მოვლენების ნაცვლად, ბინძურ საქმეში „სუბიექტურ“ თავის მართლებას ვთავაზობთ. ეს კი იმაზე ხშირად ხდება, ვიდრე წარმოგვიდგენია“.** როგორც ჩანს, თქვენც ასეთ „სუბიექტურ სინამდვილეს“ წამოეგეთ. ოღონდ სტალინის მიმართ ამას უწმინდური პოლიტიკოსები ბნელი საქმეების გამართლების მიზნით იყენებდნენ. ვავილოვის ამბავშიც მეცნიერებაში მოღვაწე უწმინდურები მონაწილეობდნენ.

**კითხვა: — კრიტიკა მიღებულია. ვეცდები, მეტად ობიექტური ვიყო, თუმცა, ალბათ, გესმით, მიჩვეულს ვერ გადაეჩვევი. და მაინც... ლისენკოს მაქინაციებსა და ვავილოვის წამების შესახებ გავრცელებულ მოსაზრებებს როგორ შეაფასებთ?**

**პასუხი:** — ტროფიმ დენისოვიჩ ლისენკოს ძლიერ და სუსტ მხარეებს კარგად ვიცნობდი. გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ იგი იყო ძლიერი და ნიჭიერი მეცნიერი, რომელმაც საბჭოთა ბიოლოგიის განვითარებისთვის ბევრი გააკეთა, რაშიც ვავილოვიც არ დაეჭვებულა. სხვათა შორის, ახალგაზრდა აგრონომი დიდ მეცნიერებაში ვავილოვის მხრიდან მისი პირველი ნაბიჯების უმაღლესი შეფასების შემდეგ მოხვდა. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის კულტურებში ცნობილი გაზაფხულის ხორბლის ჯიშები ლისენკოს მუშაობის საფუძველზე შეიქმნა. ლისენკოს ერთგული მოსწავლე იყო **ლუკიანენკო,** ჩვენი ყველაზე ნიჭიერი და ნაყოფიერი სელექციონერი, რომლის მუშაობის შედეგიც ზამთრის ხორბლის 15 დარაიონებული ჯიშის შექმნა იყო. ასე რომ, **რაც უნდა ილაპარაკონ კრიტიკოსებმა ლისენკოს შესახებ, ქვეყნის მარცვლეული კულტურის უამრავი სახეობა სწორედ მისი მომხრეებისა და მოსწავლეების მიერაა გამოყვანილი. კარგი იქნებოდა, ასეთი „ჯადოქარი“ ბევრი გვყოლოდა. მოსავლიანობის გაზრდის პრობლემას დიდი ხნის წინათ გადავჭრიდით და მარცვლეულით ქვეყნის მომარაგების საკითხს დღის წესრიგიდან მოვხსნიდით.**

გეთანხმებით, რომ ლისენკოს ზოგიერთმა ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა და მცდარი გამოდგა. დამისახელეთ თუნდაც ერთი მეცნიერი, რომელსაც შეცდომა არასოდეს დაუშვია და მცდარი ჰიპოთეზა არ წამოუყენებია. ამის გამო ყველას „სიცრუე“ უნდა დავწამოთ?

ვავილოვისა და ლისენკოს მიმართულებებს შორის გამართულ ბრძოლას რაც შეეხება, მომხდარის ნამდვილი სურათის დამახინჯებული სახით წარმოსაჩენად არაერთი სპეკულაცია არსებობს. პირველ რიგში, ბრძოლა თითოეული მხარის გამარჯვებით მიმდინარეობდა. იყო მომენტები, როცა ლისენკო უმცირესობაში ხვდებოდა. მაგალითად, 1947 წლის ცკ-ის პლენუმზე მისი ქმედებების შეცდომებზე იყო საუბარი. კარგად მახსოვს მის მიმართ მკაცრი კრიტიკა მეცნიერების განყოფილების უფროსის — **იური ჟდანოვისა**, რომელმაც დისკუსიის შემდეგ, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც, თვალსაზრისი შეცვალა.

რეპრესიებს რაც შეეხება, მათ, ამა თუ იმ თვალსაზრისის გამო კი არა, კონკრეტული მავნებლური საქმიანობისთვის იყენებდნენ. თუმცა მეცნიერული ბარიკადების მეორე მხარეს მდგარი გენეტიკოსების მიმართ უკანონო- ▶

**«სიმხდალე და სისუსტე გამოავლინა ვავილოვმა გამოძიების დროსაც, როცა გამომძიებლის ზეწოლას ვეღარ გაუძლო და არა მხოლოდ საკუთარ თავზე ალაპარაკდა, არამედ ბოტანიკის ინსტიტუტში მოღვაწე მავნებლური ჯგუფის არსებობაც აღიარა, რის შედეგადაც საქმე სრულიად უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა-წამებით დასრულდა... ლისენკო კი გაოთხმაგებული მუქარის ქვეშაც არ ალაპარაკდებოდა არც საკუთარ თავზე და არც სხვებზე. მას რკინის ნებისყოფა ჰქონდა, რომლის გატეხვაც ამ ადამიანში, უბრალოდ, შეუძლებელი იყო»**

## „რაც უნდა ილაპარაკონ კრიტიკოსებმა ლისენკოს შესახებ, ქვეყნის მარცვლეული კულტურის უამრავი სახეობა სწორედ მისი მომხრეებისა და მოსწავლეების გამოყვანილია. კარგი იქნებოდა, ასეთი „ჯადოქარი“ ბევრი გვყოლოდა. მოსავლიანობის გაზრდის პრობლემას დიდი ხნის წინათ გადავჭრიდით და მარცვლეულით ქვეყნის მომარაგების საკითხს დღის წესრიგიდან მოვხსნიდით“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბა და ძალაუფლების გადამეტებაც არ ყოფილა იშვიათი შემთხვევა.

კიდევ ერთ ვითარებაზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება: ლისენკოსა და მისი მომხრეების გათავისუფლების შემდეგ, ხელსაყრელი მომენტის შექმნისთანავე, ბიოლოგიურ მეცნიერებაში მთავარი ადგილები მისმა მოწინააღმდეგე მეცნიერებმა დაიკავეს. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ „გენეტიკოსების სრული განადგურება“ გამოგონილი ამბავია, რომელიც, სამწუხაროდ, ამ საქმეში გაუცნობიერებელმა ჟურნალისტებმა და ლიტერატორებმა აიტაცეს.

**კითხვა: — ამ ყველაფრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ სტალინი ლისენკოს ხელს უწყობდა, ვავილოვი კი არ უყვარდა...**

**პასუხი:** — აქ კი შემიძლია დაგეთანხმოთ. ოღონდ მანამდე გეტყვით, რომ სტალინი, ჩვეულებრივ, პირადი სიმპათიით ან ანტიპათიით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. თუ სწორად მახსოვს, ცკ-ის ორმა მეცნიერმა წერილობით მოგვმართა. ისინი ლისენკოს თაღლითური ფაქტების წარმოჩენაში, ინტრიგანობასა და სხვა ცოდვებში საკმაოდ მკაცრი ტონით ადანაშაულებდნენ. ეს წერილი ბიოლოგიის მეცნიერებაში უდიდესი ზიანის მომტანი „მატყუარას“ მიმართ განხორციელებული გამოწვევა უფრო იყო.

წერილის შემოწმებაში მონაწილეობა მე დამევალა. ლისენკო, რა თქმა უნდა, თავს იმართლებდა. ხან დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავდა, ხან — პირიქით, მაგრამ დამნაშავეების მიმართ არანაირი „კონტრსანქციების“ განხორციელებას არ მოითხოვდა. ეს მისი სტილი იყო — დამარცხებულთა აუცილებელი ჩამოშორებით მეცნიერება კონკურენტების ბრძოლის ველად არ უნდა გადაქცეულიყო.

თავის სიმართლეში ფანატიკურად იყო დარწმუნებული, ზოგჯერ გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მოწინააღმდეგეები, ადრე თუ გვიან, გონს მოეგებოდნენ და, ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან ძალდატანების გარეშე, „იარაღს დაყრიდნენ“. ამის გამო სტალინმა თქვა: **„ხედავთ, მისი ციხეში ჩასმა უნდათ, ის კი ჯერ საქმეზე ფიქრობს და პიროვნების განსჯაზე არ გადადის, რაც მეცნიერისთვის დასაფასებელი თვისებაა“.**

ლისენკოსათვის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას გავიხსენებ. **როდესაც ვავილოვი დააპატიმრეს, მისმა მომხრეებმა და „მეგობრებმა“, თავიანთი თავის წარმოსაჩენად გამომძიებლის „მავნებლური“ ვერსია ერთიმეორის მიყოლებით დაადასტურეს. იმ პერიოდში, ვავილოვთან მეცნიერულ სარბიელზე არსებული სხვადასხვა პოზიციის მიუხედავად, ლისენკომ ამის გაკეთებაზე გადაჭრით თქვა უარი და ეს წერილობით დაადასტურა. არადა, იმ პერიოდში „ქვეყნის მტრის“ მხარში ამოდგომისათვის ლისენკოზე გავლენიანი ადამიანებიც შეიძლებოდა დაზარალებულიყვნენ, რაც მან კარგად იცოდა...**

ვერ ვიტყვი, რომ ტროფიმ დენისოვიჩი ყოველთვის ასეთი იყო.

ზოგჯერ სიჯიუტე ძლევდა და ამ ყველაფრის კომპენსირებას ახდენდა — ხმამაღალ პოლიტიკურ ფრაზებს მიმართავდა. სამწუხაროდ, უნაკლო ადამიანები არ არსებობენ. მთავარია, ნაკლს ადამიანური ღირსებები ფარავდეს.

საერთოდ, „ზოგადადამიანური“, მორალური პოზიციიდან გამომდინარე ვმსჯელობ. სტალინი კი, დარწმუნებული ვარ, ამ და სხვა საკითხებს პოლიტიკური თვალსაზრისით უდგებოდა. ჩამორჩენის დასაძლევად და ტექნიკური პროგრესის მოწინავე საზღვრების გადასალახავად ქვეყანას ახალი, სოციალისტური ტიპის მეცნიერები ესაჭიროებოდა, რომლებიც რუსული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ხარვეზებისაგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ. 30-იანი წლების ენით რომ ვთქვათ, ქვეყანაში ისეთი სახის მეცნიერებზე დაიწყო მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომლებიც, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციებიდან გამომდინარე, მშრომელი და ახალი საზოგადოების შესაქმნელად რევოლუციური ბრძოლისათვის მზადყოფნის მქონე ადამიანებთან მჭიდრო კავშირში იქნებოდნენ. ისეთი მეცნიერები იყვნენ საჭირო, რომლებიც აკადემიური რუტინისა და დოგმებისგან შორს იდგებოდნენ და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების პრაქტიკულ გადაჭრაზე იზრუნებდნენ.

**ლისენკოსა და ვავილოვს შორის გაჩაღებულ მეცნიერულ პოლემიკაში ბრძოლისუნარიანობის, სიმტკიცის, დაჟინებულობისა და პრინციპულობის თვისებები ლისენკომ უფრო მეტად გამოავლინა. ვავილოვი კი, როგორც ამას მისი თანამოაზრეებიც მოწმობენ, პოზიციებს მიყოლებით თმობდა, „თავისიანებსა და სხვისიანებს“ შორის კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას ცდილობდა, რაც ჩემში მუდამ გაღიზიანებასა უნდობლობას იწვევდა** — ესე იგი, პიროვნება თავის პოზიციაში დარწმუნებული არ არის და პასუხისმგებლობის ეშინია. ვფიქრობ, იმ პერიოდში ამ რანგის ყველა ადამიანს მსგავსი განცდა ჰქონდა, თუმცა მაინც მგონია, ასეთ საქმეებს ემოციები არ უნდა უნდა წყვეტდეს.

**გარკვეული სიმხდალე და სისუსტე გამოავლინა ვავილოვმა გამოძიების დროსაც, როცა გამომძიებლის ზეწოლას ვეღარ გაუძლო და არა მხოლოდ საკუთარ თავზე ალაპარაკდა, არამედ ბოტანიკის ინსტიტუტში მოღვაწე მავნებლური ჯგუფის არსებობაც აღიარა, რის შედეგადაც საქმე სრულიად უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა-წამებით დასრულდა.** ამის შესახებ მოგვიანებით შევიტყვე. იმ პერიოდში ვავილოვსა და ლისენკოს შორის გამართულ პერიპეტიებში, რომელიც დაპატიმრებებით დასრულდა, არც ჩემი, როგორც სოფლის მეურნეობის კომისრის, და არც სტალინის ხელი არ ერია.

**ლისენკო კი გაოთხმაგებული მუქარის ქვეშაც**

## «ლისენკოსა და მისი მომხრეების გათავისუფლების შემდეგ, ხელსაყრელი მომენტის შექმნისთანავე, ბიოლოგიურ მეცნიერებაში მთავარი ადგილები მისმა მოწინააღმდეგე მეცნიერებმა დაიკავეს. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ »გენეტიკოსების სრული განადგურება» გამოგონილი ამბავია, რომელიც, სამწუხაროდ, ამ საქმეში გაუცნობიერებელმა ჟურნალისტებმა და ლიტერატორებმა აიტაცეს»



ტროფიმ ლისენკო



ნიკოლაი ვავილოვი

## როდესაც ვავილოვი დააპატიმრეს, მისმა მომხრეებმა და «მეგობრებმა», თავიანთი თავის წარმოსაჩენად გამომძიებლის «მავნებლური» ვერსია ერთიმეორის მიყოლებით დაადასტურეს. იმ პერიოდში, ვავილოვთან მეცნიერულ სარბიელზე არსებული სხვადასხვა პოზიციის მიუხედავად, ლისენკომ ამის გაკეთებაზე გადაჭრით თქვა უარი და ეს წერილობით დაადასტურა

**არ ალაპარაკდებოდა, არც საკუთარ თავზე და არც სხვებზე. მას რკინის ნებისყოფა ჰქონდა, რომლის გატეხვაც ამ ადამიანში, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.** სხვა საქმეა, რომ ზოგჯერ აუხსნელ სიჯიუტესა და გაღიზიანებაში ვარდებოდა, საკუთარ ემოციებს „თეორიულ“ ბაზას აშველებდა.

ალბათ, შემთხვევითი არ იყო, ახალგაზრდა მეცნიერები ლისენკოსკენ რომ მიიწევდნენ. რომელსაც, მართალია, გამოცდილება არ ჰყოფნიდა, მაგრამ ნამდვილსა და ყალბს უშეცდომოდ განასხვავებდა. **არაერთხელ შევხვედრივარ ლისენკოს სტუდენტებსა და მის გვერდით მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერებს, შემიძლია გარკვევით ვთქვა, რომ მას აუდიტორიის „გახურება“ და აყოლიება შეეძლო, ახალგაზრდებს შემოქმედებითი ძიებისკენ სწრაფვისა და არაორდინალური შედეგების მიღწევის სურვილს უნერგავდა, რასაც, კარგად მახსოვს, ძველი, რევოლუციამდელი მეცნიერები ჩვენში ვერ იწვევდნენ.** ბევრმა მათგანმა რევოლუცია გვიან მიიღო. ისიც მუდამ საპასუხო დარტყმის მოლოდინში იყვნენ, „მზარეულის შვილები“ , რომლებიც მეცნიერებაში ოლიმპიური მწვერვალის დასაპყრობად ემზადებოდნენ, დაუფარავად არ მოსწონდათ. მუშათა და გლეხთა ფენიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის კი ლისენკო „მათიანი“ იყო და რევოლუციური იდეების თავიდან ბოლომდე ერთგული გახლდათ. იგი საჩვენებელ მაგალითს წარმოადგენდა, თუ რამდენის მიღწევა შეეძლო უბრალო ადამიანს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სტალინზეც აისახებოდა, რომელიც მუშათა და გლეხთა კლასიდან გამოსული ახალგაზრდობის ლისენკოსთან ჩაბმას აქტიურად ცდილობდა.

**კითხვა: — თქვით, რომ ლისენკოს მოღვაწეობას სტალინი უფრო კრიტიკულად უდგებოდა, ვიდრე ხრუშჩოვი...**

**პასუხი:** — მეცნიერის ნაკლს სტალინი საკმარისად მკაფიოდ ხედავდა. მან ჩემი თანდასწრებით ლისენკო მეცნიერულ სფეროში მარქსისტული იდეებისა და ტერმინოლოგიის გამოყენებისათვის, მართალია, ტაქტიანად, მაგრამ არაერთხელ გააკრიტიკა.

საკმაოდ საინტერესოა ლისენკოს დაპირებებისადმი სტალინის დამოკიდებულება, რომელიც მარცვლეულის მოსავლიანობის 4-5-ჯერ გაზრდას შეეხებოდა.

**„როგორც ჩანს, ამხანაგმა ლისენკომ ნაკლებად რეალური დავალების შესრულება დაისახა მიზნად. მოსავლის ერთ-ნახევარჯერ გაზრდაც რომ მოხდს, დიდი მიღწევა იქნება. არ ღირს, მეცნიერებს ამოცანების დასახვის ხალისი დავუკარგოთ. დღეს არარეალურად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება აშკარა ფაქტად იქცეს. თანაც ჩვენს მეცნიერებაში არც ისე ცოტა მეოცნებეა, რომლებიც მიზნად არარეალურ ამოცანებსაც არ ისახავენ და მშვიდ ცხოვრებას ამჯობინებენ. ლისენკოს თუ დავსჯით, ასეთი უსაქმურები უფრო გამრავლდებიან“.**

სტალინს არაერთხელ დაუჭერია მხარი „არასამთავრობო“ მეცნიერებისთვის, მარტოხელა გამომგონებლებისთვის, რომლებიც, სახელმწიფო ინსტიტუტებში მოღვაწე აღიარებული სპეციალისტების აზრით, მიზნად „არარეალურ“ ამოცანებს ისახავდნენ, რომლებიც აუცილებელ მხარდაჭერასა და საჭირო სახსრების გამოყოფას დაჟინებით მოითხოვდნენ. როგორც სხვა კომისარიატებში, ჩემთანაც ყოფილა შემთხვევები, როცა მორიგი არარეალური პროექტისთვის მხარდაჭერაზე უარის თქმის შემდეგ „მომხვედრია“. უმეტეს შემთხვევაში მსგავს პროექტებს ხორცი არასოდეს შესხმია, მაგრამ გამონაკლისებიც მომხდარა. მრავალრიცხოვანი წარუმატებლობის მიუხედავად, „მარტოხელები“ , ამა თუ იმ პროექტების შესასწავლად კომისარიატებს გამუდმებით აწუხებდნენ. სტალინის საქციელი, რომელიც შედარებით მნიშვნელოვან საქმეებს უკან მოიტოვებდა და უამრავ დროსა და მოთმინებას კარგავდა, მაშინ მცდარი მეგონა, დღეს კი ასე არ ვფიქრობ.

სტალინი ჩვენ, ყველას, „აუტსაიდერთა“ წინადადებებისა და პროექტებისადმი დამოკიდებულებასა და გარკვეული ყურადღების დათმობას გვასწავლიდა, შედეგად რაღაცას იღებდა. მართალია , ოფიციალური ხაზის საპირისპიროდ მოღვაწე გამომგონებლებისა და ნოვატორებისთვის 30-40-იანი წლები არც ისე იოლი ყოფილა. იმ დროს „მშვიდი ცხოვრების“ მოყვარულები ხომ ყველა სფეროში ბევრნი იყვნენ. ყოველ შემთხვევაში კონსერვატიზმს, ინერტულობას, უწყებებსა და მეცნიერულ დასწესებულებებში გამეფებულ „ჯგუფურ ეგოიზმს“ საკმაოდ შედეგიანად ებრძოდნენ, რის შემდეგაც ამდენი უმსგავსობა შედარებით მცირდებოდა...

**კითხვა: — დღეს ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ხრუშჩოვს სხვისი აზრის მიმართ მეტად ჰუმანური და მომთმენი დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე სტალინს...**

**პასუხი:** — მეტად მცდარი მოსაზრებაა. ხშირად, რაც გარედან ჩანს, სინამდვილე ჰგონიათ. ამაშია მთელი აზრი. ხრუშჩოვის შემთხვევაში კი საქმე უფრო რთულადაა, რადგან პირველ თანამდებობაზე ყოფნის წლებში საკმაოდ შესამჩნევი მეტამორფოზი განიცადა. როგორც კი ხრუშჩოვი სათავეში მოვიდა და „ანტიპარტიული“ გუნდის მოშორებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, თვალსა და ხელს შუა შეიცვალა. ბუნებრივი დემოკრატიზმი ავტორიტარულმა გამოხდომებმა შეცვალა, სხვისი აზრისადმი პატივისცემა კი — განსხვავებული აზრის მქონეების დევნამ.

სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ცვლილებები მაშინვე ვერ შევამჩნიე და პოლიტბიუროს სხდომებსა და თათბირებზე, სტალინის პერიოდში მიჩვეული როგორც ვიყავი, საკუთარი აზრის გამოხატვას განვაგრძობდი.

ნელ-ნელა ჩემდამი მის დამოკიდებულებაში სიცივე, შემდეგ კი მტრული დამოკიდებულება ვიგრძენი. განსაკუთრებით მძაფრად იმ მომენტში ვიგრძენი, როდესაც მხარი არ დავუჭირე ნიკიტა სერგეევიჩის წინადადებას სოფლის მეურნეობის აკადემიის სოფელში გადატანის თაობაზე.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

კონტაქტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პასტერნაკისთვის გადაღებულ კინოფირზე, რომელზეც, გამოსახულებასთან ერთად, მისი ხმაც არის ჩაწერილი (სხვა ასეთი ჩანაწერი არ არსებობს), იგი კითხულობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის მისეულ თარგმანს.**

ლეონიდ პარფიონოვი:

# ქართველები რუსეთის ელიტაში შემოდიოდნენ ისე, როგორც მეორე სატიტულო ერი



ლეონიდ პარფიონოვი

**ჩანაწერს, რომელსაც დღეს გთავაზობთ, საერთო არაფერი აქვს იმ ფარულ-კრიმინალურ ჩანაწერებთან, რომლებსაც ასე დახარბდა ელექტრონული მედია და რომლებიც ფართო საზოგადოების გართობის საგნად, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურებისთვის შესწავლა-გამოძიების ლამის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა.**

ეს არის ფრაგმენტი სტუმარ-მასპინძელთა საუბრისა, რომელიც თბილისის ისტორიულ უბანში, **გაბრიაძის** თეატრს მიდგმულ პატარა და მყუდრო კაფეში გაიმართა ამა წლის 15 სექტემბერს, შუადღეს, როცა „მომლოცველი" ტურისტების ტალღამ დაფარა სივრცე „დამრეცი კოშკიდან" ანჩისხატის VI საუკუნის ბაზილიკამდე: გერმანელები, ფრანგები, პოლონელები, ბალტიისპირელები, უკრაინელები (ლუგანსკიდანაც), ინგლისურენოვანი ჯგუფები და რუსები, რუსეთელები.

ზუსტად 12 საათზე ჩამოჰკრავს ზარი და აქ თავმოყრილი ლეგიონი სმარტფონებს, ფოტო და ტელეკამერებს დაუმიზნებს კოშკის სარკმელს — იწყება გაბრიაძის თოჯინების დეფილე, რომლის ნახვა და ვიდეოზე ჩაწერა ერთ რამედ ღირს, თუნდაც დასატრაბახებლად — იმ დროს იქ ვიყავი და ჩემი თვალით ვიხილეო.

მეც იქ ვიყავი.

* * *

მაგიდაზე „ციკორი" (ვარდკაჭაჭიანი ხსნადი ყავა) და ორი უთხელესი ხაჭაპური — იმერული პენი. მაგიდის გარშემო — სტუმარი, ცნობილი და პოპულარული ტელეწამყვანი, ფილმების ავტორი და პუბლიცისტი ლეონიდ პარფიონოვი და თბილისელები, რომლებმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვეს, — პრესაში გამოკეკლუცება არ გვჭირდებაო.

საუბარი — სერიოზულ თემებზე, იუმორის მსუყე დოზით შეზავებული, ზუსტად მინიშნებული ქვეტექსტებით.

**პარფიონოვი გვიყვება, რომ თბილისში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი მისი სამნაწილიანი ფილმის პირველი ნაწილის — „რუსი ებრაელების" გასაგრძელებლად მასალის მოძიება იყო; რომ სხვა ნაწილები მიეძღვნება „რუს გერმანელებს" და „რუს ქართველებს".**

— ქართველებიო, — აზუსტებს, — რუსეთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შემოდიოდნენ რუსეთის დედაქალაქის ისტორიაში, რუსულ ელიტაში, როგორც მეორე, ფაქტობრივად, სატიტულო ერი და თითქმის ერწყმოდნენ პირველს.

ამ თემის დაწყება შეიძლებოდა უძველესი დროიდან, უბედური **გიორგი რუსის** — **თამარის** ქმრის დროიდან, მაგრამ მაშინ უცხოელები ვიყავით, ამიტომ ცოტა აქეთ გადმოვინაცვლებთ.

**პავლე I** ხელს აწერს აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ქართლის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების ბრძანებას. იანვარში ამ ბრძანებულებას კითხულობენ, ასაჯაროვებენ პეტერბურგის ეკლესიებში; თებერვალში — თბილისის ტაძრებში; მარტში კი რუსეთის იმპერიის საუკეთესო ახალგაზრდა არისტოკრატები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ პავლეს პოლიტიკით, საშინელ საქმეზე მიდიან — 1801 წლის 11 მარტის ღამეს კლავენ იმპერატორს.

იმპერატორის საწოლ ოთახამდე, როგორც ცნობილია, 6 კაცი მიაღწევს *(სხვა ვარიანტით — 12).* მათ შორის არის თავადი **ვლადიმერ იაშვილი** — რუსეთის არტილერიის მაშინდელი სარდალი. რუსეთის ისტორია ქართველების გარეშე უკვე წარმოუდგენელია.

— მან პირველმა დაარტყა პავლეს.

— დიახ. მან პირველმა დაჭრა და შესძახა: იგი (პავლე) ყველაფერზე, რასაც მოვთხოვთ, ხელს მოგვიწერს, ხვალ კი თავებს დაგვაყრევინებსო. პავლეს სიცოცხლეს მოუსწრაფებს რუსი **ზუბოვი** — ოქროს სათუთუნეს ჩაარტყამს თავში. მაგრამ, სხვებზე უფრო თავადი იაშვილი რომ აქტიურობდა, ფაქტია. მეტიც, ამ აქტის შემდეგ კატეგორიული წერილით მიმართავს ალექსანდრეს, ხაზგასმით ამბობს, რომ სისხლი ამაოდ არ დაღვრილა, და ჭკუას არიგებს იმპერატორს, რუსეთის სამეფო ტახტზე უნდა იყოო სამაგალითო მოქალაქე და ნამდვილი რუსი. **ქართველი კაცი ასწავლიდა, როგორი რუსი უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერატორი!** სხვათა შორის იაშვილმა თავი ისახელა 1812 წლის სამამულო ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ.

— „რუსი ქართველების" თემა ფილმში ქრონოლოგიურად გაგრძელდება?

— რა თქმა უნდა. დამთავრდება 1989 წლით, როცა რუსეთის იმპერიული მუხტი ამოიწურება, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელი გახდება და დავრჩებით კეთილ მეზობლებად.

— ვართ კი კეთილი მეზობლები?

— ადამიანურ დონეზე, რა თქმა უნდა, ვართ. დანარჩენზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. თქვენთან რომ მოვფრინავდი, ბორტი მგზავრებით იყო სავსე. საკმარისი არ არის რეისების რაოდენობა: უამრავ ადამიანს სურს თქვენთან ჩამოსვლა.

— ინტერვიუში, რომელიც **ბარიშნიკოვს** ჩვენმა გაზეთმა ჩამოართვა *(ერთი კვირის წინათ იგი საპატიო თბილისელი გახდა),* მიხეილმა თქვა, რომ ქართველი მაყურებელი შესანიშნავად იგებდა **ბროდსკის** მაღალ ინტელექტუალურ რუსულ პოეზიას, რომელიც ბევრი რუსისთვისაც კი ძნელად აღსაქმელია.

— საქართველო პოეზიის ქვეყანაა, — ამბობს ლეონიდ პარფიონოვი და მოკლე ექსკურსს შემოგვთავაზებს ლიტერატურის ისტორიიდან. იმ ტრადიციის შესახებ ილაპარაკებს, რომელსაც საფუძველი **ალექსანდრე გრიბოედოვმა** ჩაუყარა. მისგან გადაეცა **პუშკინს,** პუშკინისგან — **ლერმონტოვს.** საქართველო მათი „პოეზიის მუზა" იყო, შეიძლება ასეც ითქვას. აქვე შენიშნავს, რომ რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ ერთ მნიშვნელოვან დეტალს, კერძოდ იმას, რომ **პუშკინმა პირველი ლექსი საქართველოზე დაწერა 1828 წლის 12 ივნისს...**

— საქართველოში ჩამოსვლამდე, — დაასრულებს აზრს მოსაუბრეთაგან ერთ-ერთი.

— ალექსანდრე სერგეევიჩი საქართველოში ჩამოვიდა 1829 წელს. 1828-ში კი პუშკინის მეგობარი გრიბოედოვი, რომელიც ყველაფერთან ერთად მუსიკოსიც იყო, კომპოზიტორიც, მიხეილ გლინკას *(დიდ რუს კომპოზიტორს)* საქართველოდან პეტერბურგში ჩაუტანს მელოდიას *(მაშინ გრიბოედოვი ჯერ არ იყო ჭავჭავაძეების სიძე).* მელოდია გლინკას ძალიან მოეწონება, გადაამუშავებს და, როგორც საფორტეპიანო პიესას, შესთავაზებს თავის მოწაფეს — **ანა ანდრო-ოლენინას, გრაფინია დე ლანჟერონს** *(სხვა ვარიანტით — ტატიშჩევას).* ამ მომხიბლავ ლამაზმანს ეტრფის ალექსანდრე პუშკინი, კვალდაკვალ დაჰყვება, მუსიკის გაკვეთილებზეც თან ახლავს. აქ მოისმენს ამ მუსიკალურ ოპუსს და დაწერს დიდებულ ლექსს:

**Не пой, красавица, при мне**
**Ты песень Грузии**
**печальной...**

დამსწრენი აიტაცებენ ამ სტროფს:

**Напоминают мне оне**
**Другую жизнь и**
**берег дальный.**

— შემდეგ ჩამოდის თბილისში. გაჩერდება სახლში, რომელიც ქარვასლის წინ იდგა (მისი ახლანდელი ძეგლის გასწვრივ, ირიბად) და მეხუთე დღეს შექმნის

**На холмах Грузии**
**Лежит ночная мгла,**
**Щумит Арагва**
**предо мною...**

დაწერს ისე, თითქოს მთელი ცხოვრება აქ აქვს გატარებული — საქართველოს გორაკებზე, არაგვის ხმაურში. ასე მხოლოდ მშობლიურზე წერენ, საკუთარზე...

ვიღებთ სამახსოვრო ფოტოებს და მთხრობელი ჩვენს დროს მოადგება — XX საუკუნეს. ისევ — პოეზია, ახლა უკვე ბორის პასტერნაკი და საქართველოსთან დაკავშირებული ტრადიციის კიდევ ერთი, აქამდე უცნობი შტრიხი.

— როცა არქივებში ვიქექებოდი, აღმოვაჩინე, რომ პასტერნაკისთვის გადაღებულ კინოფირზე, რომელზეც, გამოსახულებასთან ერთად, მისი ხმაც არის ჩაწერილი (სხვა ასეთი ჩანაწერი არ არსებობს), იგი კითხულობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის მისეულ თარგმანს.

არა თავის რომელიმე ლექსს, არამედ — ბარათაშვილისას, მაინცდამაინც ტატოს ამჯობინებს:

**Цвет небесый, синий цвет**
**Полюбил я с малых лет.**

(გაიხსენეთ:
**„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,**
**პირველად ქმნილსა ფერს**
**და არ ამ ქვეყნიურს**
**სიყრმიდან ვერტფოდი"**).

არც ეს ფაქტი უნდა იყოს შემთხვევითი: რაღაც „არ ამ ქვეყნიური" მუხტი მოჰყვება ტრადიციას, რომელზეც ვლაპარაკობთ. ღვთიური ძალა მართავს თითქოს...

**საქართველო პოეზიის ქვეყანაა, — ამბობს ლეონიდ პარფიონოვი და მოკლე ექსკურსს შემოგვთავაზებს ლიტერატურის ისტორიიდან. იმ ტრადიციის შესახებ ილაპარაკებს, რომელსაც საფუძველი ალექსანდრე გრიბოედოვმა ჩაუყარა. მისგან გადაეცა პუშკინს, პუშკინისგან — ლერმონტოვს. საქართველო მათი «პოეზიის მუზა» იყო, შეიძლება ასეც ითქვას**



...და ტურისტების ლეგიონი სმარტფონებს, ფოტო და ტელეკამერებს კოშკის სარკმელს დაუმიზნებს

* * *

სადღაც შუა საუბარში არეული და შეშლილი დღევანდელი მსოფლიოს თემა წარმოიჭრება თავისთავად.

ასეთ განზომილებაში ვცხოვრობთ და ვცდილობთ, ავხსნათ ამ სიგიჟის მიზეზი. სერიოზულს ვერ ვპოულობთ და, როგორც ყოველთვის, იუმორში ვეძებთ გამოსავალს, ხოლო ყველა ხუმრობაში ცოტა სიმართლე მაინც არის.

— პოლიტოლოგებს თუ დავუჯერებთ, — „გვარწმუნებს" ერთი, — დედამიწაზე დღეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ერთი პროცენტი, ანუ 400 მილიონი გიჟია. ისინი პლანეტის ერთ გარკვეულ ადგილზე კი არ არიან თავმოყრილნი, არამედ მთელ მსოფლიოს არიან მოდებულნი. მათ შორის, იმ სივრცეში გახლავან, სადაც საკუთრივ ჩვენ ვცხოვრობთ.

— 400 მილიონი 10 საფრანგეთის მოსახლეობის ოდენობაა.

— ცოტა ნაკლების — 10 იტალიის ან ათი ესპანეთის.

— ნუ დავწვრილმანდებით.

შევთანხმდით, რომ არ უნდა დავწვრილმანდეთ. და ამ კონსენსუსს მიღწეულები ვისმენთ განაჩენს:

— დღეს რომ შეგვეკითხებიან, რა ხდებაო ქვეყანაში, გაიხსენეთ, რომ პლანეტაზე 400 მილიონი გიჟი გვყავს. ერთმა ჭკვიანმა (ძაალიან ჭკვიანმა) კაცმა მითხრა, რომ დღევანდელ სიტუაციაში სავსებით შესაძლებელია, ერთ ოთახში იზოლირებულმა ადამიანმა მოიფიქროს ისეთი რამ, რაც პლანეტის განადგურებას გამოიწვევს.

თეორიულად ეს დასაშვებია. არავინ იცის, იმ 400 მილიონიდან სად აღმოჩნდება ის ერთი.

ხარხარებს ყველა.

„Танцуют все!"

**P.S. ლიონია პარფიონოვს ფენომენალური მეხსიერება აქვს, რასაც თვითონ კატეგორიულად უარყოფს:**

**— მეხსიერება არაფერ შუაშია. უბრალოდ, დავიწყება არ შემიძლიაო.**

**პარფიონოვისგან განსხვავებით, ასეთი ნიჭით დაჯილდოვებული არ ვარ, ამიტომ ჩავიწერე ის საინტერესო საუბარი.**

**ჩემთვის. არდასავიწყებლად.**

**არმაზ სანებლიძე**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ქართულ გამოცდილებას გავიხსენებთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფაშინიანი „სააკაშვილიზაციის“ გზას დაადგა, ხელისუფლების ყველა შტოს გაკონტროლებისკენ მიისწრაფვის და ამავე დროს იოლად ემშვიდობება მოკავშირეებს, რომლებმაც ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული პოზიცია გამოხატეს (მინისტრების გადაყენების ეპიზოდი). პოლიტიკურ წინააღმდეგობას ის მომიტინგეთა აზობოქრებულ მასას უპირისპირებს. ეს ძალიან წონადი რესურსია, მაგრამ რამდენ ხანს შეძლებს ნიკოლ ფაშინიანი მის გამოყენებას?**

# სომხეთი: დემოკრატია თუ ოხლოკრატია?

**ერევანში ისევ მიტინგებია. პარადოქსულია, მაგრამ საპროტესტო აქციებს სათავეში მოქმედი პრემიერმინისტრი ნიკოლ ფაშინიანი უდგას. რატომ გავიდნენ მისი მომხრეები ქუჩაში? რას მოუტანს კრიზისის ახალი „რაუნდი“ სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს?**



**ფაშინიანმა ქვეყნის მართვის პროცესში ოხლოკრატიის, ანუ ბრბოს მმართველობის ელემენტი შეიტანა. საზოგადოება ნელ-ნელა მიეჩვია სიტუაციას, როდესაც დეპუტატებსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს მუშაობა მომიტინგეთა ზეწოლის პირობებში უწევთ და ამ სიტუაციას იმით ამართლებს, რომ ისინი ძველ, დრომოჭმულ რეჟიმს წარმოადგენენ. ეს ვითარება თანდათან აყალიბებს მმართველობის სტილს და პოლიტიკური კულტურის ნაწილი ხდება. ნიკოლ ფაშინიანი მრავალათასიან მიტინგს ინსტრუმენტად განიხილავს და კონფლიქტურ სიტუაციაში მას უყოყმანოდ იყენებს, რამაც შეიძლება დიდი საფრთხე შეუქმნას სომხურ სახელმწიფოს და ჩანასახოვან დემოკრატიას**

როდესაც გაზაფხულზე სომხეთში ხავერდოვანი გადატრიალება მოხდა და აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში **ნიკოლ ფაშინიანი** ჩაუდგა, პარლამენტის ახალი არჩევნები არ დანიშნულა; ადგილების დიდ ნაწილს იქ ისევ ძველი ხელმძღვანელის, **სერჟ სარქისიანის**, რესპუბლიკური პარტია აკონტროლებს. საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ დაუყონებლივ გადაწყვიტა ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხი (პროპორციული სიებით. მაჟორიტარებს არ შეხებიან), მაგრამ ნიკოლ ფაშინიანმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ პარლამენტის მყისიერი დაშლა ზედმეტად რადიკალური იქნებოდა და ამას როგორც საზღვარგარეთ, ისე სომხეთში ყველა როდი მოიწონებდა. პარლამენტის „იძულება დაშლისადმი“ მომიტინგეთა მიერ, დიდი ალბათობით, გამოიწვევდა არაერთ კანონდარღვევას და, სავარაუდოდ, კონსტიტუციის უგულებელყოფასაც კი, ამიტომ ფაშინიანმა საკითხის გადაწყვეტა რამდენიმე თვით გადადო.

სექტემბრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ფაშინიანის ბლოკმა „ჩემმა ნაბიჯმა“ ერევნის საკრებულოს არჩევნებში ლამის ტოტალურ გამარჯვებას მიაღწია (ხმათა 81% — ეს შედეგი მით უფრო შთამბეჭდავია იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქში ქვეყნის ამომრჩეველთა მესამედი ცხოვრობს), ის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებზე ალაპარაკდა, რომელიც, მისი აზრით, წლის ბოლომდე უნდა გამართულიყო. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სასურველია, არჩევნების გამართვა 2022-ში, პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუმცა, პრინციპში, თანახმანი იყვნენ, რომ არჩევნები მომავალი წლის გაზაფხულზე გამართულიყო.

ფაშინიანი პრემიერის თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც პარლამენტი 14 დღის ვადაში მის შემცვლელს ვერ აირჩევდა, ის, კანონის თანახმად, დაიშლებოდა და დაინიშნებოდა ახალი არჩევნები. იგულისხმებოდა, რომ „ქუჩის“ ზეწოლა უზრუნველყოფდა იმას, რომ პარლამენტარები ამ სცენარს არ გადაუხვევდნენ და მოულოდნელად სხვა პრემიერს არ აირჩევდნენ, მაგრამ სანამ ნიკოლ ფაშინიანი და პარლამენტის ხელმძღვანელები კამათობდნენ იმაზე — წლის ბოლომდე უნდა გაიმართოს არჩევნები თუ გაზაფხულზე, დეპუტატებმა მიიღეს შესწორება რეგლამენტში, რომელმაც ვითარება ფრიად გაართულა.

ამ შესწორების თანახმად, სხდომა, რომელზეც საკითხის განხილვა არ შედგება საგანგებო გარემოების ან დარბაზში დეპუტატების არმოხვედრის გამო (მაგალითად, შენობასთან გამართული მიტინგების მიმდინარეობისას), ჩაითვლება შეწყვეტილად და არა ჩაშლილად. შესაბამისად, დეპუტატებს შესაძლებლობა მიეცემათ, უსასრულოდ გაწელონ ახალი პრემიერის არჩევის (უფრო სწორად — არარჩევის) პროცესი ისე, რომ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა არ ამოწურონ.

ხმა ამ შესწორებას არა მხოლოდ „რესპუბლიკური პარტიის“, არამედ „დაშნაკცუტიუნის“ და „აყვავებული სომხეთის“ დეპუტატებმაც მისცეს — ეს პოლიტიკური ძალები თანამშრომლობდნენ ფაშინიანთან ხელისუფლების გადაბარების პროცესში და მის მთავრობაში საკუთარი წარმომადგენლებიც ჰყავდათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ ხმა შესწორებებს მისცეს, ფაშინიანმა ამ პარტიების წარმომადგენელი მინისტრები და გუბერნატორები გადააყენა, განვითარებულ პროცესს „კონტრრევოლუცია“ უწოდა და მომხრეებს მოუწოდა, პარლამენტთან შეკრებილიყვნენ.

პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა სკანდალურ საკანონმდებლო ცვლილებებს 21 დღის ვადაში უნდა მოაწეროს ხელი, თუ ამას არ გააკეთებს, ისინი ძალაში პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერის შემდეგ შევა (5 დღის ვადაში). არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა მან დაადგინოს კანონპროექტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან. **ის, რომ ვითარება ძალიან ბუნდოვანია, ექსპერტების კომენტარებიდანაც ჩანს. კონსტიტუციონალისტი ვარდან აივაზიანი ამბობს, რომ შესწორებები არსებითად ანტიკონსტიტუციურია, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ისინი ტექნიკურ ხასიათს ატარებენ და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მათ ანტიკონსტიტუციურად ვერ გამოაცხადებს.**

2 ოქტომბერს სომხეთის პრემიერმა ხელში აიღო მეგაფონი და სათავეში ჩაუდგა მრავალათასიან აქციას პარლამენტთან. როდესაც მან შენობაში მოლაპარაკებებზე შესვლა დააპირა, მასთან ერთად პარლამენტის პარკის ტერიტორიაზე რამდენიმე ასეული მომიტინგე შეიჭრა, რომელთაც გზა გადაუღობეს დაცვის თანამშრომლებმა და დეპუტატების ნაწილმა. საბედნიეროდ, ხმაურიანი გაწევ-გამოწევის შემდეგ, ეს სიტუაცია გართულების გარეშე განიმუხტა.

თუ ქართულ გამოცდილებას გავიხსენებთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფაშინიანი „სააკაშვილიზაციის“ გზას დაადგა, ხელისუფლების ყველა შტოს გაკონტროლებისკენ მიისწრაფვის და ამავე დროს იოლად ემშვიდობება მოკავშირეებს, რომლებმაც ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული პოზიცია გამოხატეს (მინისტრების გადაყენების ეპიზოდი). პოლიტიკურ წინააღმდეგობას ის მომიტინგეთა აზობოქრებულ მასას უპირისპირებს. ეს ძალიან წონადი რესურსია, მაგრამ რამდენ ხანს შეძლებს ნიკოლ ფაშინიანი მის გამოყენებას?

ხელისუფლებაში მოსვლიდან ვიდრე დღემდე მას არც ერთი სისტემური რეფორმა არ დაუწყია, თუმცა საკმაოდ აქტიურად დაუპირისპირდა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის ქვეყნის ყოფილი მეთაურის ახლო ნათესავებს, და მიაღწია ყოფილი პრეზიდენტის, რობერტ ქოჩარიანის, დაპატიმრებას (თუმცა შემდგომ სასამართლომ ის პატიმრობიდან გაათავისუფლა; იურისტების ჭიდილი ამ საკითხის გარშემო გრძელდება). საქართველოში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იყო პერიოდი, როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებას მიესალმებოდა, თუმცა ეს დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. შესაძლოა, იმიტომ, რომ მოქალაქეებმა დაინახეს, რომ ხელისუფლება ზედმეტად ხისტად მოქმედებს და კანონის მოთხოვნებს უგულებელყოფს, ამასთანავე, ისინი უფრო აქტუალურ პრობლემებზე გადაერთნენ. სომხეთში, ეს სტადია, როგორც ჩანს, არ დასრულებულა.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **რამდენად მოახერხებს ნიკოლ ფაშინიანი რადიკალური რეფორმების გატარებას მაშინ, როდესაც მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა პარლამენტმა შეიძლება მათი ტორპედირება დაიწყოს?**

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ეტაპია. დღესდღეობით ფაშინიანს აქვს შესაძლებლობა, ყველაფერი „კონტრრევოლუციასა“ და „ძველი რეჟიმის გადმონაშთებს“ გადააბრალოს, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში მისი პოლიტიკური ბლოკის „ჩემი ნაბიჯის“ გამარჯვების შემდეგ, რაშიც ეჭვი თითქმის არავის ეპარება, პასუხისმგებლობა პრობლემების გადაწყვეტაზე, ყარაბაღიდან დაწყებული და უმუშევრობით დამთავრებული, სწორედ მას დაეკისრება.

**საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მას შემდეგ, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კონტროლი ხელისუფლების ყველა შტოზე დაამყარა და მთელი პასუხისმგებლობაც მას დაეკისრა, სააკაშვილი მუდამ ეძებდა მას, ვისთვისაც შეეძლო პრობლემების გაჩენა დაებრალებინა. მუდამ სჭირდებოდა „მტრის სახე“ და ამან ხელი შეუწყო საზოგადოების გახლეჩას.**

გამორიცხული არაა, რომ ნიკოლ ფაშინიანიც ამ გზით წავა, დაუსრულებელი საუბარი „კონტრრევოლუციონერებზე“ სწორედ ამაზე მიანიშნებს, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილის დარაზმვა მეორის („ჩასარეცხების“) წინააღმდეგ სომხეთისთვის შეიძლება ძალიან მძიმე შედეგით დასრულდეს, ვინაიდან ეს ქვეყანა ყარაბაღის ომის შემდეგ უმწვავესი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების წინაშე დგას.

„ცივი ომი“ პრემიერმინისტრსა და პარლამენტს შორის არა მხოლოდ ზრდის პოლიტიკურ რისკებს, არამედ შეიძლება ეკონომიკური პრობლემები შექმნას. სომხეთის დედაქალაქის ყოფილი მერი, ეკონომისტი ვააგნ ხაჩატრიანი აცხადებს, რომ „გარემო, რომელშიც ინვესტორები იმუშავებენ, სტაბილური უნდა იყოს. სომხეთში სისტემური ცვლილებები მოხდა, რომელიც ლოგიკურ ფინალამდე უნდა მივიდეს. სანამ ფინალი არ არსებობს, ბიზნესს მუდმივად კითხვები გაუჩნდება“, — განუცხადა მან „სპუტნიკ-არმენიას“.

„ლოგიკურ ფინალს“ ექსპერტების უმრავლესობა ნიკოლ ფაშინიანის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების დამორჩილებაში ხედავს, მაგრამ გაცილებით საინტერესო ხაჩატრიანის მიერ ნახსენები „სისტემური ცვლილებებია“, მათზე საუბრისას, ცხადია, მხოლოდ საკადრო გადაადგილებები ან გავლენის სფეროების გადანაწილება უნდა ვიგულისხმოთ.

**ფაშინიანმა ქვეყნის მართვის პროცესში ოხლოკრატიის, ანუ ბრბოს მმართველობის ელემენტი შეიტანა. საზოგადოება ნელ-ნელა მიეჩვია სიტუაციას, როდესაც დეპუტატებსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს მუშაობა მომიტინგეთა ზეწოლის პირობებში უწევთ და ამ სიტუაციას იმით ამართლებს, რომ ისინი ძველ, დრომოჭმულ რეჟიმს წარმოადგენენ. ეს ვითარება თანდათან აყალიბებს მმართველობის სტილს და პოლიტიკური კულტურის ნაწილი ხდება. ნიკოლ ფაშინიანი მრავალათასიან მიტინგს ინსტრუმენტად განიხილავს და კონფლიქტურ სიტუაციაში მას უყოყმანოდ იყენებს, რამაც შეიძლება დიდი საფრთხე შეუქმნას სომხურ სახელმწიფოს და ჩანასახოვან დემოკრატიას.** ერთია, როდესაც ხალხმრავალი აქცია ხელისუფლების შეცვლის პერიოდში დროის მცირე მონაკვეთში გამოიყენება, და სულ სხვაა, როდესაც თვეების განმავლობაში მოქალაქეები ხედავენ, რომ მიტინგი ქვეყანაში უმაღლესი ინსტანციაა, რომ მის მონაწილეებს შეუძლიათ, დააშინონ დეპუტატები და სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, მაგალითად, დარბაზში შეჭრის მუქარით, როგორც ეს 2 ოქტომბერს მოხდა.

იმედია, ეს ცვლილებები მეზობელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დროებითია და პათოლოგიურ ხასიათს არ შეიძენს, ხოლო ნიკოლ ფაშინიანი ცდუნებას გაუძლებს და „სააკაშვილიზაციისა“ და სასტიკი ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების გზას არ დაადგება.

**ლუკა ნემსაძე**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა მანკიერების ბუდე და უბედურებათა სათავე საზარელი ქონებრივი უთანასწორობაა, როცა ცალკე პოლუსზე შექუჩებული სარეველადქცეული მდიდართა კასტა ქვეყანას წონასწორობას უკარგავს და დაუზოგავად სპობს ადამიანურ ზნეკეთილობას. საზოგადოებას უბედურებად მოედო ბოროტი მანკიერებანი — ეგოიზმი, მომხვეჭელობა, მოშურნეობა, გამცემლობა, ქვეყნისა და ერის ინტერესებით კარიერისტული ამბიციების დაპურება. გამდიდრებისადმი გაუმაძღარმა ლტოლვამ მუხთალი, კარიერისტი ვიგინდარების სულში სიყვარული სიძულვილით, სიკეთე ბოროტებით შთანთქა.**



გივი სომხიშვილი

# პრეზიდენტის არჩევნები, ანუ თანამედროვე ყეენობა

**დღეს ქვეყნის დამაქცევართა ზეობის მანკიერებაში ადამიანებად თვლიან ევროატლანტიკური გარყვნილების მქადაგებელ ვირთხებს; არასამთავროებად წოდებულ ანტიეროვნულად მყეფავებს; პარტიებად წოდებულ ქლესა, უზნეო, ქარაფშუტა მოლაყბეებს, ანტიეროვნულობის ნიშნით ხელისუფლებაში შეტენილ გოშიებს. სხვა რა უნდა იფიქრო, როცა პარლამენტიდან აცხადებენ, რომ საქართველოს ევროპული გზა ხალხის არჩევანია?!**

## საქართველოს დღევანდელი სავალალო მდგომარეობა ხელისუფლებაში გამძვრალი უღირსების სამარცხვინო ლაქუცის შედეგია უცხოეთისა და უცხოელთა მიმართ

რით ადასტურებენ, რომ ნატო და ევროკავშირი ქართველი ხალხის ოცნებაა, სად გაგონილა, ხალხი ან ნორმალურად მოაზროვნე სულიერი უბედურების ხახაში ასე უთავმოყვარეოდ მიძვრებოდეს? ყველა მატყუარა, ქვეყნის სასიცოცხლო არტერიაზე პარაზიტად მომჯდარ ეგოისტ მიზანტროპს ყოველგვარი ანტიხალხურის ხალხის სახელით შენიღბვა ეხერხება და იმავე ხალხის სახელით უბედურებისკენ ექაჩება ქვეყნის მართვის საჭეს.

**უბედურების მეტი რა მოუტანა ქართველ ხალხს ეროვნული მოძრაობის სახელით შენიღბულმა და „ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებულმა ევროატლანტიკური ფსიქოზით შეპყრობილმა ნაგავმა?!** ქართველი ხალხი ეკონომიკურად დაჩაჩანაკდა, ფიზიკურად დასუსტდა, სულიერად დაკნინდა; საქართველო უმძიმესმა კრიზისმა მოიცვა, რაც დღემდე გრძელდება, და ამ საშინელებიდან გამოსვლის არავითარი პერსპექტივა არ ჩანს; მოიშალა სანაქებო ქართული ზნეობა.

**ყველა მანკიერების ბუდე და უბედურებათა სათავე საზარელი ქონებრივი უთანასწორობაა, როცა ცალკე პოლუსზე შექუჩებული სარეველადქცეული მდიდართა კასტა ქვეყანას წონასწორობას უკარგავს და დაუზოგავად სპობს ადამიანურ ზნეკეთილობას. საზოგადოებას უბედურებად მოედო ბოროტი მანკიერებანი — ეგოიზმი, მომხვეჭელობა, მოშურნეობა, გამცემლობა, ქვეყნისა და ერის ინტერესებით კარიერისტული ამბიციების დაპურება. გამდიდრებისადმი გაუმაძღარმა ლტოლვამ მუხთალი, კარიერისტი ვიგინდარების სულში სიყვარული სიძულვილით, სიკეთე ბოროტებით შთანთქა.** ამ ღალატმა, შურმა და ვერაგობამ ეროვნული საამაყო ჩვევებისადმი ერთგულება და მისი დაცვის უპირველესი საპატიო გრძნობა გააქრო და ევროატლანტიკური სიბილწის ჩამთესველებად იქცნენ.

**მმართველ წრეებში გაბატონებულია საზარელი სულიერი სიღატაკე და ზნეობრივი სიმდაბლე. არ დარჩენილა არც ერთი ადამიანური მანკიერება, რომლითაც დღევანდელ პოლიტიკურ ნაგავს თავი არ ესახელებინოს.** ფულსა და კომფორტზე იცვლება ნებიერთა სული და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის უპირველესი მოვალეობა. მოხვეჭის აღვირახსნილ ძიძგილს სდევს თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ერის ინტერსების ღალატის ხარჯზე უცხოელებთან ლაქიობით ხალხზე მბრძანებლობის მოპოვება, სიხარბე, მუცლის მონობა, ღრეობა, ზნეობრივი გარყვნილება და სქესობრივი სიბილწე. ასეთია ხალხის სახელის უზურპატორი ნაგვის მონაპოვარი და ხელისუფლებაში ყოფნის პერსექტივები.

**საქართველოს დღევანდელი სავალალო მდგომარეობა ხელისუფლებაში გამძვრალი უღირსების სამარცხვინო ლაქუცის შედეგია უცხოეთისა და უცხოელთა მიმართ. უბედურების მეტი რა მოგვიტანა ევროატლანტიკურად კუდის ქიცინმა და ევროპარლამენტში სასაცილოდ ქცეული საყველპურო ინგლისურით თავის გამოჩენის მცდელობამ, ევროკავშირისა და ჯვაროსანი ტამპლიერებისგან გამონათხოვარი დროშების საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკად აფრიალებამ და მათ ფონზე ხელისუფალთა გაბღენძვამ?** ისემც რა გითხარით, რომ ეს ხალხის სურვილი იყო! კუდქიცინა, ლუკმის მისაღებად მუცელზე მხოხავ ძაღლს წიხლის ამოკვრით აჯილდოვებენ, ამაყსა და თავმოყვარეს კი აუგად ხელის აქნევასაც ვერ უბედავენ. **ამათ კი ქართველი ერის თავმოყვარეობა და სიამაყე მათხოვარი ლაქიების ყოფაზე გაცვალეს, რადგან სამარცხვინო საქციელს ქართველი ხალხის სახელით ნიღბავენ, იმ ხალხის, ყველაზე მძვინვარე და დაუნდობელი მტრის წინაშე ქედი რომ არ მოუხრია, რომელმაც საშინელი და გამანადგურებელი ბრძოლების პირობებში შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი ბრწყინვალე დამწერლობა. სრულიად ევროპამ კი ლათინების შექმნილი დამწერლობა ჩამორჩენილ მოსწავლესავით ასე უზრუნველად გადაიწერა.** ზოგიერთი გაუთლელ-გაურანდავი ევროპელი ბლენძი, ქართველი ხალხის კაცობრიობის საგანძურში შეტანილ წვლილზე წარმოდგენა რომ არ აქვს, თეთრკანიან პაპუასებს გვიწოდებს იმ ერის შვილებს, მსოფლიოში განუმეორებელი სიკეთის, სიყვარულის, ადამიანური ცხოვრების სპეტაკი სულის საგალობელი „ვეფხისტყაოსანი“ რომ შექმნა და თაობებს ამ იდეების რწმენით აწრთობდა. დღეს კი ის საშინელი დაავადება შეჰყრია, მსოფლიოს მბრძანებელი ლათინები რომ აღგავა პირისაგან მიწისა.



**უბედურების მეტი რა მოგვიტანა ევროატლანტიკურად კუდის ქიცინმა და ევროპარლამენტში სასაცილოდ ქცეული საყველპურო ინგლისურით თავის გამოჩენის მცდელობამ, ევროკავშირისა და ჯვაროსანი ტამპლიერებისგან გამონათხოვარი დროშების საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკად აფრიალებამ და მათ ფონზე ხელისუფალთა გაბღენძვამ? ისემც რა გითხარით, რომ ეს ხალხის სურვილი იყო!**

რა ჩამოთვლის იმ ღალატთან წილნაყარ უბედურებას, რომელიც ევროატლანტიკურ ფორანს უპატრონო დეკეულივით ადევნებულმა ვაიპოლიტიკოსებმა ევროპიდან შემოტანილი რეკომენდაციებისა თუ დავალებების დაკანონებით ქართველ ხალხს რომ თავს დაატეხეს...

**ვინც ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა დააკანონა და უამრავ უცხოტომელს საქართველოს მოქალაქეობა დაურიგა მაშინ, როდესაც ქართველები ჯოჯოხეთადქცეული სამშობლოდან გარბიან და ქართველობა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ერისა და ბერის მოღალატე არ არის?! ყველაფერს აკეთებენ საქართველოში უცხოელების გასანებივრებლად, ყოველივე ქართულის დასაკნინებლად და რუსთაველის იდეებზე ნაწრთობი თაობების შთამომავალთა გასარყვნელად, უზნეობითა და სქესობრივი სიბილწით დასაბინძურებლად.** ვინმე „დელფინა“, ძროხის ენა რომ ვერ ჩაუტევია პირში, ბილწად შეთხზული სიმყრალით წამლავს ახალგაზრდების გონებას. **ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ლადო ასათიანისა** და ყველა ღირსეული ქართველის მაგინებელი ეს ამფიბია უნივერსიტეტში უზით და ქართული ზნეკეთილობის მყრალი უზნეობისკენ დაბრუნებას ცდილობს. ნუთუ ისე დასუსტდა და დაბეჩავდა ეროვნული სიწმინდეებისა და საამაყო ტრადიციებისადმი რაინდული სულის ქართველთა თავდადება, რომ ამ ვიბრიონებს ველარ უმკლავდება?! **ფუტკრების ოჯახში მომრავლებულ მუქთახორა მამლებს მუშა ფუტკრები გარეთ ერეკებიან, ოჯახი რომ გადაარჩინონ. ჩვენთან კი ეშმაკეული გარყვნილების მქონე პარაზიტები ისე მომრავლდნენ, რომ ერის გაძლიერება-გაჯანსაღებაზე ფიქრიც კი საეჭვო ხდება.**

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაა საქართველოს გაბრწყინების საწინდარი. ფაქტობრივად კი, ყველაფერი საწინააღმდეგოდ კეთდება. ვილოცოთ, რომ რუსეთი გამართულად იდგეს ფეხზე, თორემ ევროატლანტიკური თვალთმაქცები ერთ დღეში ამოგვხდიან სულს. სხვა რა უნდა ეწოდოს ავღანეთში საქართველოს (ამერიკის შემდეგ სიდიდით მეორე) სამხედრო კონტიგენტის არსებობას. **საქართველოს ხელისუფლებაში ანტიეროვნული ფსიქოზით დაავადებული ლაქიები ამგვარად იწონებენ თავს, მაგრამ, შენ რომ ნატო გქვია და ამხელა სამხედრო პოტენციალი გაქვს, საქართველოს ასე გაბითურებისა არა გცხვენია?!** აბა, ფლავის დარიგება იყოს, მაშინ თუ დაუთმობდით საქართველოს მეორე ადგილს?! შექებითა და ყალბი დაპირებებით თვიანთ საქმეს მუქთად აკეთებინებენ საქართველოს.

წინა პარლამენტში ევროპელთა რეკომენდაციებით (თუ დავალებით) ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებითა და პრეზერვატივებზე ყბედობით გამოიჩინეს თავი; შედეგად პრეზერვატივებზე ქართველთა საამაყო წინაპრების დახატვა დაიწყეს: ქართველი ფეხბურთელის ხურუშიანთა დროშის ფერებიანი სამკლავურით თამაშს ამართლებენ ხელისუფლებაში მომსხდარი ბოსები და ამერიკაში ჩოხებში გამოწყობილი ორი ხურუშიანის დაქორწინებას რეკლამას უკეთებენ; გარყვნილ, ზნედაცემულ, ▶

**ისინიც ქართველები იყვნენ, ყმებს შვილებს დეკეულივით რომ უყიდდნენ და ამ ფულით მოწყობილ ღრეობაზე საქართველოს სადღეგრძელოს დიდი ყანწით სვამდნენ. ერთიანი საქართველო დაშალეს, დააქუცმაცეს, მეფუკებად წამოსხდნენ და ერთმანეთს დაერივნენ. გარეშე მტერთან იმდენი არ უომიათ, რამდენი ქართველთა სისხლიც შინა კინკლაობაში დააქციეს და ერი მოსპობის გზაზე შეაყენეს. მათგან რით განსხვავდებიან ევროატლანტიკურ უბედურებას ადევნებული დღევანდელი ვაგლახები?! ვინ დათესა ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს შორის უნდობლობის, ბოროტებისა და მტრობის თესლი, როცა ერთად ძმურად, სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით ვცხოვრობდით?!**

**საქართველოს ხელისუფლებას იმიტომ სურს ნატოში შესვლა, რომ ნატომ მოუგვაროს ტერიტორიული პრობლემა. ნატოს კი ეს არ სურს — საკუთარი წესდებიდან და რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე. დასკვნა: ყოველდღე ხიზილალის ჭამაც მოსაბეზრებელია, არათუ რუსეთის ლანძღვა. ნუთუ არ მოგბეზრდათ?!**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სქესობრივად ბილწ მანიაკთა ნაჯღაბნებს ბეჭდავენ, პრემიებს აძლევენ და უცხოეთში კონკურსებზე გზავნიან. **ახალ პარლამენტზე წარმოდგენა რომ შეგექმნას, შეხედავ მისი თავმჯდომარის კულულებს და დარწმუნდები, რომ ფორმა ამართლებს შინაარსს.**

უმადურობის ზანგით გაბრუებულნი დღეს ერთმორწმუნე რუსეთს აგინებენ. აგინებენ მას, ვინც გადაგვარჩინა, მგლის ხროვასავით შემოსეული მტაცებელი ჩამოგვაშორა, გაგვაერთიანა, გაგვაძლიერა, ეროვნული სიამაყე დაგვიბრუნა და გაგვანებივრა, სანამ ისევ ქართველმა ეშმაკეულმა-შევარდნაძემ არ დაიწყო ქართველების სპეკულიანტებად მონათვლა და სახელის გატეხა. მეორედ მოსვლით კი, ყველა უბედურებასთან ერთად, ნაციონალური ჭირიც შეგვყარა.

**ისინიც ქართველები იყვნენ, ყმებს შვილებს დეკეულივით რომ უყიდიდნენ და ამ ფულით მოწყობილ ღრეობაზე საქართველოს სადღეგრძელოს დიდი ყანწით სვამდნენ. ერთიანი საქართველო დაშალეს, დააქუცმაცეს, მეფუკებად წამოსხდნენ და ერთმანეთს დაერივნენ. გარეშე მტერთან იმდენი არ უომიათ, რამდენი ქართველთა სისხლიც შინა კინკლაობაში დააქციეს და ერი მოსპობის გზაზე შეაყენეს. მათგან რით განსხვავდებიან დღევანდელ ევროატლანტიკურ უბედურებას ადევნებული ვაგლახები?! ვინ დათესა ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს შორის უნდობლობის, ბოროტებისა და მტრობის თესლი, როცა ერთად ძმურად სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით ვცხოვრობდით?!**

**არც ერთ ხელისუფლებას თითიც არ გაუტოკებია ოსებთან და აფხაზებთან მეგობრობის აღსადგენად, პირიქით. ცოტა გამთბარ ურთიერთობას ნაციონალებმა ევროამერიკელი მწვრთნელების წაქეზებით ისეთი ბოროტების სამსალა დაასხეს, რომ, გამთლიანება კი არა, საქართველოს დაქუცმაცების უბედურებამ თვალებში ჩაგვხედა.** პრეზიდენტობის კანდიდატი **დავით ბაქრაძე,** ნაციონალების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის მონაწილე რომ არის, გაჰყვირის: ომი რუსეთმა დაიწყოო. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ნაცისტებისთვის სიცრუის ქადაგება სამარცხვინოდ არ ითვლება. რა გაეწყობა, „ქართულ ოცნებას“ უმადლოდნენ თორემ თბილისში პარლამენტის სხდომათა დარბაზის დარბევისა და სხვა უარეს ბოროტებაში მონაწილეობისთვის პასუხი უნდა ეგო და დღეს აკრძალული უნდა იყოს ნაციონალური ჭირი.

„ქართულ ოცნებას“ იმასაც ედავებიან, — რასაც ადრე შეგვპირდი, რატომ არ სრულდებაო. ისე კი უცნაურია, როცა ოცნების რეალურად შესრულებას ვითხოვთ. ოცნებები რომ სრულდებოდეს, ან სამყარო მოისპობოდა, ან სამოთხედ იქცეოდა. ოცნებას ოცნება იმიტომ ჰქვია, რომ რეალურთან საერთო არაფერი აქვს. რა, ურემი თუ ლაფშია ჩაფლული, იოცნებებ — მიფრინავსო და შვებას იგრძნობ? ფარეხში ჩამოკიდებული კატასავით აჩხავლებენ ევროპული არჩევანის სიკეთეს. კატა ჩხავილით იღლება და გონს მოსული ცხვარი ისევ იწყებს ბღავილს. ესენი კი განაგრძობენ ყალბ ყაყანს ევროპული გზის სიკეთეზე. ერთ მშვენიერ დღეს გაუსაძლისი ცხოვრებით გამწარებულთა ბღავილი ცრუპენტელების ნებიერ ცხოვრებას შეარყევს და მაშინ მიხვდებიან, რომ ხალხი ცხვრის ფარა არ არის.

თანამედროვე არჩევნები იმ სადგურის უფროსის ამბავს ემსგავსება, მუსიკოსებს ყველა სიმღერის შეკვეთაზე ათას აგურს რომ ჰპირდებოდა. მეორე დღეს აგურის წასაღებად მისულმა მუსიკოსებმა ასეთი პასუხი მიიღეს: თქვენ რომ უკრავდით, მსიამოვნებდა; მე აგურს რომ შეგპირდით, თქვენც ხომ გესიამოვნათ, ჰოდა, ბარიბარში ვართო...

ბუტაფორიად ქცეულ პრეზიდენტობას ბაღდადის ბუზებივით დაესივნენ მისი მონადირების მსურველები. ყველაზე თავგამოდებით ნაციონალები ირჯებიან; იმდენი სატელიტი პარტია მოიგონეს, ეტყობა, სახელწოდება არ ეყოთ, თორემ არ გაჩერდებოდნენ. მათი პრეზიდენტობის კანდიდატების სიმრავლე საფანტის გასროლას ჰგავს, იქნებ რომელიმე მოახვედრონ და დამნაშავეთა შეწყალების უფლების გამოყენებას ეზიარონ.

**ცხინვალის ავანტიურა დამოკლეს მახვილივით კიდია ნაციონალების თავზე, რომელსაც ევროამერიკელი პატრონები იჭერენ, და არავინ იცის, როდის გაუშვებენ ხელს. სალომე ზურაბიშვილს** ეყო გამბედაობა და საქვეყნოდ აღიარა სიმართლე, რომ ომი ნაციონალებმა დაიწყეს; დაესივნენ კიდეც უამრავი ბრალდების შეკოწიწებით. ეს ავანტიურა, უცხოეთის დავალებით, მათი ლაქია ნაციონალების მოწყობილი რომ იყო, სრულიად საქართველომ იცის, მაგრამ მაღალი პოსტის მქონე ვერც ერთი ადამიანი ამას ვერ აღიარებს, რადგან მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს. ვნახოთ, ნაციონალთა განაწყენების გამო დასჭირდება თუ არა ცხენი სალომე ზურაბიშვილს.

პრეზიდენტობის კანდიდატები კი დაპირებებით ცდილობენ იმათ გაბითურებას, ვინც ვერ ერკვევა ამ ყეენობაში. ჩვენთან პრეზიდენტობა ის ფიტულია, რომელში შემძვრალს შეუძლია, ყველაფერი იყბედოს და არაფერი აკეთოს, რადგან არც არაფერი ეკითხება. ისე კი **თავმოყვარე ადამიანი არც იკადრებდა ამ ყვარყვარე თუთაბერის საოცნებო პრეზიდენტობას,** რომლის მაძიებელთა ძიძგილი და გაწევ-გამოწევა უკვე გულისამრევი გახდა. არადა, დღევანდელმა „პლასტილინა“ პრეზიდენტმა, მდიდარი სექსით მოტრაბახემ, ქართველთა გონებრივი შეზღუდულობის ზღაპრის ავტორმა, არასამთავრობოთა ჩარფუზანის აქტიურმა წევრმა და ვეტოს გამოყენების გამშარჟებელმა **გიორგი მარგველაშვილმა,** დაგვანახვა, რომ ჩვენთან პრეზიდენტის არჩევნები ყეენობაა, პრეზიდენტად არჩეული კი ის მამალი ფუტკარია, ბიუჯეტის ხარჯზე ფუქსავატად რომ ფლანგავს ამქვეყნად მოვლინებას.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

# აფხაზეთი — მოურჩენელი ჭრილობა



ომარ მარგველაშვილი

**1992 წლიდან ეს თემა პოლიტიკოსთა, ექსპერტთა, ჟურნალისტთა მუდმივი განსჯისა და ყურადღების საგანია. ამდენად, არ გამკვირვებია საქართველოს პრემიერმინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის მაღალი ტრიბუნიდან ასეთი განცხადება:**

„დღეს 27 სექტემბერია — უაღრესად მძიმე და ტკივილით სავსე თარიღი ჩემი ქვეყნის ისტორიაში. 25 წლის წინათ, სწორედ ამ დღეს დაიწყო საქართველოს ისტორიული ნაწილის ოკუპაცია, რაც უმძიმეს გამოწვევად იქცა საქართველოს ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობისთვის. 10 წლის წინ კი, რუსეთის ფედერაციამ ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ორი ისტორიული და განუყოფელი რეგიონის — აფხაზეთისა და ცხინვალის სრულმასშტაბიანი ოკუპაცია“.

აღარ განვაგრძობ. დაინტერესებულ მკითხველს თვითონ შეუძლია, გაეცნოს ბახტაძის სიტყვას, რომელმაც გარკვეული კითხვები გამიჩინა, ვინაიდან 90-იანი საომარი წლების აღწერა ცალმხრივი მომეჩვენა, რადგან არაფერია ნათქვამი ორი ომის გამომწვევ მიზეზებზე, რამაც თავისთავად მიგვიყვანა სავალალო შედეგებამდე.

**„საოკუპაციო ხაზებთან მცხოვრებ მოსახლეობას სალოცავებისა და წინაპართა საფლავების მონახულების საშუალებაც კი არ ეძლევა. ჩვენს მოქალაქეებს უკრძალავენ, მშობლიურ ენაზე მისცენ განათლება შვილებს“.**

25 წლის განმავლობაში შეიცვალნენ ქვეყნის ხელისუფალნი, პოლიტიკა კი შეუცვლელია და, ალბათ, ასე გაგრძელდება, სანამ გონს არ მოვალთ, საკუთარ შეცდომებს არ ვაღიარებთ, დამნაშავეს დამნაშავედ არ გამოვაცხადებთ, პოლიტიკურ კურსს არ შევცვლით.

ბახტაძის გამოსვლისას გაეროს გამეჩხერებულმა დარბაზმა (დარჩენილთა შორის ისეთებიც იყვნენ, აფხაზეთი და ცხინვალი რომ არ გაუგიათ და საქართველოს არსებობაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ) მხოლოდ ის გაიგო, რომ რუსეთი აგრესორია, ადამიანის უფლებების დამრღვევი, ოკუპირებული ტერიტორიების „დეპოპულაციის“ ავტორი, „ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამაუარესებელი“ და ა.შ.

მიზანი — რუსეთის შავ ფერებში დახატვა — მიღწეულია. ჩვენ და უკრაინამ, პრეზიდენტ პოროშენკოს სახით (სხვათა შორის, მასაც ნახევრადცარიელ დარბაზში მოუწია გამოსვლა) „სტრატეგიული პარტნიორის“ დავალება პირნათლად შევასრულეთ.

რატომ გამეჩხერებული დარბაზი? — იმიტომ ხომ არა, რომ თემა, რომელსაც ყოველ წელს (მრავალი წლის განმავლობაში) ვაჟღერებთ, უკვე გახუნებული და მოსაბეზრებელია?

ის, რაც ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლოა, სხვისთვის ლობეს ჩხირია. არ ვამტკიცებ, რომ არაფერი არ უნდა ვთქვათ მძიმე წარსულზე, მაგრამ ისიც უნდა დავაყოლოთ, თუ როგორ ვაპირებთ ვითარების გამოსწორებას. არვინ მოითხოვს მეზობელ რუსეთთან ენის მოჩლექვით ლაპარაკს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რასაც სიტყვა „ზომიერება“ ჰქვია. შეიძლება ერთი წინადადება ვთქვათ დასამახსოვრებელი და არა ათი ისეთი, უკვალოდ რომ ჩაივლის.

1992 და 2008 წლების ომების შემდეგ საქართველოს მდგომარეობა რომ არასახარბიელო იქნებოდა, თავიდანვე უნდა გვეფიქრა, მაგრამ ვერც გამოცდილმა სახელმწიფო მოღვაწემ, **შევარდნაძემ,** ვერ შეძლო ომის თავიდან აცილება და სეპარატისტული აფხაზეთის დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით დაბრუნება, და ვერც შევარდნაძის შემცვლელმა **სააკაშვილმა,** რომელმაც მძინარე ცხინვალს „გრადები“ დააყარა.

ბოლო ავანტიურიდან, რომელიც საქართველოსთვის უმძიმესი შედეგით დასრულდა, 10 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა 1992 და 2008 წლების ომების დაწყების, ანუ აგრესიის (საკუთარი ხალხის წინააღმდეგ) შესწავლა-გაანალიზების მცდელობაც კი, თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო კომისიის (ტალიავინის ხელმძღვანელობით) ობიექტურ დასკვნას და დავითაიას კომისიის ნაცოდვილარს, რომელმაც კრება დატოვა მხიარული.

პირველს საქართველოს პოლიტიკური ელიტა არ იზიარებს; მეორეს სერიოზულად არც არავინ აღიქვამს. პირველი ომის შემდეგ იყო მცდელობა შერიგებისა, თუმცა არა ისეთის, როგორსაც საჭიროება მოითხოვდა: აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთი იურიდიულად რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში.

აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა და სააკაშვილის დანაშაულებრივმა გადაწყვეტილებამ (მედვედევ-სარკოზის შეთანხმებიდან იმ პუნქტის ამოღებამ, რომელშიც მონიშნული იყო თბილის-სოხუმ-ცხინვალს შორის პოლიტიკური სტატუსის გამსაზღვრელი მოლაპარაკების დაწყება) მწვანე შუქი აუნთო აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფას. ისედაც მცირემიწიანმა საქართველომ თავისი 76 000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა.

არის თუ არა გამოსავალი?

ეს ის კითხვაა, რომელიც პასუხის გაცემას მოითხოვს — გულწრფელის და არა ზედაპირულის, არა ისეთის, რეგულარულად რომ ვისმენთ ოპოზიციონერი გოგო-ბიჭებისგან. მათი აზრით, არც რუსეთთან და არც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან არ უნდა დავილაპარაკოთ. და თუ მაინც მოხდა ასეთი რამ, მათ წინაშე მარტო არ უნდა წარვდგეთ — ჩვენი დასავლელი მოკავშირეებიც და რუსეთის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ჩვენთან ერთად. ეს დაახლოებით ისეთია, ბავშვს რომ ასანთს უმალავენ, — ხანძარი არ გააჩინოსო. **ჩვენი მარტო დატოვება მოლაპარაკების მაგიდასთან სახიფათოა — ვინ იცის, რაზე დაგვიყოლიებენ?!**

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ქართულ პოლიტიკაში არ მეგულება პოლიტიკოსი, რომელიც საზრიანად წარმართავს რუსეთთან, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებას. მოლაპარაკება კი აუცილებელია არა მხოლოდ ტერიტორიების დასაბრუნებლად, არამედ ნორმალური ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად — ეკონომიკის (ბიზნესის), ვაჭრობის, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და სხვა დარგების განვითარებისთვის.

ყურადღებით ვადევნებდი თვალს რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** ხანმოკლე ვიზიტს აზერბაიჯანში. დამამახსოვრდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ **ილჰამ ალიევის** ნათქვამი იმ ურთიერთობაზე, ორ ქვეყანას შორის რომ არის დამყარებული. ცნობილია რუსეთის მიერ აზერბაიჯანისთვის იარაღის მიყიდვა. **ვიცით, რომ აზერბაიჯანი ამზადებს რუსულ სატვირთო ავტომანქანა „კამაზს“, მაგრამ არ ვიცით, რომ აზერბაიჯანში მოქმედებს 141 რუსული სკოლა და ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, რომელსაც დასავლურმა საგანმანათლებლო სისტემამ პირველი ადგილი მიანიჭა ევრაზიულ სივრცეში. განა ამის გამო აზერბაიჯანმა სუვერენიტეტი დაკარგა?**

გულდაწყვეტით ვუსმენდი ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ვინაიდან, გარდა ღვინისა და მინერალური წყლისა, რუსეთის ბაზარზე ჩვენ სხვა არაფერი შეგვაქვს. არადა, თუ მოვისურვებთ, ბევრი კარგი და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის გაკეთებას შევძლებთ. **დარწმუნებული ვარ, წარმატებული ქართული მრავალმხრივი ექსპორტის შემდეგ, არავის აზრად არ მოუვიდოდა მარიხუანის საექსპორტოდ დამზადება. უაზრო პოლიტიკა ბევრს აკარგვინებს ქვეყანას!**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ მეზობელ რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია; ვაჭრობა მასთან, გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, გაცილებით მომგებიანია, ვიდრე შორეულ ქვეყნებთან ურთიერთობა, თუმცა აზერბაიჯანი არც ამაზე ამბობს უარს.

ურთიერთობისთვის კი ენის ცოდნაა საჭირო — რუსული ენის. სწორედ ამას ითვალისწინებენ აზერბაიჯანში არსებული რუსული სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. ამით აზერბაიჯანი რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა?

ჭკვიანი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია გონივრული პოლიტიკის განხორციელება. აღარაფერს ვამბობ რუსეთ-სომხეთის მჭიდრო თანამშრომლობაზე, რომელიც არც კი შერყეულა დასავლეთისადმი ლოიალურად განწყობილი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლით. სომხეთის ახალმა ლიდერმა ფაშინიანმა განაცხადა, რომ რუსეთი სტრატეგიული პარტნიორია და ასეთად დარჩება.

აზერბაიჯანსა და სომხეთს ყარაბაღის სერიოზული პრობლემა აქვთ. რუსეთი მთავარი შუამავალია. მას ორივესთან აქვს ისეთი პოლიტიკური კავშირები, ქიშპს რომ არ იწვევს შუამავალთან.

რომ არა 1991 წელს ავტობუსებით (100-ზე მეტი) ეროვნული მოძრაობის ძალების ცხინვალში „სამშვიდობო“ დესანტის გადასხმა, საქმე ომამდე არ მივიდოდა;

რომ არა სააკაშვილის უგუნური გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოში, ომი არ დაიწყებოდა;

საქართველოს ხელისუფლებას იმიტომ სურს ნატოში შესვლა, რომ ნატომ მოუგვაროს ტერიტორიული პრობლემა. ნატოს კი ეს არ სურს — საკუთარი წესდებიდან და რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე.

დასკვნა: ყოველდღე ხიზილალის ჭამაც მოსაბეზრებელია, არათუ რუსეთის ლანძღვა. ნუთუ არ მოგბეზრდათ?!

**ომარ მარგველაშვილი**
საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრამპის განცხადებით, სენატში და კაპიტოლიუმთან გამართული საპროტესტო აქციების მონაწილე ქალები არიან პროფესიონალი პროვოკატორები, რომლებიც დაიქირავა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა.**

# ტრამპის მორიგი გამარჯვება — სენატმა დაამტკიცა კავანოს კანდიდატურა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოსტზე



**აშშ-ის სენატმა მოიწონა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ წარდგენილი ბრეტ კავანოს კანდიდატურა უზენაეს სასამართლოში მოსამართლის პოსტზე. დონალდ ტრამპა კი განაცხადა, რომ ხელს მოაწერს კავანოს დანიშვნას უზენაეს სასამართლოში.**

„მივესალმები და ვულოცავ ჩვენი კანდიდატის, **ბრეტ კავანოს,** დამტკიცებას მოსამართლედ აშშ-ის უზენაეს სასამართლოში. მოგვიანებით ხელს მოვაწერ მის დანიშვნას და ის ოფიციალურად დადებს ფიცს. ძალიან ამაღელვებელია!“ — დაწერა ტრამპმა სოციალურ ქსელში.

მოსამართლეების არჩევა აშშ-ში პოლიტიკური სკანდალის ფონზე მიმდინარეობდა. აბორტისა და იარაღის გაყიდვაზე კონტროლის გამყარების მომხრეები აქციას აქციაზე აწყობდნენ. თუმცა ტრამპის რჩეულ კანდიდატზე მთავარი დარტყმა იყო ბრალდება სექსუალურ ძალადობაში, რომელიც თითქოს 36 წლის წინათ მოხდა. აშშ-ის პრეზიდენტმა, აგრეთვე, რესპუბლიკელმა სენატორებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტის მასწავლებლის, **კრისტინ ბლეიზი ფორდის,** ბრალდება — ეს არის დემოკრატების მცდელობა, მოსამართლე კავანოს რეპუტაცია შეულახონ.

**ტრამპის განცხადებით, სენატში და კაპიტოლიუმთან გამართული საპროტესტო აქციების მონაწილე ქალები არიან პროფესიონალი პროვოკატორები, რომლებიც დაიქირავა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა.**

„ესენი არიან უხეში და უტიფარი ადამიანები, რომლებიც ყვირიან ლიფტებში; დაფინანსებული პროფესიონალები, რომლებიც ცდილობენ, შეუბღალონ სენატორებს სახელი. არ წამოეგოთ ამაზე! შეხედეთ მათ, ყველას ერთნაირი, თითქოს ფაბრიკაში დაამზადესო, პლაკატები აქვთ. ამაში ფული გადაიხადეს სოროსმა და მისნაირებმა“, — დაწერა ტრამპმა „ტვიტერში“.

უზენაეს სასამართლოში მოსამართლის პოსტზე კავანოს დამტკიცება ტრამპისა და რესპუბლიკური პარტიის დიდი გამარჯვებაა.

მსგავსი პოლიტიკური თვალსაზრისის მქონე მოსამართლის დანიშვნა ნებისმიერი პრეზიდენტისთვის გამარჯვებაა და ეს აუცილებლად აისახება 2018 წლის კონგრესის შუალედური არჩევნების კენჭისყრის შედეგებზე.

კონსერვატიულად განწყობილი ბრეტ კავანო დაიკავებს ენტონი კენედის ადგილს, იმ მოსამართლის ადგილს, რომელიც მოსამართლეობაზე უფრო ლგბტ თემის და ყოველივე ლიბერალურის ქომაგად წარმოაჩენდა თავს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. Fox News-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრეტ კავანომ ფიცი დადო და ახლა ის აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 114-ე წევრია.**

**კონსერვატიულად განწყობილი ბრეტ კავანო დაიკავებს ენტონი კენედის ადგილს, იმ მოსამართლის ადგილს, რომელიც მოსამართლეობაზე უფრო ლგბტ თემის და ყოველივე ლიბერალურის ქომაგად წარმოაჩენდა თავს**




# ბრაზილიაში არჩევნების მეორე ტური გაიმართება

**„ბრაზილიის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ულტრამემარჯვენე კანდიდატი სოციალურ-ლიბერალური პარტიიდან — ჟაირ ბოლსონარუ და მშრომელთა მემარცხენე პარტიის კანდიდატი — ფერნანდუ ადადი“, — განაცხადა უზენაესი საარჩევნო სასამართლოს პრეზიდენტმა როზა ვებერმა.**

7 ოქტომბერს ბრაზილიაში გაიმართა საყოველთაო არჩევნები, ქვეყნის მოსახლეობა ირჩევდა პრეზიდენტს, გუბერნატორებსა და პარლამენტარებს.

წინასწარი შედეგების მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე **ბოლსონარუმ** ხმების 46 პროცენტი მოიპოვა, **ადადმა** — 29. ამრიგად, ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ შეძლო 50 პროცენტს პლუს 1 ხმის მოგროვება, რაც საკმარისი იქნებოდა პირველ ტურშივე გასამარჯვებლად.

მეორე ტური გაიმართება 3 კვირის შემდეგ — 28 ოქტომბერს. ფერნანდუ ადადი ყოფილი პრეზიდენტის **ლულა და სილვას** მიმდევარია.

მესამე ადგილზე გასულმა მუშათა დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა **სირუ გომესმა**, რომელმაც ხმების 12,5 პროცენტი მოაგროვა, განაცხადა, რომ განაგრძობს ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ და დემოკრატიის დასაცავად. გომესი მხარს არ დაუჭერს ბოლსონარუს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# «თანხმობის» საკითხი: როგორ შეიცვლება პოლიტიკური ვითარება ლატვიაში არჩევნებში პრორუსული პარტიის გამარჯვების შემდეგ

**ლატვიის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა პარტია „სოგლასიემ“ („თანხმობა“ — 19.8%), რომელსაც მხარს უჭერს რუსულენოვანი მოსახლეობა. მმართველმა კოალიციამ „ერთიანობამ“ (6,7%) — „მწვანეებისა და გლეხების კავშირმა“ (9,9%) და „ყველაფერი ლატვიისთვის“ (11%) — მნიშვნელოვნად დათმო პოზიციები და უმრავლესობას დაკარგავს სეიმში.**

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გამარჯვების მიუხედავად, „თანხმობა“ მაინც ვერ ჩამოაყალიბებს მთავრობას, რადგან სხვა პარტიები არ მოისურვებენ მასთან თანამშრომლობას. ანალიტიკოსთა აზრით, ლატვიას მოუწევს არჩევნების ხელახლა ჩატარება.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტია „სოგლასიემ“ („თანხმობამ“) ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა ლატვიის საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 6 ოქტომბერს გაიმართა.

რიგის მერის — **ნილ უშაკოვის** პარტიამ, რომელსაც არჩევნებში ხელმძღვანელობდა ქვეყნის ყოფილი განათლების მინისტრი **ვიაჩესლავ დომბროვსკი** ამომრჩეველთა თითქმის 20-პროცენტიანი მხარდაჭერა მიიღო. მეორე ადგილზეა მსახიობ **არტუს კაიმინშის** პოპულისტური პარტია „ვის ეკუთვნის სახელმწიფო“ (14,25%), მესამეზე — ნაციონალისტური ახალი კონსერვატიული პარტია — 13, 5%. მეოთხე ადგილი დაიკავა ლიბერალურმა გაერთიანებამ „განვითარებისთვის“ — 12,04% მათ სიაში ჰყავთ ქვეყნის ფინანსთა ყოფილი მინისტრი **დანიელ პავლიუტსი,** ლატვიაში სოროსის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ვიტა ანდა ტერაუდა** და ეროტიკული რომანების ავტორი **დაცე რუკშანე-შჩიპჩინსკა.**

„ჩვენ მოვედით ძალიან მკაფიო პროგრამით — ცვლილებები, სოციალ-დემოკრატიული ფასეულობები და ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ“, — დაწერა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ რიგის მერმა ნილ უშაკოვმა. მისი თქმით, „ლატვიის პრეზიდენტმა არ შეიძლება, შესაძლებლობა არ მისცეს ვიაჩესლავ დომბროვსკის (პრემიერმინისტრობის კანდიდატი არჩევნებში გამარჯვებული პარტიიდან) ჩამოაყალიბოს მინისტრთა ახალი კაბინეტი“. უშაკოვის აზრით, შრომისუნარიანი კოალიციის შექმნა სეიმში, რომელშიც 7 პარტია შევიდა, „სოგლასიეს“ გარეშე შეუძლებელია.



**„დიამეტრულად განსხვავებული ფასეულობების მქონე 5-6 პარტიისგან შექმნილმა მთავრობამ შეუძლებელია, ნორმალურად იმუშაოს და ქვეყანაში ცვლილებებს ვერ განახორციელებს. თავის მხრივ, სოციალურ-საპასუხისმგებლო მიდგომა და თანხმობის იდეა ლატვიელებსა და არალატვიელებს შორის სტაბილიზაციის ფაქტორად უნდა იქცეს ნებისმიერი მთავრობისთვის“,** — განაცხადა უშაკოვმა.

ზემოთ ჩამოთვლილი 4 პარტიის გარდა, ლატვიის სეიმში შევიდა კიდევ 3 პარტია (სულ 7): „მოძრაობა ლატვიის ნაციონალური დამოუკიდებლობისთვის“ (11.01%), „მწვანეებისა და გლეხების კავშირი“ (9,91%) და პარტია „ახალი ერთობა“ (6,6%).

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**როგორც ამბობენ, თხა მილენა ბულგარეთში ისეთივე პოპულარული გახდა, როგორც ძროხა პენკა, რომელმაც დამოუკიდებლად, გამყოლის გარეშე, გადაკვეთა ბულგარეთ-სერბეთის საზღვარი. გერმანიაში კი მისი კონკურენტია პონი მარტა, რომელიც გერმანიის გერლიტცერპარკის ზოოპარკში სირიელმა მიგრანტმა გააუპატიურა.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## წადი, შენი გზა ნახე!

**დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, ახალგაზრდა ქალი დუბაიში იმის გამო დააპატიმრეს, რომ შემთხვევით შეესწრო ჩხუბს სასტუმროს ვესტიბიულში, — იუწყება Mirror.**

22 წლის **ასა ხატჩინსონმა** მეგობრებთან ერთად შენიშნა მთვრალი მამაკაცი, რომელსაც სასტუმროს ვესტიბიულში ეძინა და შეეცადა მასთან სელფი გადაეღო.

სელფომანია ხომ მსოფლიოს მოედო. 54 წლის შვედმა მენეჯერმა არ ისურვა, ვიღაცის „ფოტონადავლი“ გამხდარიყო და სელფისტებს თავს დაესხა, მაგრამ ეს უკანასკნელები არ



აღმოჩნდნენ ჯაბანნი და ამტყდარ ჩხუბში თავგამოდებულ მენეჯერს მიუნგრიეს ცხვირპირი, მოტეხეს თითები „ზედა და ქვედა კიდურებზე“, ხოლო ასამ დაზარალებულის სათვალე ნაგვის ყუთში მოისროლა.

შვედეთის მოქალაქის განმარტებით, სიმშვიდე მას ასას მეგობრების წრიდან ერთმა ახალგაზრდამ დაურღვია — სილა გააწნა და გამოაღვიძა. თვალი რომ გაახილა, დაინახა, რომ ახალგაზრდების ჯგუფი თავს დადგომოდა და დასცინოდა. გაცოფდა შვედი, გადაირია და ატყდა ჩხუბი და დავიდარაბა. პოლიციამ დაჰკითხა ამ ალიაქოთის ყველა მონაწილე, მაგრამ ბრალდება მხოლოდ ასას წაუყენეს, რადგან იგი მოცემულ მომენტში არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მუშაობდა და პასუხი უნდა ეგო ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილი ჩხუბში არ მონაწილეობდა, სასამართლომ ის დასაჯა. მას ბრალად წაუყენეს პიროვნებაზე თავდასხმა და სათვალის მოპარვა. გამოძიება ორ წელიწადს მიმდინარეობდა.

ასას ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ქალიშვილი უსამართლოდ დასაჯეს, რომ მასზე



მოახდინეს ზემოქმედება — აიძულეს, ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომელიც არაბულად იყო დაწერილი; დაემუქრნენ, რომ უარის შემთხვევაში ციხეში ჩასვამდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს დოკუმენტი ეჭვმიტანილის აღიარებითი ჩვენება იყო.

ასას მშობლები იბრძვიან სიმართლის დადგენისთვის და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.



სიძე-პატარძლის საქორწინო ფოტო

## პირველი გეიქორწინება ბრიტანეთის სამეფო ოჯახში

**წლეულს, 23 სექტემბერს დიდი ბრიტანეთის დედოფლის — ელისაბედ II-ის დეიდაშვილმა (ასევე დედოფალ ვიქტორიას, ეკატერინე II-ისა და ალექსანდრე პუშკინის პირდაპირმა შთამომავალმა) ლორდმა ივან მაუნტბატენმა 56 წლის ჯეიმს კოილზე იქორწინა.** ცერემონია 60 სტუმრის თანდასწრებით გაიმართა. მათ შორის იყო ლორდის სამი ქალიშვილი (პირველი ქორწინებიდან). სიძეს ამბიონისკენ გაუძღვა მისი ყოფილი მეუღლე — ლედი **პენი,** რომელიც 17 წლის განმავლობაში ლორდის ცოლად ითვლებოდა.



## პატარძალი იმუქრებოდა, რომ მეგობრების სიიდან ამოშლიდა მათ, ვინც მისი ქორწილისთვის 3000 დოლარს არ გადაიხდიდა

**პატარძალს უნდოდა ქორწილის გადახდა ტაილანდში, ამიტომ ყველა სტუმარს თავისი ხარჯი თავადვე უნდა დაეფარა.**

**მეგობრებმა უარი თქვეს და პატრძალმა თავისი აღშფოთება „ფეისბუკში“ მრისხანე „პოსტით“ გამოხატა. ეს ამბავი გაცხადდა მას შემდეგ, რაც ის „ფეისბუკის“ ერთ-ერთმა მომხმარებელმა Reddit-ში განათავსა.**

ქორწილი, რომელიც ტაილანდში უნდა გამართულიყო, ჰავაის კუნძულებზე გადაიტანეს, აშშ-თან ახლოს. ამით გამგზავრება ათასი დოლარით გაიაფდა, მაგრამ დამსწრეთა რაოდენობა მაინც ვერ გაიზარდა; პირიქით, კიდევ 2 კაცი გამოაკლდა.

„რაც ნაკლები ხარჯია, იმდენად ცოტაა სტუმარი?! — დაწერა „ფეისბუკში“ აღშფოთებულმა პატარძალმა, — თქვენ უარს ამბობთ, გაიღოთ 2 ათასი დოლარი ჩვენს გაბედნიერებაში მონაწილეობის მიღებისთვის?!“

მეგობრებისადმი მიმართვა ქალიშვილმა დაამთავრა მიმართვით:

„თქვენ გაქვთ სამი დღე ჩვენს მოპატიჟებაზე პასუხის გასაცემად. არადა, ამოგშლით მეგობართა სიიდან და ჩვენი გზები გაიყოფა. გარბიან მხოლოდ იაფფასიანები. გეფიცებით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეგობრები საუკეთესონი იყვნენ“.

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა სასიძოს ურჩიეს, დროზე გასცილდეს საპატარძლოს, რადგან ის, რაც მან გამოამჟღავნა, აისბერგის მხოლოდ მწვერვალია.

## მიგრანტმა ბულგარეთში თხა გააუპატიურა

**ბულგარული გამოცემა „უიკენდი“ მიგრანტებთან დაკავშირებული მორიგი ინციდენტის შესახებ იუწყება. ეს სამარცხვინო ფაქტი ბულგარეთის ერთ-ერთ რაიონში მოხდა.**

დღისით, მზისით, ნაშუადღევს 73 წლის მწყემსი **მლადან კირილოვი** ჩეროში იჯდა და თავისთვის ფიქრობდა. გაუგებარი ხმაური შემოესმა და ინსტიქტურად თავისი თხების დათვლა დაიწყო. რა იმდენი ჰყავდა, უცებ არ შეემჩნია, რომ ერთი თხა — მილენა — არსად ჩანდა.

შეშფოთებული წამოხტა, ისე სწრაფად, რის შესაძლებლობასაც ასაკი აძლევდა, მიდგა-მოდგა და რას ხედავს: ვიღაც შავტუხა ყმაწვილი მიდგომია „ქალბატონ მილენას“ და ...სექსუალურ ეშხშია შესული. მოკლედ — ზოოფილობს.

ბოშა ეგონა და ბულგარულად შეუძახა: „წაეთრიე, საზიზღარო, ნუ აწვალებ თხას! არა გრცხვენია, უბედურო?!“

იმ ახალგაზრდას, მოხუცის შეძახილი კი არა, ზარბაზნის ქუხილი ვერ შეაჩერებდა.




მაშინ კირილოვი ძალისმიერ მეთოდზე გადავიდა და სთხლიშა ზურგში კომბალი.

არავითარი რეაქცია.

მეორედაც დაარტყა — უფრო ძლიერად.

და მოძალადემ მწყემსზე გაიწია. მლადანს ბევრი არ უფიქრია და ამჯერად სექსუალური ვნებით გაჭედილ თავში სდრუზა კომბალი. მაშინ კი შეშინდა სექსგიგანტი და გაკურცხლა უკან მოუხედავად. შარვალჩახდილი მირბოდა და არაბულად რაღაცას ყვიროდა, სამადლობელ სიტყვებს რომ არა, აშკარა იყო.

გარბოდა ტყისკენ ევროკავშირის ახალი მკვიდრი, იქით, სადაც მიგრანტებისადმი ტოლერანტული მოსახლეობა ეგულებოდა.

მილენას პოლიციაში არ „უჩივლია“.

როცა ბულგარელი ჟურნალისტები კირილოვს ესტუმრნენ და ჰკითხეს, რა აზრის იყო ევროპაში მიგრანტების ინტეგრაციის პოლიტიკაზე. მან, ჩვენი კახელისა არ იყოს, მაგარ-მაგარი გამოთქმების და მრავალსართულიანი შეფასებების ისეთი ფოიერვერკი ამოაფრქვია, რომ ნირწამხდარი ჩვენი კოლეგები ხელცარიელი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ რედაქციებში: იმის დაბეჭდვა ან ეთერში გამეორება, რა სიტყვებითაც 73 წლის მწყემსმა ევროპელი პოლიტიკოსები შეამკო, ყოვლად წამოუდგენელი იყო.



**ФАН-ის პუბლიკაციის გადმოქართულებული ვარიანტი**

**P.S. როგორც ამბობენ, თხა მილენა ბულგარეთში ისეთივე პოპულარული გახდა, როგორც ძროხა პენკა, რომელმაც დამოუკიდებლად, გამყოლის გარეშე, გადაკვეთა ბულგარეთ-სერბეთის საზღვარი. გერმანიაში კი მისი კონკურენტია პონი მარტა, რომელიც გერმანიის გერლიტცერპარკის ზოოპარკში სირიელმა მიგრანტმა გააუპატიურა.**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თანამედროვე მოწინავე კაცები რომ ბედის წყალობით მთავრობის სათავეში მოექცნენ, ისინი იძულებულნი გახდებიან, კვლავ დაალონ პირი და იწყონ საზოგადოებრივი საკითხის „გამოკვლევა“ და „შესწავლა“, მაშინ, როცა ცვლილებით დაჩქარებული ცხოვრების მსვლელობა მოითხოვს მათგან დამზადებულ გადაწყვეტილებებს და ზომებს, ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების სწრაფ გაუმჯობესებას, გადაუდებელ ცვლილებებს კანონმდებლობის ყოველ ნაწილში და უამრავი ხალხის მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას... სად გამოძებნიან მოწინავე კაცები სახსარსა და ძალას ყველა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად?“

# ასეთი დიდებით, ძნელია, გაუძლვე საზოგადოებრივი აღორძინების რთულ საქმეს

## «მათი გონება ვიწრო და ცალმხრივია, ხასიათი — სუსტი და მოდუნებული, ცოდნა არავითარი არ გააჩნიათ, გარდა გაუმჯობესებული, პირადი თავდასხმით გაღვივებული რიტორიკისა»

**ქართული პუბლიცისტიკისა და საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ისტორიაში ნიკო ნიკოლაძის, როგორც ნათელი გონების პიროვნებისა და მამულიშვილის, როლი სადღეისოდ საფუძვლიანად არ არის შესწავლელი და სათანადოდ დაფასებული. მან ცხოვრების ასპარეზად საზოგადო საქმე აირჩია და ქართული ხასიათის კვლევის პროცესი ერთი მძლავრი ნაბიჯით წინ წასწია: „საზოგადო საქმე, საზოგადო მიზანი, სარგებლობა? ვინ არ ხარხარებს ჩვენში, როცა ამ სიტყვებს ყურს მოჰკრავს. ვის არ მიაჩნია ისინი ბავშვურ ოცნებად, სიტუტუცედ?“**

**ნიკო ნიკოლაძის „რევოლუციონერების როლი“, რომელიც 1865 წელს რუსულ პრესაში გამოქვეყნდა, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ კულტურას საკვირველი სიზუსტით ასახავს. დღესაც უკანა რიგში მოექცა ის საკითხები, რომლებიც მასების გულისტკივილს გამოხატავს, და მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ არსებითი საკითხების გადაწყვეტაში ვერ შეთანხმდნენ ის პარტიები თუ ცალკეული პოლიტიკოსები, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად „ერთმანეთთან შეტევითი კავშირი დასდეს“. ამის საბოლოო შედეგი კი სახეზე გვაქვს — მასებს გული აუცრუვდა იმ საქმისადმი, რომელზეც „მოწინავე კაცები“ ქადაგებენ და, ქართული ანდაზისა არ იყოს, მივიღეთ: რაც ბერიო — ის ერიო.**

**ამ მდგომარეობას ოთარ ჭილაძე, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, ამგვარად აღწერს:**

**„ვიღუპებითო. რაღა დროსია?! კარგახნის დაღუპულები ვართ უკვე. დიდხანს ვეცემოდით და დაცემას დაცემამდე — ჰაერშივე — შევეჩვიეთ, რის გამოც სრულებით აღარ გაგვჭირვებია, არარსებობის, უუფლებობის, უსახელობის ორმოს ფსკერზეც ჩვეულებრივად გაგვეგრძელებინა ცხოვრება — მივმდგარ-მოვმდგარიყავით, გაგვეხედ-გამოგვეხედა, გავმძვრალ-გამომძვრალიყავით, ოჯახს მოვკიდებოდით, სამსახურში ჩავმდგარიყავით, მოკლედ, ალღო აგვეღო ორმოს წეს-ჩვეულებებისათვის და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვაგვარად ცხოვრება აღარც შეგვიძლია. ჩვენთვის თავისუფლება იგივეა, რაც სხვისთვის მონობა. ეს არის ყველაზე დიდი ბოროტება, რაც უმტკივნეულო დაცემამ მოგვიტანა, მაგრამ, კიდევ კარგი, არ ვიცით. არც ეს ვიცით. როცა იცი, იტანჯები კიდეც. ცოდნა გაწვალებს, განამუსებს. ხოლო, როცა არ იცი, ხარ შენთვის არხეინად“.**

**28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ვფიქრობთ, ნიკო ნიკოლაძის ზემოხსენებული წერილის წინასაარჩევნოდ საზოგადოებისთვის გაცნობა თუ შეხსენება კარგ სამსახურს გაუწევს თითოეულ ჩვენგანს არჩევანის გაკეთებისას. ქვემოთ მოგვაქვს ვრცელი ამონარიდი ამ წერილიდან, რომელიც ქართულად სიმონ ხუნდაძემ (1897-1933) (ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, სოციოლოგი, ჟურნალისტი) თარგმნა:**



„ევროპის სახელმწიფოთა მოწინავე პარტიები, დაწყებული 1848 წლიდან, მოქმედებენ მხოლოდ უარყოფითი გზით. გაფაციცებით ადევნებენ რა თვალყურს მთავრობის მოქმედებას, ისინი კმაყოფილდებოდნენ უბრალო პროტესტაციებით, მთავრობის ამა თუ იმ განკარგულების უკანონობის აღნიშვნით და მიისწრაფოდენ მხოლოდ ერთი მიზნისაკენ: **დაერწმუნებინათ მასა, რომ მთავრობები ბოროტი განზრახვით არიან გამსჭვალულნი, აღეძრათ მასში სიძულვილი ამ მთავრობებისადმი და გამოეწვიათ მისი მხნე მოქმედება მთავრობის ძალის წინააღმდეგ – დაეპირისპირებინათ ამ უკანასკნელისთვის არჩევნების მორალური ძალა და ბარიკადებზე მებრძოლთა კუნთების ძალა.**

ამ მიზნის მისაღწევად, ევროპის მოწინავე კაცები სცდილობდენ, არ აღეძრათ ის საკითხები, რომელთაც შეეძლოთ, ჩამოეგდოთ რაიმე უთანხმოება არსებულ მთავრობათა სხვადასხვა ჯურის მტრებს შორის. სადავო მუხლები იმ მოკავშირეთა შორის, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ მიდიოდნენ, მიჩქმალული იყო თითქოს მოკავშირეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით. ამ ტაქტიკის წყალობით, რომელიც იქნებ მოხერხებულია საარჩევნო უმრავლესობის მისაღწევად, უკანა რიგში მოექცა ის საკითხები, რომლებიც მასების გონებას ეუფლებოდენ, და მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ არსებითი საკითხების გადაწყვეტაში ვერ შეთანხმებულიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ერთმანეთთან შეტევითი კავშირი დასდეს. ამის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ მასებს გული აუცრუვდათ იმ საქმისადმი, რომელზედაც მოწინავე კაცები ქადაგებდნენ.

რაკი „მტრის დამარცხებამდე“ გადაწყდა გაჩუმება სადაო და საჭირბოროტო საკითხებზე, მოწინავე კაცებმა, — ხოლო მათ შემდეგ იმ ახალგაზრდობამაც, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად მისდევდა მათ, — თანადათან დაკარგეს ნათელი შეგნება ამ საკითხების არსებასა და მდგომარეობაზე და მათი გადაჭრის საშუალებებზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამას ხელს უწყობდა არა მარტო მოკავშირეებთან არ წაჩხუბების სურვილი, არამედ ის უბრალო მოსაზრებაც, რომ ახლა მთავარი და უპირველესია მტრის დამხობა, ხოლო ყოველივე დანარჩენის მოფიქრება და მოგვარება შეიძლება ამ სასურველი დამხობის შემდეგ.

ასეთ უმოქმედო მოლოდინში გასული დრო ვერ შესძენდა მოწინავე ადამიანებს უნარს – ჩაეხედათ ცხოვრებაში და გაერკვიათ იმ სიძნელეთა დედააზრი, რომელთა თავიდან აცილება გადაიქცევა მათ მოვალეობად იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა მათი სასურველი მოლოდინი. **მათ ვერ გაიგეს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობისა და მიმდინარე ცხოვრებისადმი ვერ ჩაითვლება მათი მომავალი მოქმედების საკმაოდ ძლიერ თავმდებად, რომ იგი ვერ მოაგროვებდა ძალას მთავრობასთან საბრძოლველადაც კი, აღარას ვამბობთ იმაზე, რომ იგი ვერ მიიზიდავდა მათ რიგებში ვერც ერთ გარეშე კაცს, რომელსაც მათი დროშის დაცვა პირად გადაუდებელ საკითხად არ მიაჩნია.**

**საზოგადოებრივ საქმეებში არაფერია ისე ადვილი, როგორც საზოგადოების ამა თუ იმ განწყობილების წაქეზება: საკმარისია მცირედი ნიშანიც კი, რომ საზოგადოებამ იგი თავისი აზრების გამოხატულებად მიიღოს, და მსმენელები თუ მკითხველები გულუბრყვილოდ მზად არიან, თავიანთი აზრები და გრძნობები მიაწერონ ყოველ ფრაზას, რომელიც ოდნავ მაინც, თუნდაც გარეგნობით, ეგუება მათ განწყობილებას. მაგრამ ასეთი სიმპატია იმდენადვე მტკიცეა, რამდენადაც ადვილად წარმოიშვება იგი. აი სწორედ აქ ჩანს სიბეცე მოწინავე კაცებისა, რომელთაც არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ მასების სიმპატია და ახლად ჩასახული ნდობა შეინარჩუნონ იმ დროისთვის, როდესაც გაივლის საზოგადოების ეხლანდელი განწყობილება. ამის მიღწევა კი შეიძლებოდა მასების მოთხოვნილების, მათი მისწრაფებებისა და საჭიროების უაღრესად სერიოზული და კეთილსინდისიერი შესწავლით.** მართალია, ამგვარი საკითხების საჯარო დამუშავება შეამცირებდა თანამგრძნობთა რიცხვს, მაგრამ სამაგიეროდ თანაგრძნობისა და ნდობის ძალა და სიმტკიცე იმ ზომამდე გაიზრდებოდა, რომ არავინ აიტკივებდა თავს ცრუ თაყვანისმცემელთა დაკარგვაზე ფიქრით.

**მეორე უბედურება, რომელსაც უკვე მიაღწიეს მოწინავე კაცებმა, არის ის, რომ ისინი არ იცნობენ პრაქტიკულ საკითხებს, ვერ ახერხებენ მოსალოდნელ დაბრკოლებათა და სიძნელეთა თავიდან აცილებას.** ოპოზიციონური დეპუტატების სიტყვები და ასევე ჟურნალისტების წერილები სავსეა მთავრობის ბოროტ-განზრახვათა აღნიშვნით ამ მთავრობის წარმომადგენელთა და მის მწერალთა მხილებით წინააღმდეგობასა და არათანმიმდევრულობაში. მაგრამ ყოველსავე ამას ერთგვარი ინტერესი აქვს მხოლოდ დღევანდელ მომენტში; **რომ გაჰქრეს ამჟამად მთავრობა, ოპოზიციონურ მოღვაწეებს არ ეცოდინებათ, რა გააკეთონ: ისინი არა თუ ვერ მოახერხებენ მეტად აბნეული ფინანსური მდგომარეობის ლიკვიდაციას ან სხვებზე უფრო ნაკლებად გაძნელებული ისეთი ეკონომიკური პირობების თავიდან აცილებას, რომლებიც გაძვალტყავებულ და უკმაყოფილო ხალხს შეეხებიან, არამედ მათ არ ეყოფოდათ ნიჭიერი და მცოდნე ხალხი სამოსამართლო და ადმინისტრატიული დაწესებულებების რეორგანიზაციისათვის.** და თანამედროვე მოწინავე კაცები რომ ბედის წყალობით მთავრობის სათავეში მოექცნენ, ისინი იძულებულნი გახდებიან, კვლავ დაალონ პირი და იწყონ საზოგადოებრივი საკითხის „გამოკვლევა“ და „შესწავლა“, მაშინ, როცა ცვლილებით დაჩქარებული ცხოვრების მსვლელობა მოითხოვს მათგან დამზადებულ გადაწყვეტილებებს და ზომებს, ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების სწრაფ გაუმჯობესებას, გადაუდებელ ცვლილებებს კანონმდებლობის ყოველ ნაწილში და უამრავი ხალხის მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, იმ ხალხისა, რომელიც უპუროდ და უმუშაოდ დარჩება შერყევათა გამო, რაც აუცილებლად მოსდევს ყოველ პოლიტიკურ ცვლილებას. სად გამოძებნიან მოწინავე კაცები სახსარსა და ძალას ყველა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? საიდან აიღებენ ისინი ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნას, გამჭრიახობას, გაბედულებას და ენერგიას ყოველგვარი ცდისა და ღონისძიებისათვის? ისინი გულხელდაკრეფილნი იყვნენ და მოელოდნენ მესამე რესპუბლიკის მოსვლას და ამას უქმად არ ჩაუვლია მათთვის: მათი გონება ვიწრო და ცალმხრივია, ხასიათი – სუსტი და მოდუნებული, ცოდნა არავითარი არ გააჩნიათ, გარდა გაუმჯობესებული, პირადი თავდასხმით გაღვივებული რიტორიკისა; ასეთი-დიდებით კი, ძნელია, გაუძლვე საზოგადოებრივი აღორძინების მეტად რთულ საქმეს...

რა იქნება? ამას ვერავინ გამოიცნობს. მაგრამ ისინი, ვისაც გულწრფელად სურს სიკეთე ხალხისათვის, — დარწმუნებულნი ვართ — ჩვენთან ერთად გაიმეორებენ: ღმერთმა ქნას, რომ იმ გადატრიალებას, რომელსაც იწვევს მთავრობათა იდიოტური შეუგნებლობა და გონების სიჩლუნგე, მოუმზადებელი არ დახვდეს ახალგაზრდობა, და ღმერთმა ქნას, რომ მოესწროს ახალგაზრდობის ძალთა გამაგრება და მისი დავაჟკაცება ამ აუცილებელი კატასტროფის დროისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას, ეხლანდელი მოწინავე კაცების მოუმზადებლობის წყალობით და მასების მისწრაფებათა გაურკვევლობის გამო, მოჰყვება ისეთი რეაქცია, რომელზეც მარტო ფიქრიც კი შესაზარია“.

> **«ყოველ საზოგადოებაში თვითოეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გაუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ»**
>
> *«ჩვენი ახალგაზრდობა», 1871 წ.*

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გიულდენშტედტი: სოფელი ნავთლუღი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შედგება დაახლოებით 50 სახლისგან და, გარდა ამისა, ახლანდელმა მეფემ (ანუ ერეკლე მეორემ) შემოარტყა ოთხკუთხა გალავანი, დიამეტრით 80 ნაბიჯი და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე.**

# ნავთლუღი

**ნავთლუღი თბილისის ძველი უბანია, რომელიც მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისანი-სამგორის რაიონშია გაშენებული. სახელწოდება თურქულია და ნავთის ადგილს, სანავთეს ნიშნავს (ნავთობის სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არ ჰქონდა). XVIII საუკუნის 60-იან წლებში მეფე ერეკლე II-მ იქ ციხე-გალავანი ააგო და გაპარტახებული ნავთლუღი ხელმეორედ დასახლდა.**




1770 წლიდან ნავთლუღს უწოდებდნენ **ერეკლეს ციხესაც.** ნავთლუღზე გადიოდა აღმოსავლეთისკენ მიმავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა (ე. წ. კახეთის გზა). ნავთლუღის ტერიტორიაზე შემორჩენილია წმინდა ბარბარეს სახელობის 2 ეკლესია: ერთი შუა საუკუნეებისა (ახლანდელი სახე XIX საუკუნეში მიიღო) — ნავთლუღის სასაფლაოს წმინდა ბარბარეს ეკლესია, მეორე — XIX საუკუნის II ნახევრისა.

ნავთლუღის სასაფლაოს წმინდა ბარბარეს ეკლესია — ქართული მართლმადიდებლური ტაძარი, მდებარეობს ქინძმარაულის შესახვევში, წმინდა ბარბარეს სასაფლაოზე.

ნავთლუღის წმინდა ბარბარეს ეკლესია, გადმოცემის თანახმად, VIII საუკუნეში აუგიათ, თუმცა ის პირველად 1779 წელს მოიხსენიება. საეკლესიო გადმოცემით, ეკლესია თავდაპირველად წმინდა გიორგის სახელობისა ყოფილა და სოფელ ნავთლუღის მფლობელთა და მეპატრონეთა — თავად სუმბათაშვილების საგვარეულო საძვალეც იყო. მათი შთამომავლები დღეს საფრანგეთში ცხოვრობენ.

**მოსე ჯანაშვილი** წერს: **„ტაძარი წმინდა ბარბარესი ქვემო ნავთლუღში, აგებული ძველ დროს, დიდი თაყვანისსაცემელია, დღეობას აქ იკრიბება დიდძალი მლოცველი, წმინდა ბარბარეს მოსალოცად აქ მუდამ მოჰყავთ სახადით მოსარჩენალი ბავშვები“**.

თბილისში არსებობდა უძველესი ტრადიცია, ყველა ოჯახს ბავშვი ამ ეკლესიაში მიჰყავდა დასალოცად და წმინდა ბარბარეს მამალსაც სწირავდა.

1880-1883 წლებში ეკლესია შეაკეთა და განაახლა მღვდელმა **თეოფანე ჩიჯავაძემ.**

თბილისის წმინდა ბარბარეს (ქვემო) ეკლესიაში დასვენებულია წმინდა ბარბარეს XVI-XVII საუკუნეების სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც სამი შარავანდედი ადგას თავზე. წმინდა ბარბარეს (ქვემო) ეკლესია წარმოადგენს ერთნავიან შენობას, რომლისთვისაც მინაშენი მეფე ერეკლეს XVIII საუკუნეში გაუკეთებია. 1903 წლის გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ „4 იანვარს, ნავთლუხში, ნავთლუხის წმინდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელის, მამა იოსებ ჩიჯავაძის მოთაოსნობით გამართული იქნება საქველმოქმედო საღამო მუსიკალური განყოფილებით. შემოსავალი ამ საღამოსი გაეგზავნებათ ქალაქ ანდიჯანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთ შესაწევრად“. ამ ცნობის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად ფართო იყო ამ ეკლესიის საქმიანობის ფარგლები. **ამ ტაძარში ინახებოდა კიევის წმინდა ვლადიმერის ტაძარში დაბრძანებული წმინდა ბარბარეს ხისგან გამოთლილი ნეკის ასლი,** რომელიც მოგვიანებით გადააბრძანეს წმინდა ბარბარეს (ზემო) ეკლესიაში. ასევე **აქ დასვენებულია XVI საუკუნის ყოველთა წმიდათას აღდგომის ხატი** და სხვა ხატები.

სასაფლაოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ერეკლეს ციხის ნანგრევების ნაშთები. თბილისის თავდაცვითი ნაგებობების ხსენებისას პირველი, რა თქმა უნდა, ნარიყალა გვახსენდება და, ალბათ, ბევრისთვის ქალაქის სიმაგრეები ამით იფარგლება. არადა, გავიხსენოთ რომ ნარიყალა, ანუ კალას ციხე რეალურად მთავარი ციტადელი — დედა-ციხე იყო, თორემ ქალაქში არაერთი თავდაცვითი ნაგებობა არსებობდა: შაჰისტახტი, მეტეხის ციხე, თაბორის ციხე, ოქროყანის კოშკი, დიდუბის ციხე, ჩუღურეთის სიმაგრე და კიდევ ერთი ციხე-გალავანი — **ნავთლუღის, იგივე ერეკლეს ციხე.** ამ ციხეს ახსენებს ერეკლე მეორის დროის ყველა მემატიანე. მათი გადმოცემით, 1760-იან წლებში ნავთლუღში, მტკვრის სიახლოვეს, შემაღლებულ ადგილას ერეკლეს ციხე აუშენებია. გალავანი მართხკუთხა ყოფილა და ერთი მრგვალი კოშკი ჰქონია.

ცნობილია, რომ რუსი გენერლის, **ტოტლებენის**, თანმხლებმა თავადმა **მოურავოვმა** 1770 წლის 18 ივნისს ტოტლებენის სახელზე მოხსენება სწორედ ამ ციხეში დაწერა. მოურავოვს აღწერილი აქვს, რომ თბილისში შავი ჭირის გავრცელების გამო მოსახლეობა სხვადასხვა მხარეს დახიზნულა, ხოლო თავად მეფეს, ამალასთან და სამეფო კარის წევრებთან ერთად, ნავთლუღში, მისივე სახელობის ციხისთვის შეუფარებია თავი.

ოდნავ მოგვიანებით, 1772 წლის თებერვალში, აქ ყოფილა გერმანელი მოგზაური **გიულდენშტედტი,** რომელიც შედარებით დეტალურად აღწერს ადგილსაც და ციხესიმაგრესაც: **„სოფელი ნავთლუღი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შედგება დაახლოებით 50 სახლისგან და, გარდა ამისა, ახლანდელმა მეფემ (ანუ ერეკლე მეორემ) შემოარტყა ოთხკუთხა გალავანი, დიამეტრით 80 ნაბიჯი და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე“.**



ნავთლუღის, ანუ ერეკლეს ციხე დატანილია 1783 წელს **პიშჩევიჩის** მიერ შედგენილ რუკაზე და 1800 წელს **კაპიტან ჩუიკოს** მიერ შედგენილ რუკაზე. მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“ (1975 წლის გამოცემა) დაბეჭდილია მკვლევარ **კობა ხარაძის** სტატია XVIII-XIX საუკუნეების თბილისის ტოპოგრაფიული გეგმების შესახებ. სტატიაში ერეკლეს ციხეზე საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული და დაზუსტებულია მისი მდებარეობა. კობა ხარაძე წერს, რომ ერეკლეს ციხის ადგილას დღეისათვის ნავთლუღის წმინდა ბარბარეს ეკლესია დგას. სწორედ ის ეკლესია, რომელიც თავად სუმბათაშვილებს ეკუთვნოდათ. 1975 წლისთვის ეკლესიის მიმდებარედ ციხის რამდენიმე ფრაგმენტი ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი. ალეკო ელისაშვილმა ციხის ფრაგმენტების ძებნისას აღმოაჩინა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს **კლდის თავზე აშკარად გამოირჩევა დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის ფლეთილი ქვით ნაშენი მრგვალი გოდოლი.** სავარაუდოდ, ეს გიულდენშტედტის მიერ ნახსენები მრგვალი კოშკის საძირკველი უნდა ყოფილიყო. ამ გოდოლზე, ისევე როგორც, ყოფილი ციხის მთელ ტერიტორიაზე, საფლავებია, მეოცე საუკუნეში დაკრძალული თბილისელების. ყოფილი ერეკლეს ციხის გალავნის ფრაგმენტები აქ არაერთგან აღმოჩნდა. ციხის დასავლეთისა და ჩრდილოეთის კონტურები საკმაოდ კარგად იკითხება. რამდენიმე შენობა გალავანზეა დაშენებული.

მაშ, ასე: ნავთლუღის, ანუ ერეკლეს ციხე მდებარეობდა დღევანდელ „ზეემკაზე“, სასაფლაოსა და წმინდა ბარბარეს ეკლესიის ტერიტორიაზე. თბილისელებს მიაჩნიათ, რომ არ იქნება ურიგო, ერეკლეს ციხე ტოპონიმად აღდგეს ამ ტერიტორიაზე. „ვფიქრობ, რომ ასე პირნათელი დავრჩებით ამ ციხის ამგები და დამცველი ნავთლუღელების წინაშე“, — აცხადებს ალეკო ელისაშვილი.



ნავთლუღის ბაზარი



ნავთლუღის, ანუ ერეკლეს ციხის ნაშთი



სუმბათაშვილის საფლავი

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიჭირეს რამდენიმე ყვავი, გაზომეს ისინი, აწონეს და გაუშვეს. ყვავებმა არ აპატიეს ახალგაზრდებს ასეთი მოპყრობა და ამის შემდეგ სამი თვის განმავლობაში დევნიდნენ მათ. როგორც კი დაინახავდნენ კამპუსიდან გარეთ გამოსულ იმ სტუდენტებს, რომლებმაც დაიჭირეს, თავზე ასკინტლავდნენ, სხვებს კი არაფერს უშავებდნენ.**

# 8 ყველაზე ჭკვიანი ცხოველი

**რომელი ცხოველია ყველაზე ჭკვიანი? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმაზე რთულია, ვიდრე გგონიათ. ცხოველებისთვის ხომ ინტელექტის კოეფიციენტის IQ ტესტები ჯერ კიდევ არ არის შედგენელი, ამიტომ ცხოველის ინტელექტის განსაზღვრის ნებისმიერი მცდელობა მეტ-ნაკლებად სუბიექტურია. ეს სია შედგენილია სამეცნიერო სტატიებისა და კვლევების გათვალისწინებით.**



## 8. ფუტკრები — კოლექტიური გონის IQ

მიუხედავად იმისა, რომ ფუტკარი, ცხოველი კი არა, მწერია, ისეთი გონიერია, რომ იმსახურებს ამ სიაში შეყვანას. ფუტკრები, ისევე როგორც, ჭიანჭველები და სხვა ტერმიტები, კოლექტური გონით გამოირჩევიან. ფუტკრების მიერ აშენებული სკა ისეთი მოწესრიგებულია, ძალიან ჰგავს ადამიანის აშენებულ ქალაქს, რომელშიც თითოეულ ბინადარს აქვს თავისი ფუნქცია. მაგალითად, არიან თაფლის გამომუშავების უნარის მქონე მუშა ფუტკრები, აგრეთვე, მამრი ფუტკრები, რომელთა ფუნქცია მდედრის განაყოფირებაა, მდედრების ფუნქცია კვერცხის დადებაა, ამ კვერცხებს უვლიან აღმზრდელის ფუნქციის მქონე ფუტკრები. ეს ურთულესი სისტემა გამართულად მუშაობს თვითწარმოებით, რაც კოლექტური გონის გარეშე შეუძლებელია.



## 7. ღორი — 4 წლის ბავშვის IQ

ღორი ყველაზე ინტელექტუალური შინაური ცხოველების სამეულში შედის. ის შესანიშნავი ანალიტიკური უნარით არის დაჯილდოვებული, დროის შეგრძნება კი ფენომენალური აქვს. ღორი, რომელსაც ფერმაში ზრდიან, პლუს-მინუს 1 წუთის სიზუსტით ხვდება, როდის უწევს კვება. უსაათო ადამიანს კი, თუ შეეკითხები, რა დროა, პლუს-მინუს 10 წუთის სიზუსტით თუ გიპასუხებს. ღორებს მაღალი ინტელექტი საშუალებას აძლევს, წარმატებით გამოვიდნენ ცირკის არენაზე და ითამაშონ კომპიუტერული თამაშებიც კი. ამ ცხოველს აქვს შესანიშნავი მეხსიერება და ყნოსვა, რის გამოც მას ძვირფასი სახეობის სოკოს მოსაძებნად იყენებენ.



## 6. ყვავი — 4,5 წლის ბავშვის IQ

ეს ფრინველი თანამოძმეთა შორის გენიოსად ითვლება. განვითარებული აქვთ ლოგიკური აზროვნების უნარი. ამერიკელმა მეცნიერებმა შეძლეს, ამ ფრინველისთვის ესწავლებინათ მონეტების შეგროვება და სავაჭრო ავტომატში ჩაყრა, რათა მიეღოთ კაკალი. მათთვის კაკლის გატეხვის სწავლება არ დასჭირვებიათ — ნებისმიერმა ყვავმა იცის, რომ ამისათვის საჭიროა, მაღლა აფრინდეს და კლანჭები გაუშვას კაკალს, ქვაზე ან მაგარ ზედაპირზე დასაცემად. ყვავების დამახსოვრების უნარი კი განსაცვიფრებელია. ერთხელ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიჭირეს რამდენიმე ყვავი, გაზომეს ისინი, აწონეს და გაუშვეს. ყვავებმა არ აპატიეს ახალგაზრდებს ასეთი მოპყრობა და ამის შემდეგ სამი თვის განმავლობაში სდევნიდნენ მათ. როგორც კი დაინახავდნენ კამპუსიდან გარეთ გამოსულ იმ სტუდენტებს, რომლებმაც დაიჭირეს, თავზე ასკინტლავდნენ, სხვებს კი არაფერს უშავებდნენ.



## 5. კატა — 4-5 წლის ბავშვის IQ

ეს ცხოველი თავის მაღალ ინტელექტს ადამიანთან მრავალი ათასი წლის განმავლობაში ცხოვრებას უნდა უმადლოდეს. კატები ერთმანეთს შიშინით მიმართავენ, ადამიანს კი — კრუტუნით. ინგლისელმა მკვლევარმა **ალექსანდრა სელერსმა** შეადგინა კატების ლექსიკონი, რომელშიც შევიდა კატების მიერ კრუტუნით წარმოთქმული 3000 სიტყვა. თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა და მკაფიოდ გამოხატული აზრი აქვს. ძალიან მოხერხებული და ეშმაკი ცხოველები არიან. შეუძლიათ კარგად შეითვისონ და ისწავლონ. ბევრი საცირკო წარმოდგენის პროგრამაში კატები წამყვან როლს ასრულებენ. ამასთანავე, კატა არასოდეს გააკეთებს იმას, რაც არ სურს — ეს მის პრაქტიკულ ჭკუაზე მიუთითებს.



## 4. ძაღლი — 6 წლის ბავშვის IQ

ძაღლი ყველა ცხოველს შორის ლიდერობს ე.წ სოციალური ინტელექტის მიხედვით. ხროვაში ძაღლები განსაცვიფრებელ თვითორგანიზებას ავლენენ —— თითოეულს თავისი სპეციალობა აქვს. მაგალითად, არის ძაღლი-მზვერავი, ძაღლი-მებრძოლი, ლეკვების მწვრთნელი, უხუცესი და მკურნალიც კი, რომელიც ლოკავს თანამოძმეების ჭრილობებს. ძაღლებს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ ყეფითა და ღრენით. ძაღლი სწრაფად სწავლობს, შეუძლია დააგროვოს ცოდნა, აქვს სამართლიანობის განცდა. მას ადვილად შეიძლება ასწავლოთ 10-მდე დათვლა, ამ ცხოველის ყველაზე ჭკვიან წარმომადგენლებს კი 150-ზე მეტი სიტყვა ესმით, ძირითადად — ბრძანების სახით.

ძაღლებს შორის ყველაზე ჭკვიან ჯიშად მიიჩნევენ **კოლის, გერმანულ ნაგაზსა** და **პუდელს.**

## 3. სპილო — 7 წლის ბავშვის IQ



აფრიკული სპილოს ტვინი ზომით 4-ჯერ მეტია ადამიანის ტვინზე და 5კგ-ს იწონის. ეს რეკორდია ცოცხალ ორგანიზმებს შორის. მეცნიერთა მტკიცებით, სპილოებმა, ისევე, როგორც ადამიანებმა, შეიძლება განიცადონ მწუხარება და სიხარული. სპილოების მაღალ ინტელექტზე მიუთითებს ალტრუიზმის უნარი, ანუ ისეთი საქციელი, რომლისთვისაც დამახასიათებელი არ არის იმწუთიერი გამორჩენა. ველურ ბუნებაში მობინადრე სპილოები იცავენ სამგლოვიარო რიტუალს. ისინი მცენარეებითა და ტოტებით ფარავენ მკვდარ თანამოძმეს და მის გარშემო იკრიბებიან პატივის მისაგებად. ეს ცხოველი ფენომენალური მეხსიერებით გამოირჩევიან — სიცოცხლის ბოლომდე (ცოცხლობენ 70 წელიწადს) ახსოვთ ადამიანები, რომლებიც ბოროტად მოექცნენ ან პირიქით — კეთილად.



## 2. მაიმუნი — 7 წლის ბავშვის IQ

სარეიტინგო სიაში მეორე ადგილზეა მაიმუნი — სახელდობრ, შიმპანზე, აგრეთვე, ორანგუტანგი. ადამიანების მიერ გაწვრთნილი ყველაზე განვითარებული მაიმუნების IQ 70 პუნქტს უტოლდება, რაც უმცროსი კლასის მოსწავლის ინტელექტის კოეფიციენტს შეესაბამება. მეტიც, შიმპანზეს გენების 90%-ზე მეტი ადამიანის გენების იდენტურია. ადამიანის მსგავს პრიმატებს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ ბგერებითა და ჟესტებით. ცხოვრობენ გუნდ-გუნდად. ისევე, როგორც ადამიანები, მაიმუნებიც ებრძვიან ერთმანეთს საკვებისთვის, ქორწინდებიან ერთმანეთზე შთამომავლობის გასაგრძელებლად და ა. შ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადამიანების მიერ გაწვრთნილი მაიმუნები. მაგალითად, შიმპანზემ სახელად კანზიმ, რომელიც ჯორჯიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოზარდეს, ინგლისური ენაზე 3000 სიტყვა იცოდა, მეცნიერთა აზრით, ადამიანი რომ არა, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ დედამიწაზე მაიმუნების ცივილიზაცია გაჩნდებოდა.



## 1. დელფინი — შესაძლოა, ჰქონდეს ადამიანზე მეტი IQ

დელფინები ძალიან გონიერი არსებები არიან. მათ ერთმანეთთან ერთიერთობა აქვთ ულტრაბგერითი სიტყვა-სიგნალების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა 14 ათასამდეა. ადამიანის ლექსიკა — სიტყვების მარაგი კი — მხოლოდ 8000 სიტყვისგან შედგება, ანუ თითქმის ორჯერ ნაკლებია დელფინის ლექსიკაზე. დელფინები ტვინის ფიზიოლოგიური პარამეტრებითაც უსწრებენ ადამიანს. ადამიანის სააზროვნო ორგანო საშუალოდ 1400 გრ-ია, დელფინის — 1700 გრ. ამასთანავე, დელფინის ტვინი ხვეულების რაოდენობითაც ჯობია ადამიანისას. სიმართლე უნდა ითქვას — დელფინები პოტენციურად ჩვენზე ჭკვიანები არიან, მაგრამ, თუ ასეა, ჩვენ რატომ ვიჭერთ მათ და ვაიძულებთ საცირკო სანახაობებში მონაწილეობას? რატომ პირიქით არ ხდება? დელფინის პრობლემა არის ის, რომ ხელები არ აქვს, უფრო ზუსტად — ხელისგულები და თითები, რომლებითაც შეასრულებდა სამუშაოს. ამასთანავე, ევოლუციის პროცესში დელფინებს მძიმე ბრძოლები არ გადაუტანიათ თავის გადასარჩენად, ადამიანი კი გააფთრებით იბრძოდა მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად, ამისთვის კი იყენებდა თავის ინტელექტსა და ხელ-ფეხს. შემდეგ ჩვენ ვისწავლეთ ქალაქების აშენება და სხვადასხვა მექანიზმის შექმნა. ამრიგად, დელფინები, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ინტელექტით აღემატებიან ადამიანს, მათი ტექნიკური ცივილიზაციის არარსებობის გამო, კვლავ რჩებიან ყველაზე ჭკვიან, მაგრამ მაინც ცხოველებად.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1962-დან 1991 წლამდე, 29 წლის განმავლობაში, ჭადრაკის დედოფლის ტახტმა და გვირგვინმა საქართველოში დაიდო ბინა. ამ უდიდესი გამარჯვების შემოქმედი იყო ორი ქართველი ქალი — ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე. ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძის გარდა, ამ პერიოდში შესანიშნავად ასპარეზობდნენ სხვა ქართველი მოჭადრაკე ქალებიც — ნანა ალექსანდრია (1975-1981 წლებამდე მატჩების ფინალისტი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში), ნანა იოსელიანი (1988 წლის ფინალური მატჩის მონაწილე მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში), ნინო გურიელი და სხვ.**

# ორი დედოფალი

**23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე ბათუმმა მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლა. ამ გრანდიოზული საჭადრაკო ტურნირის ფარგლებში საქართველოს 180-ზე მეტი ქვეყნის 4000-მდე დელეგატი სტუმრობდა. 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ჩინელთა ტრიუმფით დასრულდა: ვაჟებსა და ქალებში ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს.**

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჯილდო, რომელიც ოლიმპიადის ყველაზე წარმატებული ქვეყნის საჭადრაკო ფედერციას გადაეცემა, ორი წლით ჩინელთა საკუთრებაა. ჩინელმა ვაჟებმა მეორედ მოიპოვეს ოლიმპიადის ჩემპიონობა. მეორე ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გავიდა, რუსეთი კი — მესამეზე, ისევე, როგორც ორი წლის წინათ სამივე გუნდმა 18 ქულა დააგროვა, ადგილები კი დამატებითი მაჩვენებლით განაწილდა. ჩინელმა ქალებმა ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს. მათ 18 ქულით დაასრულეს ტურნირი. ამდენივე ქულით უკრაინა მეორეა, ქართველ ქალთა პირველი ნაკრები კი — 17 ქულით მესამე. საქართველოს ნაკრები საუკეთესო სამეულში 8-წლიანი შესვენების შემდეგ მოხვდა.

სხვათა შორის, საქართველოს დიდი საჭადრაკო ტურნირებისა და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩების გამართვის უდიდესი გამოცდილება აქვს. მაგალითად, 1969 წელს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მატჩის პირველ ნახევარს **ნონა გაფრინდაშვილსა** და **ალა კუშნირს** შორის მასპინძლობდა თბილისი, მეორე ნახევარს — მოსკოვი.

1975 წელს ბიჭვინთამ უმასპინძლა **ნონა გაფრინდაშვილსა** და **ნანა ალექსანდრიას**, როცა ამ თვალწარმტაც კურორტზე მსოფლიო პირველობის მატჩი გაიმართა. 1978 წელს ბიჭვინთაში გაიმართა მატჩი **ნონა გაფრინდაშვილსა** და **მაია ჩიბურდანიძეს** შორის, როცა მეორე გამოჩენილმა ქართველმა მოჭადრაკემ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული გადაიბარა სახელოვანი ნონა გაფრინდაშვილისგან.

ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატები 1927 წლიდან ტარდება. სწორედ 1927 წელს მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტული ჩეხოსლოვაკიელმა **ვერა მენჩიკმა** (1927-1944); შემდეგი მსოფლიოს ჩემპიონი იყო რუსი **ლუდმილა რუდენკო**, შემდეგი — **ელისაბედ ბიკოვა, ოლღა რუბცოვა.**

**1962-დან 1991 წლამდე კი, 29 წლის განმავლობაში, ჭადრაკის დედოფლის ტახტმა და გვირგვინმა საქართველოში დაიდო ბინა. ამ უდიდესი გამარჯვების შემოქმედი იყო ორი ქართველი ქალი — ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე.** უნდა აღინიშნოს, როომ ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძის გარდა, ამ პერიოდში შესანიშნავად ასპარეზობდნენ სხვა ქართველი მოჭადრაკე ქალებიც — **ნანა ალექსანდრია** (1975-1981 წლებში მატჩების ფინალისტი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში), **ნანა იოსელიანი** (1988 წლის ფინალური მატჩის მონაწილე მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში), **ნინო გურიელი** და სხვ., მაგრამ ნონა და მაია შეუდარებლები იყვნენ.

ნონა გაფრინდაშვილმა ქალთა ჭადრაკი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა — ყველას დაანახვა, რომ ქალებსაც შეუძლიათ უმაღლეს დონეზე თამაში. სწორედ მან გაუკვალა გზა ქართულ საჭადრაკო სკოლას საერთაშორისო ასპარეზზე, მან მოუპოვა საქართველოს მსოფლიო მასშტაბის საჭადრაკო ცენტრის სახელი.

## ნონა

ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი (1978). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962—1978). 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი. ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-1986). საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი 1989-1996 წლებში, 1996 წლიდან მისი საპატიო პრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). პირველი ქალი გროსმაისტერი (1976). 1978 წელს ნონა გაფრინდაშვილი გახდა პირველი ქალი მოჭადრაკე, რომელსაც მამაკაცთა დიდოსტატის წოდება მიენიჭა. 1997 წელს, ფიდეს 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით, დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი საჭადრაკო ოლიმპიადებზე, რომელიც გადაეცემა ქვეყნის ვაჟთა და ქალთა გუნდებს საუკეთესო ჯამური შედეგისთვის. 2001 წელს ნონას სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლეს.

ნონა გაფრინდაშვილი დაიბადა 1941 წლის 3 მაისს ზუგდიდში, ტერენტი გაფრინდაშვილისა და ვერა გრიგოლიას მრავალშვილიან ოჯახში. ის 6 დედმამიშვილში მეხუთეა — ერთადერთი ქალიშვილი. ბავშვობაში თამაშობდა იმ თამაშებს, რომლებსაც ძმები — ბილიარდს, ფრენბურთს, ფეხბურთს, ჭადრაკს. 12 წლის ნონამ ცნობილი მწვრთნელის, **ვახტანგ ქარსელაძის,** ყურადღება მიიპყრო და თბილისში პიონერთა სასახლეში დაიწყო ჭადრაკის მეცადინეობა. 15 წლისამ 1956 წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1960 წლის მიწურულს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა საბჭოთა კავშირის ქალთა XX ჩემპიონატი, რომელსაც უნდა გამოევლინა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირის 4 საბჭოთა მონაწილე, ნონა გაფრინდაშვილმა ამ შეჯიბრებაში მე-4 ადგილი დაიკავა და პრეტენდენტის საგზური მოიპოვა. მსოფლიოს იმჟამინდელი ჩემპიონი ვაჟთა შორის, გენიალური მოჭადრაკე **მიხეილ ტალი** წერდა: „მსოფლიოს ჩემპიონობისთვის პირველად იბრძოლებს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ნონა გაფრინდაშვილი. საინტერესო კომბინაციებთან ერთად, მან გვიჩვენა ოსტატობის ზრდა პოზიციურ თამაშში. პრეტენდენტთა ტურნირში, რა თქმა უნდა, პირველი ადგილისთვის იბრძოლებს“.

მიხეილ ტალის პროგნოზი გამართლდა. ნონამ 1961 წელს დიდი უპირატესობით გაიმარჯვა პრეტენდენტთა ტურნირში, 1962 წელს კი მსოფლიოს პირველობის გადამწყვეტ მატჩში გამანადგურებელი ანგარიშით 9:2 (7 მოგება, 4 ფრე, 0 მარცხი) დაამარცხა **ელისაბედ ბიკოვა** და პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ამის შემდეგ ნონამ ტიტული 4-ჯერ დაიცვა — 1965, 1969 და 1972 წლებში 3-ჯერ ზედიზედ დაამარცხა ალა კუშნირი, 1975 წელს კი — ნანა ალექსანდრია. ნონამ ტიტული დათმო 1978 წელს მაია ჩიბურდანიძესთან გამართულ მატჩში — 6,5:8,5 (+2=9-4).






**მარცხნიდან: ნანა იოსელიანი, მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია**

## მაია

მაია ჩიბურდანიძე მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონია, მისი ჩემპიონობა 14 წელიწადს ითვლის. ამ მაჩვენებლით მესამეა და ჩამორჩება ვერა მენჩიკსა (18 წელი) და ნონა გაფრინდაშვილს (16 წელი). არის ოლიმპიადების 9-გზის გამარჯვებული: 1978, 1980, 1982, 1984, და 1986 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში; 1992, 1994, 1996 და 2008 წლებში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. 1984 წლიდან გროსმაისტერი — მამაკაცთა შორის.

ჭადრაკში მსოფლიოს მე-6 ჩემპიონი ქალთა შორის — მაია ჩიბურდანიძე დაიბადა ქუთაისში, **გრიგოლ ჩიბურდანიძის** ოჯახში. **3 წლის იყო, წერა-კითხვა რომ ისწავლა, 5 წლისა ასრულებდა მათემატიკურ მოქმედებებს სამნიშნა რიცხვებით, 8 წლისამ ჭადრაკის თამაში დაიწყო.**

1976 წელს გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის გოგონათა ჩემპიონატში. 1977 წელს მიენიჭა ქალთა გროსმაისტერის ტიტული. 1978 წელს 17 წლის მაია ჩიბურდანიძემ ნონა გაფრინდაშვილი დაამარცხა და პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ის ყველაზე ახალგაზრდა ქალია, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა. მაიამ 4-ჯერ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა. 1981 წელს ბათუმში ნანა ალექსანდრიასთან მატჩი 8:8 დასრულდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, როგორც ჩემპიონს, მაიას დარჩა. სამი წლის შემდეგ, 1984 წელს, ვოლგოგრადში 8,5:5,5 დაამარცხა **ირინა ლევიტინა,** 1986 წელს სოფიასა და ბორჯომში — **ელენე ახმილოვსკაია** (8,5:5,5) ხოლო 1988 წელს თელავში — **ნანა იოსელიანი** (8,5:7,5).

1991 წელს მაია ჩიბურდანიძემ მოულოდნელად დათმო ჩემპიონის ტიტული ჩინელ **სი ძუნთან.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონები ჭადრაკში

| № | ჩემპიონი | დაბ.თარიღი | ქვეყანა | წლები |
|---|---|---|---|---|
| 1 | **ვერა მენჩიკი** | 16 თებერვალი (1 მარტი) 1906 წ. — 27 ივნისი 1944 წ. | რუსეთი, ჩეხოსლავაკია, დიდი ბრიტანეთი. | 1927-1944 |
| 2 | **ლუდმილა რუდენკო** | 14 (27) ივლისი 1904 წ. — 26 თებერვალი 1986 წ. | სსრკ | 1950-1953 |
| 3 | **ელისაბედ ბიკოვა** | 4 (17) ნოემბერი 1913 წ. — 13 8 მარტი 1989 წ. | სსრკ | 1953-1956; 1958-1962 |
| 4 | **ოლღა რუბცოვა** | 7(20) აგვისტო 1909წ. — 13 დეკემბერი 1994წ. | სსრკ | 1956-5958 |
| 5 | **ნონა გაფრინდაშვილი** | 3 მაისი 1944 წ. | სსრკ | 1962-1978 |
| 6 | **მაია ჩიბურდანიძე** | 17 იანვარი 1961 წ. | სსრკ. საქართველო | 1978-1991 |
| 7 | **სი ძუნი** | 30 ოქტომბერი 1970 წ. | ჩინეთი | 1991-1996; 1999-2001 |
| 8 | **ჟუჟა პოლგარი** | 19 აპრილი 1969 წ. | უნგრეთი | 1996-1999 |
| 9 | **ჩჟუ ჩენი** | 16 მარტი 1976 წ. | ჩინეთი | 2001-2004 |
| 10 | **ანტოანეტა სტეფანოვა** | 19 აპრილი 1979 წ. | ბულგარეთი | 2004-2006 |
| 11 | **სიუი იუიხუა** | 29 ოქტომბერი 1976 წ. | ჩინეთი | 2006-2008 |
| 12 | **ალექსანდრა კოსტენიუკი** | 23 აპრილი 1984 წ. | რუსეთი | 2008-2010 |
| 13 | **ჰოუ იფანი** | 27 თებერვალი 1994 წ. | ჩინეთი | 2010-2012; 2013-2015; 2016-2017 |
| 14 | **ანა უშენინა** | 30 აგვისტო 1985 წ. | უკრაინა | 2012-2013 |
| 15 | **მარია მუზიჩუკი** | 21 სექტემბერი 1992 წ. | უკრაინა | 2015-2016 |
| 16 | **ტან ჩჟუნი** | 29 მაისი 1991 წ. | ჩინეთი | 2017-2018 |
| 17 | **ძიუი ვენძიუნი** | 31 იანვარი 1991 წ. | ჩინეთი | 2018-დან |



# Yankee, Go Home!

**სექტემბერში იაპონიაში ოკინავას პრეფექტურის გუბერნატორის არჩევნების შედეგებმა შეიძლება შეცვალოს ძალთა განლაგება რეგიონში, რადგან ახალი გუბერნატორი, 58 წლის ᲓᲔᲜᲘ ᲢᲐᲛᲐᲙᲘ, ქვეყანაში ამერიკული ბაზების არსებობის კატეგორიული წინააღმდეგია. ტამაკი, რომელიც სანახევროდ ამერიკელია, იმედოვნებს, რომ წარმომავლობა დაეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში.**



ᲓᲔᲜᲘ ᲢᲐᲛᲐᲙᲘ



ოკინავას პრეფექტურაში განლაგებულია ამერიკელების მთავარი სამხედრო ბაზა. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ **ᲢᲐᲛᲐᲙᲘᲡ** გამარჯვება ისტორიულიც კი არის. წინასაარჩევნოდ გუბერნატორობის კანდიდატი თანამოქალაქეებს დაჰპირდა, რომ აუცილებლად ბარგს აუკრავდა ამერიკელ სამხედროებს.

**ტამაკიმ გაიმარჯვა, მას ხმა 400-მა ათასმა ოკინაველმა მისცა, რამაც არჩევნებში მონაწილეთა 55 პროცენტი შეადგინა. მის კონკურენტს ᲐᲪᲣᲡᲘ ᲡᲐᲙᲐᲛᲐᲡ მხარი დაუჭირა 316 ათასმა ამომრჩეველმა, ანუ 43 პროცენტმა.**

აშშ-ისა და იაპონიის მთავრობების შეთანხმებით საზღვაო ქვეითთა სამხედრო-საჰაერო ბაზა „ფუტენმა“, რომელიც ქალაქ გინოვანის ცენტრში მდებარეობს, უნდა გადავიდეს ოკინავას სამხრეთით ნაკლებად დასახლებულ მხარეში — ზღვისპირა სოფელ ჰენოკოში.

საკიმა, რომელიც გინოვანის მერი იყო, ამ ინიციატივას მხარს უჭერდა, მაგრამ მისი ოპონენტი უფრო რადიკალური აღმოჩნდა, — **ამერიკელებმა ფეხი უნდა ამოიკვეთონ არა მხოლოდ ოკინავას პროვინციიდან, არამედ, საერთოდ, იაპონიიდანო.**

ახალარჩეული გუბერნატორ დენი ტამაკის ასეთი მკვეთრი პოზიციის ასახსნელად აუცილებელია იმ ფაქტების გახსენება, რომლებსაც არაერთხელ მოჰყვა ანტიამერიკული ტალღის აგორება იაპონიაში.

ოკინავაზე განლაგებულ 33 ობიექტზე 25 000 ამერიკელი სამხედრო მსახურობს, რაც იაპონიაში მყოფი აშშ-ის ჯარების ნახევარია. ეს რეალობა პრეფექტურაში არსებული დაძაბულობის წყაროა და მიზეზი.

ადგილობრივი მოსახლეობა შეწუხებულია ხმაურით, საავიაციო შემთხვევებით და სხვა პრობლემებით, რომლებიც სამხედრო ბაზებთან არის დაკავშირებული. მაგრამ იაპონელების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მაინც არის ამერიკელი სამხედროების მიერ ძალადობის აქტები. ოკინავას პოლიციის სამმართველოს ანგარიშის თანახმად, 1972 წლიდან 2016 წლამდე პრეფექტურაში რეგისტრირებულია 4700 დანაშაული, მათ შორის, მკვლელობის, ძარცვისა და გაუპატიურების ფაქტები, რომლებიც ამერიკელმა სამხედროებმა ჩაიდინეს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკელები ყოველ თვეში ერთ უბედურებას სჩადიოდნენ.

**ამ დანაშაულთაგან ზოგიერთი მსოფლიოში გახმაურდა. ასეთი იყო, მაგალითად, 33 წლის ამერიკელი სამხედროს, ᲙᲔᲜᲔᲢ ᲤᲠᲐᲜᲙᲚᲘᲜᲘᲡ მიერ 20 წლის იაპონელი ქალიშვილის მკვლელობა, ვისი გვამიც მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იპოვეს.**

ფრანკლინის მანქანაში აღმოაჩინეს მსხვერპლის დნმ, რაც მისი დაპატიმრების საფუძველი გახდა. მოგვიანებით მან აღიარა, რომ დაახრჩო ქალიშვილი, დაჭრა და გვამი გადააგდო. სასამართლო სხდომის დროს ამერიკელმა განაცხადა, რომ მისი ქცევა წინასწარგანზრახული არ ყოფილა, მაგრამ სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა და მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

**ტამაკის ანტიამერიკული რიტორიკა პრეფექტურის მხოლოდ თანამედროვე პრობლემებს არ ეფუძნება. ოკინავას ახალი გუბერნატორი ერთ-ერთია იმ იაპონელ პოლიტიკოსთა შორის, რომლებიც პირდაპირ აცხადებენ, რომ ვაშინგტონგთან მეგობრობა იაპონიას ასიათასობით იაპონელის სიცოცხლედ დაუჯდა.**

იაპონიის ქალაქების ჰორისიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის ტრაგედიაზე ლაპარაკისას იაპონური ოფიციოზი არ ასახელებს ქვეყანას, რომელმაც ეს უბედურება დაატეხა ქვეყანას. დატალიზაცია დააზარალებს აშშ-სთან იაპონიის მეგობრულ ურთიერთობას. არჩევნებში ტამაკის გამარჯვება მნიშვნელოვნად განპირობებულია მისი წარმომავლობითაც.

ათწლეულების განმავლობაში პრეფექტურაში ამერიკელების ყოფნისას ათასობით „ნაჯვარი“ ბავშვი დაიბადა, ხშირად — არარეგისტრირებული ურთიერთობის შედეგად. ტამაკი თავს „ომისშემდგომი ოკინავის სიმბოლოს“ უწოდებს. „მამაჩემი ამერიკელია, დედა — ოკინაველი, — აცხადებს ეს კაცი, რომელსაც მამა არასოდეს უნახავს.

ოკინავას ახალი გუბერნატორი იაპონიის პრემიერმინისტრ **ᲡᲘᲜᲫᲝ ᲐᲑᲔᲡ** მთავრობისათვის ფრიად უხერხული ფიგურაა. სინძოს პარტიამ მხარი დაუჭირა აცუსი საკიმს, რომელმაც არჩევნები წააგო, მიუხედავად იმისა, რომ მის მომხრეთა კამპანიაში ჩართულები იყვნენ იაპონიის ყოფილი პრემიერის ვაჟი და ტოკიოს გუბერნატორი.

იაპონიის დღევანდელ პრემიერმინისტრს შეუძლია ახალი გუბერნატორის დაპირების განეიტრალება იმით, რომ უბიძგოს იაპონიის უზენაეს სასამართლოს, ძალადაკარგულად ჩათვალოს ტამაკის ნებისმიერი გადაწყვეტილება ამერიკელების სამხედრო ბაზების შესახებ.

თუ აბეს ამ ფანდმა არ გაჭრა, იგი ტამაკიზე ზემოქმედებას ეკონომიკური ბერკეტებით შეეცდება. ოკინავა იაპონიის უღარიბესი რეგიონია, რომელიც მთავრობის სუბსიდიებით არსებობს. ამ დახმარებას იგი თავის ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების განლაგების სანაცვლოდ იღებს. აშშ-ის სამხედროების გაყვანა პრეფექტურის მოსახლეობის კეთილდღეობას ფრიად დააზარალებს.

მოამზადა
**ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔᲛ**

**1972 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ 2016 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 4700 ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲫᲐᲠᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲛᲐ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔᲡ. ᲔᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲩᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ**



## ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲜᲘᲚᲘ «ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡ» ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 6-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ

**მაკედონიის სასამართლომ ქვეყნის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გორდანა იანკულოვსკა „მერსედესის“ მარკის ავტომობილის შეძენისას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დამნაშავედ ცნო და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

საუბარია 2012 წელს 600 ათას ევროდ პრემიერმინისტრის ადმინისტრაციისთვის Mercedes S600 Guard-ის ტიპის დაჯავშნილი ავტომობილის შეძენაზე. სასამართლოს აზრით, შსს-მ ავტომობილი ისეთი ტენდერის გზით შეიძინა, რომლის პირობებიც მხოლოდ ერთი მიმწოდებლისთვის იყო ხელსაყრელი.

აღსანიშნავია, რომ გორდანა იანკულოვსკას წინააღმდეგ სისხლის სამართლის კიდევ ორი საქმეა აღძრული, რომლებიც არჩევნების დროს არსებულ დარღვევებს, მიყურადების მოწყობილობების უკანონო განადგურებასა და 5000-მდე აბონენტის უკანონო მიყურადებას ეხება.

## ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ: «ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ» ᲞᲝᲚᲘᲢᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲬᲔᲕᲡ ᲒᲕᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲬᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ



პრეზიდენტობის კანდიდატმა **ზურაბ ჯაფარიძემ** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ ენმ-ს კანაფის თემით სურს პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება და „საპატრიარქოსთან ჩახუტება“. ჯაფარიძის თქმით, ენმ-ს წევრები ფარისევლები არიან, რადგან მათთან ერთად არაერთხელ მოუწევია.

## ᲫᲕᲐᲚ-ᲡᲐᲮᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲐ-ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ᲢᲔᲚ: 599-722-138; 247-58-83**
**ᲛᲘᲡ.: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №142, I ᲡᲐᲠᲗ.**
**ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ №6. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ**

საქართველო
ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894